

ტომ სტოპარდი

ბრკაღია

ინგლისურიდან თარგმნა
ასმათ ლეკიაშვილმა

მოქმედი პირები

სცენაზე გამოჩენის თანმიმდევრობით

- ტომაზინა კავერლი - ცამეტი წლის, მოგვიანებით - თექვსმეტის
სეპტიმუს ჰოჯი - მისი მასწავლებელი, ოცდაორი წლის,
მოგვიანებით - ოცდახუთის
ჯელაზი - მსახურთუხუცესი, შუახნის
ეზრა ჩეიტერი - პოეტი, ოცდათერთმეტი წლის
რიჩარდ ნოუსი - ბალების დამპროექტებელი, შუახნის
ლელი კრუმი - დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის
კაპიტანი ბრაისი - დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის
ჰანა ჯარეისი - მწერალი, ორმოცს მიტანებული
ქლო კავერლი - თვრამეტი წლის
ბარნარდ ნაითინგელი - უნივერსიტეტის პროფესორი, ორმოცს
მიტანებული
ვალენტინ კავერლი - ოცდახუთიდან ოცდაათ წლამდე
ბას კავერლი - თხუთმეტი წლის
ოგასტინ კავერლი - თხუთმეტი წლის

მოქმედაა I

სცენა პირველი

1809 წლის აპრილი. დერბიშირის საგრაფო. უზარმაზარი სახლი ქალა-
ქგარეთ. დღეს ასეთ სახლზე იტყოდნენ, დიდებული შენობააო. ერთი ოთ-
ახი ბაღში გადის. მაღალი კედელი სცენის სიღრმეში. დიდი, უფარდო ფა-
ნჯრები. ზოგი მათგანი კარის ფუნქციასაც ასრულებს. იმის დანახვა, თუ
რა ხდება ფანჯრებს მიღმა, მაყურებლისთვის სულაც არ არის სავალდუ-
ბულო. სახლი ტიპიურ ძველინგლისურ ბაღში დგას. ამ გარემოებაზე მი-
გვანიშნებენ განათებით ან კიდეც სხვა რაიმე ხერხით.

ოთახი არ არის ავეჯით გადატვირთული. მის შუაგულში მოჩანს დიდი
მაგიდა. ეს მაგიდა, მაგარზურგიანი სკამები და პატარა ბიურო ჩვენ
დროში ნამდვილად გამოიწვევდა ნებისმიერი კოლექციონერის ინტერესს,
მაგრამ სცენაზე, ხის იატაკზე განლაგებული ეს ავეჯი ერთი ჩვეულებრი-
ვი საკლასო ოთახის ინვენტარად აღიქმება. მართალია, იგრძნობა გარკ-
ვეული აქტივობის დახვეწილობა, მაგრამ შთამბეჭდავი მაინც სი-
ერცეთა, შენობის ფართი. გვერდით კედლებზე თითო დახურული კარი მო-
ჩანს. ერთი შემინული კარი კი ღიაა და მაყურებელი ხედება, რომ ნათე-
ლი, მაგრამ უმზეო დილაა.

მაგიდაზე აწყვია წიგნები, საწერი ქალაღდი, კალმები და სამელნე. მა-
გიდას ორნი უსხედან - მოწაფე, 13 წლის ტომაზინა კავერლი და მისი მა-
სწავლებელი - 22 წლის სეპტიმუს ჰოჯი. ერთიც და მეორეც საკუთარი სა-
ქმით არის დაკავებული. ორივეს გადაშლილი წიგნი უდევს წინ: გოგონას
- დაწყებითი მათემატიკის თხელი სახელმძღვანელო, მასწავლებელს -
სქელტანიანი, ახალ-ახალი ტომი, მდიდრული, სასაჩუქრო გამოცემა,
რომელიც წვრილი ზონრებით იკვრება. იქვე დევს სეპტიმუსის მაგარი სა-
ქალაღდე, ასეთივე ზონრებით.

სეპტიმუსს ჰყავს კუ, ისეთი ზოზინა ვინმე, რომ პატრონი წარმატებით
იყენებს პრესპაპიედ.

გარდა ამისა, მაგიდაზე ვხედავთ წიგნების დასტას და ძველებურ თე-
ოდოლიტს.

ტომაზინა: სეპტიმუს, რას ნიშნავს კარნალური ჩახუტება?

სეპტიმუსი: კარნალური... ანუ ხორციელი ჩახუტება ნიშნავს საქონ-

ლის ხორცის ჩახუტებას.

ტომაზინა: სულ ეს არის?

საპტიმუსი: არა. კიდევ ნიშნავს ცხვრის ბეჭის, ირმის ბარკლის, შებრანული მწყრის ჩახუტებას... caro, carnis... ქალის სხეული...

ტომაზინა: და ეს ცოდვაა?

საპტიმუსი: ყოველთვის არა, მიღედი. მაგრამ როცა კარნალური ჩახუტება ბინიერია, ის უკვე ხორციელ ცოდვად ჩაითვლება, Q.E.D.¹ გახსოვთ, "გალეების ომში" შეგვხვდა ეგ სიტყვა - "caro". "ბრიტების საზრდო რძე და ხორცი იყო" - "lacte et carne vivunt". ვწუხვარ, ასე ზერელედ რომ მოეკიდეთ გაკვეთილს და თესლი ქვალორდიან ნიადაგზე დაეცა.

ტომაზინა: ასე ხომ იმ ცოდვილ ონანს დაემართა, სეპტიმუს!

საპტიმუსი: დიახ. ის თავის რძალს, ძმის ცოლს, ლათინურის გაკვეთილებს უტარებდა, ქალს კი ამით ჭკუა არ მომატებია. სხვათა შორის, მგონი, ფერმას უკანასკნელი თეორემა უნდა დაგემტკიცებინათ.

ტომაზინა: ძალიან ძნელი რაღაცაა, სეპტიმუს. ამისხენით, როგორ დავამტკიცო.

საპტიმუსი: ეგ რომ მცოდნოდა, თქვენ აღარ შეგანუხებდით. აგერ უკვე ასორმოცდაათი წელია, კაცობრიობა თავს იმტკრევს ამ თეორემაზე. მე, უბრალოდ, ვიმედოვნებდი, ცოტა ხნით რაღაცით მაინც დაგასაქმებდით და საშუალება მომეცემოდა, მისტერ ჩეიტერის პოეტურ ქმნილებას გავცნობოდი, სიყვარულისთვის რომ მიუძღვნია. ეს სისულელე კი საფუძვლიან ჩაღრმავებას მოითხოვს.

ტომაზინა: როგორ! მისტერ ჩეიტერმა ლექსი დანერა?

საპტიმუსი: ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ჰგონია. მერწმუნეთ, თქვენს ალგებრაში უფრო მეტია "კარნალობა", ვიდრე მისტერ ჩეიტერის "ეროსის სარეცელში".

ტომაზინა: არა, აქ ალგებრა არაფერ შუაშია. მე გავიგონე, როგორ ეუბნებოდა ჯელაბი მზარეულს, რომ იქ, სახურავზე, ბელვედერში მისის ჩეიტერი კარნალურ ჩახუტებაში იქნა შემჩნეული.

საპტიმუსი (ცოტა ხნის შემდეგ): ისიც ხომ არ უთქვამს ჯელაბის, ვისთანო.

ტომაზინა (შუბლშეშუბნული დაფიქრდება): როგორ თუ ვისთან?

საპტიმუსი: ჰო, მართალია. ვისთან კი არა, რასთან! ფუი, რა სისულელეა! იმან ვილასგან გაიგო?

ტომაზინა: მისტერ ნოუქსისგან.

საპტიმუსი: მისტერ ნოუქსისგან!

ტომაზინა: დიახ, მამიკოს ბალს რომ უპროექტებს, იმ ნოუქსისგან. მინის ვაზომვისას თავისი ჭოგრით მისის ჩეიტერი დაუნახავს ბელვედერში... კარნალურად ჩახუტებულში.

საპტიმუსი: და მაშინვე ჯელაბის მოახსენა, არა?

ტომაზინა: სულაც არა. მისტერ ნოუქსმა ეს მისტერ ჩეიტერს უთხ-

¹ რაც უნდა დაგემტკიცებინა (ლათ.)

რა. ჯელაბიმ კი მეჯინიბისგან გაიგო. მისტერ ნოუქსი მისტერ ჩეიტერს საჯინიბოსთან ელაპარაკებოდა.

საპტიმუსი: მისტერ ჩეიტერი კი ამ დროს საჯინიბოს კარებს კეტავდა, არა?

ტომაზინა: ამით რისი თქმა გინდათ, სეპტიმუს?

საპტიმუსი: როგორც ვხედავ, ამჟამად ეს რამდენიმე ადამიანისთვის არის ცნობილი. ესენი არიან მისტერ ნოუქსი, მეჯინიბე, მსახურთუხუცესი, მზარეული, და, რა თქმა უნდა, მისის ჩეიტერის მეუღლე... მგოსანი.

ტომაზინა: კიდევ არტური. ის მაშინ ვერცხლელულს აპრიალბდა და კიდევ ხარაზი. ახლა კი თქვენც იცით.

საპტიმუსი: სწორი ბრძანებაა. კიდევ რაო, რა თქვა?

ტომაზინა: მისტერ ნოუქსმა?

საპტიმუსი: არა, ჯელაბიმ. თქვენ ხომ ჯელაბისგან შეიტყვეთ, როცა ის მზარეულს უყვებოდა.

ტომაზინა: მზარეულმა მაშინვე გააჩუმა. ჯელაბიმ მე ვერ დამინახა. მე კი იქ ვიჯექი და კურდღლის ხორცის ღვეზელს შევექცეოდი... მზარეულის ნებარავით... ჩვენი გაკვეთილის დაწყებამდე. მგონი, რაღაცას მი-

მაღავთ, სეპტიმუს. სად ბელვედერი და სად ხორცის საკუჭნაო!

საპტიმუსი: განა გითხარით, რომ ის განსაზღვრება სრული იყო?

ტომაზინა: კარნალური ჩახუტება ხომ კოცნას ნიშნავს?

საპტიმუსი: დიახ.

ტომაზინა: მისის ჩეიტერის გულში ჩაკვრასაც, არა?

საპტიმუსი: დიახ, დიახ. ახლა კი, რაც შეეხება ფერმას თეორემას...

ტომაზინა: ასეც ვიცოდი. ისე, ცოტა მაინც ხომ გრცხვენიათ?

საპტიმუსი: მე უნდა მრცხვენოდეს, მიღედი?

ტომაზინა: თქვენ თუ არა, მამ ვილა მასწავლის უცხო სიტყვების მნიშვნელობას?

საპტიმუსი: აჰ, მაგიტომ? მრცხვენია, მიღედი, მრცხვენია. კარნალური ჩახუტება სქესობრივი აქტია, როცა მამაკაცის სასქესო ორგანო ქალის სასქესო ორგანოში აღწევს გამრავლებისა და სიამოვნების მიღების მიზნით. ფერმას თეორემა კი გვასწავლის, რომ როცა X, Y და Z მთელი რიცხვებია, და ყოველი მათგანი n ხარისხშია აყვანილი, პირველი ორის ჯამი არასდროს გაუტოლდება მესამეს, თუ n მეტია 2-ზე.

ტომაზინა: უუუუფ!

საპტიმუსი: რას იზამ, ასეა.

ტომაზინა: საძაგლობაა და სისულელე. როცა გავიზრდები და ამაზე ვიმუშავებ, ყოველთვის თქვენ გამახსენდებით.

საპტიმუსი: გმადლობთ, მიღედი. მისის ჩეიტერი დილით საუზმზე იმ ჩამოსულა?

ტომაზინა: არა. კიდევ მიაბზეთ რამე სქესობრივ აქტზე.

საპტიმუსი: უკვე ყველაფერი გითხარით.

ტომაზინა: ეს იგივე სიყვარულია, არა?

საპტიმუსი: არა, არა. ეს სიყვარულზე გაცილებით უკეთესია (ერთი გვერდითი კარი მუსიკალურ დარბაზში გადის, მაგრამ ახლა მეორე კარი იღება და შემოდის ჯელაბი). გაკვეთილს ვატარებ, ჯელაბი.

ჯელაბი: მაპატიეთ, მისტერ ჰოჯ, მაგრამ მისტერ ჩეიტერიმა მიბრძანა, ეს წერილი დაუყოვნებლივ გადაეცეო.

საპტიმუსი: ძალიან კარგი (გამოართმევს წერილს). გმადლობთ (უნდა დროზე გაისტუმროს ჯელაბი და უმეორებს). გმადლობთ.

ჯელაბი (დაყინებით): მისტერ ჩეიტერი (სეპტიმუსი ხსნის კონვერტს, უფრო ზუსტად, დაკეცილ, ბეჭედდასმულ ქაღალდს. დაუდევრად მოისვრის ამ ქაღალდს და წერილს კითხულობს). კარგი, ჩემი პასუხი ასეთია: ვინაიდან მე აქ მის ბრწყინვალეებას ვემსახურები, მოვალე ვარ მისი ასული ვამეცადინო. თორმეტს თხუთმეტი წუთი რომ დააკლდება, გაკვეთილს ვამთავრებ. აი, მაგ დროისთვის თუ მისტერ ჩეიტერი არ გადაიფიქრებს, მის განკარგულებაში ვიქნები და სიხარულით შევხვდები... (იხედება წერილში) იარაღის დარბაზში.

ჯელაბი: ასეც მოვახსენებ. გმადლობთ.

(სეპტიმუსი მოკეცავს წერილს და "ეროსის სარეცელში" ინახავს).

ტომაზინა: დღეს რა გვაქვს სადილად?

ჯელაბი: მოხარული დორის ბარკალი კომბოსტოს გარნირით და ბრინჯის პუდინგი, მილედი.

ტომაზინა: ფუი, რა საზიზღრობაა!

(ჯელაბი გადის).

საპტიმუსი: ვიცით, რაც არის ეს მისტერ ნოუქსი. თავი ჯენტლმენი, ლანდშაფტის ნამდვილი ფილოსოფოსი ჰგონია და კიდევ ჯადოქარი, რომელსაც მთები და ტბები ემორჩილება, მაგრამ ამ ბაღში ნამდვილი ასპიცივით კი ირჯება.

ტომაზინა: აი, სეპტიმუს, როცა ბრინჯის პუდინგს ერთ კოვზ მურაბას დაეამატებთ და მოვურევთ, ნითელი სპირალები ჩნდება... როგორც მეტეორის კვალი ასტრონომიულ ატლასში. მაგრამ თუ მერე სანინალამდეგო მხარეს მოვურევთ, ეს სპირალები მურაბად ვეღარ იქცევა. პუდინგს კი რა ენადღლება, ნითლდება და ნითლდება თავისთვის. უცნაურად არ გეჩვენებათ ეს, სეპტიმუს?

საპტიმუსი: არა.

ტომაზინა: მე - კი. გამოდის, რომ მორევით ვერაფერს განაცალკევებ.

საპტიმუსი: აბა რა, დროს ხომ უკან ვერ დააბრუნებ, ჩვენც არ უნდა შევჩერდეთ, რათა ადრინდელი ქაოსი ახლებურ ქაოსად ვაქციოთ... იქ-

ამდე, ვიდრე პუდინგი სულ ერთიანად არ განითლდება. აი, ამას ჰქვია თავისუფალი ნება, ანუ თვითგამორკვევა. (ხელში იყვანს კუს და რამდენიმე დუიმით გადაადგილებს. თან კიცხავს, პრესპაპის მოვალეობას რომ უღალატა და სიფხიზლე მოადუნა). მანდ იჯექი!

ტომაზინა: სეპტიმუს, როგორ გგონიათ, ღმერთი ნიუტონელია?

საპტიმუსი: იტონელი? ვშიშობ რომ ასეა. იცით, რა! გიჯობთ, თქვენს ძმას სთხოვთ, ეს საკითხი ლორდთა პალატაში გაარკვიოს.

ტომაზინა: არა, სეპტიმუს. იტონის კოლეჯელი კი არა, ნიუტონელი. ნუთუ ჩემამდე ეს არავის მოსვლია აზრად!

საპტიმუსი: მოსვლია.

ტომაზინა: მე ხომ ჯერ არ მითქვამს, რა...

საპტიმუსი: "თუკი ყველაფერი, შორეული პლანეტით დაწყებული და ჩვენი ტყინის უმცირესი ატომით დამთავრებული, ნიუტონის მოძრაობის კანონს ემორჩილება, მაშ სადღაა თავისუფალი ნება?" ამის თქმა გინდოდათ, მილედი?

ტომაზინა: არა.

საპტიმუსი: "სადღაა ღმერთის ნება"?

ტომაზინა: არა და არა.

საპტიმუსი: "სადღაა ცოდვა"?

ტომაზინა (გამწარებით): არა, არა.

საპტიმუსი: მაშ რა, მილედი?

ტომაზინა: თუ თითოეულ ატომს გავაჩერებთ და გამოვთვლით მის ყველა შესაძლო ქმედებას და თანაც ძალიან, ძალიან კარგად ვიცით აღგებრა, მიმავლის ფორმულის მიღებასაც შევძლებთ. ასეთი ფორმულა ხომ მაინც არსებობს... რა ვუყოთ, რომ მის აღმოსაჩენად არავის ყოფნის ჭკუა!

საპტიმუსი (ხანმოკლე დუმილის შემდეგ): დიას. (კვლავ დუმილი). დიას, თუკი რაიმე გამეგება, თქვენ მართლაც პირველს დაგებადათ ასეთი აზრი (ისევე დუმილი. მერე ძალდატანებით ამოღერღავს): თავისი "ართიმეტიკის" მინდორზე ფერმას მოუწერია, მივაგენი ამ თეორემის უტყუარ მტკიცებას, მაგრამ ვინაიდან ნიგნის მინდორი ერთობ ვინროა, აქ ამას ვერას დიდებით ვერ დავტევო. ეს შენიშვნა მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოაჩინეს, და იმ დღიდან მოყოლებული...

ტომაზინა: აი, ახლა მესმის! ყველაფერი ნათელია.

საპტიმუსი: მგონი, ზედმეტს იღებთ საკუთარ თავზე.

(მოულოდნელად კარი იღება და მისტერ ჩეიტერი უცერემონიოდ შემოიჭრება ოთახში).

საპტიმუსი: მისტერ ჩეიტერ! როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ გადმოგცეს ჩემი დანაბარები. თორმეტს თხუთმეტი რომ დააკლდება, გავთავისუფლდები და მაშინ შევხვდეთ, თუ თქვენც განწყობთ, რა თქმა უნდა.

ჩეიტიანი: არ მანყოფს, სერ. ჩემი საქმე ვერ ითმენს.

საპტიმუსი: ვხედავ, ლორდ კრუმსაც თავისი ასულის სწავლა-განათლებლაზე უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია ეგ საქმე. მას გე თხოვრათ?

ჩეიტიანი: არა. მაგრამ თუ საჭიროა, მის ბრწყინვალეობას მე მოველაპარაკებო.

საპტიმუსი (ხანმოკლე დუმისის შემდეგ): მიღედი, ვთხოვთ, მუსიკალურ დარბაზში გადაინაცვლოთ. და თუ ფერმას თეორემას რამეს მოუხერხებთ, დამატებით მიიღებთ ერთ კოვზ მურაბას... ჯილდოდ.

ტიმარინი: ვერაფერს მოვუხერხებ, სეპტიმუს. ის კი ცხადია, რომ მან განგებ დატოვა ასეთი ჩანაწერი... მთელი ქვეყნის გასაგვიფებლად (გადის).

საპტიმუსი: აბა, სერ, რა არის ის გადაუდებელი საქმე?

ჩეიტიანი: ჩემზე უკეთ მოგეხსენებთ, სერ. თქვენ ჩემი მეუღლე შეუცაცხავით.

საპტიმუსი: მე? რას ბრძანებთ. ასეთი რამ უცხოა ჩემი ზნის ადამიანისთვის. თანაც მე ალტაცებული ვარ მისის ჩეიტერით, უდიდეს პატივს ვცემ.

ჩეიტიანი: მაგ ალტაცების შესახებ მეც შევიტყვე, სერ. თქვენ ჩემს მეუღლეს ნუხელ მიაყენეთ შეურაცხყოფა... სახურავზე... ბელვედერში.

საპტიმუსი: თქვენ ცდებით, სერ. ნუხელ მე თქვენს მეუღლეს ჩემი სიყვარული დაუმტკიცე. ეს იყო და ეს. თვითონ მთხოვა, იქ შევხვედროდი. სადღაც მისი ბარათიც უნდა მქონდეს. თუ ინებებთ, მოვძებნი, სერ. და თუ ვიღაც ჭორებს ავრცელებს, რომ მე ქალბატონს უარი შევკადრე, ის ვიღაც დიდი ნაძირალაა, მის საქციელს კი უნამუსო ცილისწამებას ვუწოდებდი.

ჩეიტიანი: ეს თქვენა ხართ უნამუსო ნაძირალა. თქვენი სიმხდალე გაიძულებთ, პატიოსან ქალს რეპუტაცია შეულახოთ, მაგრამ ამჯერად ვერას განდებით. მე თქვენ დუელში გინვევთ.

საპტიმუსი: ჩეიტერ, ჩეიტერ! ჩემო ძვირფასო მეგობარო!

ჩეიტიანი: და ყველაფერ ამის შემდეგ თქვენ ბედავთ და მეგობარს მიწოდებთ? სატისფაქციას ვითხოვ, სერ!

საპტიმუსი: ჯერ იყო და მისის ჩეიტერი ითხოვდა სატისფაქციას, ახლა კიდევ - თქვენ. როგორც ვხედავ, დღედაღამ ჩეიტერების დაკმაყოფილებას უნდა მოვუნდე. რაც შეეხება, თქვენი მეუღლის რეპუტაციას, მას ამით ბევრი არაფერი დაჰკლებია.

ჩეიტიანი: არამზადავ!

საპტიმუსი: მერწმუნეთ, მისის ჩეიტერი მომხიბლავი და მხიარული ქალბატონია, საამო ხმა აქვს, მსუბუქად დააბიჯებს, იგი ყველა იმ მშვენიერების განსახიერებაა, რასაც ასე ძალიან აფასებს ქალში საზოგადოება. მისი მთავარი ღირსება კი მუდმივი მზადყოფნაა! მზადყოფნა ისეთი მგზნებარე და დაუოკებელი, რომ ზამთარშიც გაშლის ვარდის კოკორს.

ჩეიტიანი: ჯანდაბას თქვენი თავი, პოჯ! არ მსურს ამ საძაგლობის

ოსმენა. შემებრძოლებით თუ არა?

საპტიმუსი (გადაჭრით): არა. დღესდღეობით სულ რაღაც ერთი-ორი რიგიანი პოეტი მოიძვება მთელ მსოფლიოში და მე ვერ მოვკლავ ერთ-ერთ მათგანს... მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცამ სახურავზე ქალთან წამასწრო, ქალთან, რომლის რეპუტაციასაც კბილამდე შეიარაღებული მუშ-ქეტერთა რაზმიც კი ვერ დაიცავს.

ჩეიტიანი: ჰმ! მაშ მე ერთ-ერთი მათგანი ვარ, არა? კეთილი, მაგრამ ჯანარჩენები ვილა არიან? აბა, რას მეტყვით? რაღაც არ მომწონს ეს ამბავი, პოჯ. ნუ მეპირფერებით. ისე... მართლა ეგრე ფიქრობთ?

საპტიმუსი: დიახ. და მილტონსაც იგივეს ვეტყვოდი, ცოცხალი რომ ყოფილიყო. რა თქმა უნდა, მის ცოლზე კრინტს არ დავძრავდი...

ჩეიტიანი: ცოცხლებს რაღას ეტყოდით? მაგალითად, მისტერ საუთ-ის?

საპტიმუსი: საუთის ისე გავუხვრეტდი შუბლს, თვალსაც არ დავახამხამებდი.

ჩეიტიანი (სევდიანად ეთანხმება): ჰო, ახლა მასზე ლაპარაკიც არ ღირს. ძალიან მომწონდა მისი "თალაბა", მაგრამ "მედოკი"... (ხითხითებს). ღმერთო მიხსენი! ჩვენ საშურო საქმეს კი ნუ დავივიწყებთ, პოჯ. მაშ ასე, თქვენ დაუფლეთ მისის ჩეიტერს. საშინელება! მაგრამ ყველაზე ამაზრზენი მანაც ის არის, რომ მეჯინიბიდან დაწყებული ჭურჭლის მრეცხავით დამთავრებული...

საპტიმუსი: წყეულიმც ვიყო! თქვენ რა, არ მისმენდით?

ჩეიტიანი: გისმენდით, სერ. და უნდა გამოგიტყდეთ, მახარებს თქვენი აზრი ჩემს პოეზიაზე. ღმერთმა ხომ იცის, როგორ აფასებენ ისეთ ადამიანს, რომელიც არ კადრულობს მოკალმეებსა და ლიტერატურულ ლაქიებში ათქვეფასს, რომელიც არ არის ჯეფერის ხროვის წევრი და არც "ედინზურგის" რედაქციას უმტყვევს კარს!

საპტიმუსი: ძვირფასო ჩეიტერ, ისინი პოეტს იმით აფასებენ, თუ რომელი ადგილი აქვს მიჩენილი ლორდ ჰოლანდის მაგიდასთან!

ჩეიტიანი: ფიცავს ზეცას, მართალი ხართ, პოჯ! ნეტავ მაცოდინა იმ გარენის გვარი, ჩემი დრამა "თურქეთის ასული" რომ განაქიქა "პიკადილის ამბებში".

საპტიმუსი: "თურქეთის ასული" მე ხომ ის ღამეც სასთუმალთან მიდევს! თუ ვერა და ვერ დავიძინე, მაშინვე მას მივმართავ ხოლმე, როგორც ძველ, საიმედო მეგობარს.

ჩეიტიანი (ნასიამოვნებით): აი, ხომ ხედავთ. ის ნაძირალა კი გაიძახის, მაგ წიგნით ჩემს ძალსაც კი არ დავაპურებდი, მაგას ვერც გემრიელი საკმაზი უშველის და ვერც ნიგვზიანი სატენიო. ეს რომ მისის ჩეიტერმა ნაიკითხა, სულ ცრემლები აღვარღვარა და მთელი ორი კვირა ახლოსაც არ გამიკარა... ოჰ, კინაღამ დამავინყდა ის გადაუდებელი საქმე!

საპტიმუსი: თქვენი ბოლო ნაღვანი კი უდავოდ უკვდავყოფს თქვენს სახელს.

ჩეიტარი: არ ვიცი, რას იზამს, მაგრამ...
სეპტიმუსი: აქ ორი აზრი არ არსებობს! უბადრუკ ლიტერატორთა
ხროვა მკითხველს აზრს ვერ შეაცვლევინებს. "ეროსის სარეცელს" მთებს
შეძრავს.

ჩეიტარი: მაშ ასეთია თქვენი შეფასება?
სეპტიმუსი: ასეთია ჩემი განზრახვა!
ჩეიტარი: როგორ თუ განზრახვა? არაფერი მესმის...
სეპტიმუსი: საქმე იმაშია, სერ, რომ მე საცდელი ეგზემპლარი გამო-
მიგზავნეს... შესაფასებლად... მაგრამ შეფასება რას მიქვია! ჩემი წერი-
ლი თქვენი ნიჭის ხოტბა იქნება და ბოლოს და ბოლოს თქვენს კუთვნილ
ადგილსაც მიგიჩინებ პოეზიაში.

ჩეიტარი: მართლა? ეს კი მართლაც... თქვენ რა, უკვე დანერეთ ეგ
თქვენი ხოტ... რეცენზია?

სეპტიმუსი (გესლიანად): ჯერ არა.
ჩეიტარი: ისე... რამდენ ხანში...
სეპტიმუსი: საქმე მოითხოვს, რომ ჯერ გულდასმით წავიკითხო
თქვენი წიგნი... თქვენი ორივე წიგნი... სასურველია, რამდენჯერმეც გა-
დავიკითხო... ამის შემდეგ სხვა თანამედროვე ავტორთა შემოქმედებასაც
უნდა გავეცნო... შედარებისთვის არ გვანწყენდა... მერე რაღაც-რაღაცებს
ამოვიწერ, აზრებს თავს მოვუყრი და ბოლოს, როცა მოვრჩები ყველაფერ
ამას... ცივი გონებით და ცხელი გულით...

ჩეიტარი (თითქოს გონება უნათდება): მისის ჩეიტერმა თუ იცოდა
რამე ამაზე, ვიდრე ის... ვიდრე თქვენ...

სეპტიმუსი: უთუოდ, სერ.
ჩეიტარი (აღფრთოვანებით): რაღაზე არ მიდის ეს ქალი ჩემი გული-
სთვის! ახლა ხომ ხედავთ, როგორი ადამიანია. ღმერთმა ყველას მისცეს
ასეთი ცოლი!

სეპტიმუსი: ამიტომაც არ მინდა დავაქვრივო...

ჩეიტარი: აკი კაპიტანი ბრაისიც ამას ამბობდა!

სეპტიმუსი: ბრაისიო?
ჩეიტარი: მოკლედ, მისტერ ჰოჯ, გულის ფანცქალით ველი თქვენ
წერილს. ახლავე დაგიმშვენებთ მაგ წიგნს ავტოგრაფით. ლედი ტომზინ-
ას კალამი შეგვეწევა ამ საქმეში.

სეპტიმუსი: ლედი კრუმის ძმასთან რომ გქონდათ დუელი, იმის წყა-
ლობით დაუახლოვდით ამ ბრწყინვალე ოჯახს?

ჩეიტარი: არა! ის ყველაფერი სისულელე იყო, მონაჩმახი, ჭორი... მა-
გრამ ბედნიერების მომტანი შეცდომა. ახლა მე მისი უდიდებულესობის
ფლოტის კაპიტანი და ლორდის მეუღლის ძმა მფარველობს! თავად უოლ-
ტერ სკოტიც ვერ დაიკვივნის ასეთი პატივით, აი, მე კი, მიყურეთ, რა სა-
სურველი სტუმარი ვარ სიღლი პარკში!

სეპტიმუსი: ბრწყინვალე სატისფაქცია მიგიღიათ, სერ.

(ჩეიტერი იღებს კალამს, სამელნეში აწობს და წარწერას აკეთებს წი-
გნზე. კარი კვლავ იღება და შემოდის ნოუქსი. ხელში რაღაც გრავინლე-
ბი უჭირავს. ჩეიტერი თავის საქმეს აგრძელებს. მის დანახვაზე ნოუქსი
საშინლად იბნევა).

ნოუქსი: ოჰ! მომიტევეთ...

სეპტიმუსი: აი, მისტერ ნოუქსიც, ეს ცნობილი ნაძირალა! ჭოგრი
ხომ არსად დაგიკარგავთ, ნოუქს?

ნოუქსი: მომიტევეთ... მე მეგონა, მისი ბრწყინვალე ლედი კრუმი...
მომიტევეთ...

(ნოუქსი უხერხულად იშრებება და კარისკენ იხევს. მაგრამ ჩეიტერის
ხმა ადვილზე აშუშებს. ჩეიტერი გამოთქმით ახმოვანებს თავის წარწერას)

ჩეიტარი: ჩემს საუკეთესო მეგობარს, სეპტიმუს ჰოჯს, ამ წიგნის ავ-
ტორის მხარდამჭერსა და გულშემატკივარს, სახსოვრად ეზრა ჩეიტერის-
გან. სიღლი პარკი, დერბიშირი, აპრილის 10, 1809 წელი (წიგნს სეპტიმუსს
მიაწოდებს). აი, სერ, ამას ალბათ თქვენი შვილიშვილები ნაიკითხავენ.

სეპტიმუსი: ასეთ პატივს ნამდვილად არ ვიმსახურებ. განა ასე არ
არის, მისტერ ნოუქს?

(ამასობაში შემინულ კარს უახლოვდებიან ლედი კრუმი და კაპიტანი
ედუარდ ბრაისი, სამეფო ფლოტის ოფიცერი. ღია კარიდან ლედი კრუმის
ხმა ისმის).

ლედი კრუმი: არა, არა. ოღონდ ბელვედერი არა (შემოდის ოთახში.
მას ფეხდაფეხ მოჰყვება ბრაისი, რომელსაც ხელში ტყავის ყდაში ჩასმუ-
ლი ალბომი უჭირავს). ეს რა მესმის, მისტერ ნოუქს!

ბრაისი: ბელვედერს ვინ ჩივის! ნავსადგომსაც გადასწვდა, ჩინურ ხი-
დსაც, ბუჩქნარსაც...

ჩეიტარი: ღმერთო ჩემო! შეუძლებელია!

ბრაისი: აბა, ერთი მისტერ ნოუქსსაც ჰკითხეთ!

სეპტიმუსი: მისტერ ნოუქს, ეს საშინელებაა.

ლედი კრუმი: მოხარული ვარ, თქვენგან რომ ვისმენ ამას, მისტერ
ჰოჯ.

ტომზინან (კარს შემოაღებს): ნებას მომცემთ, დავბრუნდე?

სეპტიმუსი (ცდილობს კარი მიხუროს): ჯერ არა...

ლედი კრუმი: დაე დარჩეს. ერთი ცუდი მაგალითი უფრო მეტს ასნა-
ვლის, ვიდრე ადასი ნოტაცია.

(ბრაისი გადაშლილ ალბომს ბიუროზე დებს. ეს მისტერ ნოუქსის ნაღ-
ვაწია, რომელიც, როგორც ჩანს, ჰემფრი რეპტონის "წითელი წიგნის" ლი-

ნოუქსი: ეს განდევნილის სენაკია, თქვენო ბრწყინვალეობა.
ლედი კრუმი: არაფერი მესმის!

ბრაისი: ცოტა ასიმეტრიულია, სერ.

ნოუქსი: დიახაც ასეთი გახლავთ. ასიმეტრია ხომ ხელოვნების უთუო პირობაა დღესდღეობით.

ლედი კრუმი: მაგრამ სიღლი პარკი თავად არის ხელოვნების ნიმუში, სერ, და შესანიშნავი ნიმუშიც, სხვათა შორის! ამწვანებული, დამრეცი ფერდობები... თვალწარმტაცი ხეების კორომი... ნაკადული კი, ეს მოლივლივე, კლანკილი ზოლი, სათავეს ტბიდან იღებს... მინდორში ცხვრის ფარა ბალახობს... ერთი სიტყვით, აქ ბუნება ისეთია, თავად უფალმა რომ შექმნა. და მეც, მხატვრის სიტყვებს გაგიმეორებთ: "Et in Arcadia ego!" - "აქ მე არკადიაში ვარ". გესმის, ტომაზინა?

ტომაზინა: დიახ, დედიკო... თუ შენ ასე გნებავს...

ლედი კრუმი: რა არ მოსწონს ამ გოგოს, ჩემი გემოვნება თუ ჩემი თარგმანი?

ტომაზინა: ორივეს ეშველება, დედა. მე მარტო შენმა გეოგრაფიამ დამაეჭვა.

ლედი კრუმი: ამ ბავშვს აშკარად რაღაც დაემართა მას შემდეგ, ბოლოს რომ ვნახე. და ეს, თუ არ ვცდები, მხოლოდ გუშინ იყო. ერთი სიტყვით, გუშინდელს აქეთ რაღაც მოხდა. ამ წუთას რამდენი წლის ხარ, ტომაზინა?

ტომაზინა: ცამეტი წლის და ათი თვის, დედიკო.

ლედი კრუმი: ცამეტი წლის და ათი თვის... წესით, ერთი ექვსი თვე მაინც უნდა შეიკავოს თავი ასეთი თავხედობისგან. საკუთარი აზრი და გემოვნება კი ჯერ საერთოდ არ უნდა გააჩნდეს. ეს თქვენს სინდისზეა, მისტერ ჰოუ! ახლა კი კვლავ თქვენს წამოწყებას მივუბრუნდეთ, მისტერ ნოუქს...

ნოუქსი: გამდლობთ, თქვენო...

ლედი კრუმი: როგორც ჩანს, საჭიროზე მეტად გიტაცებთ მისის რეკლივის რომანები. ეს ბალი ხომ "ოტრანტოს ციხე-სიმაგრედან" ანდა სულაც "უდოლფოს საიდუმლოდან" არის ნასესხები...
ჩემი ტომაზინა: "ოტრანტო", თქვენო ბრწყინვალეობა, ჰორას უოლპოლის უნდა იყოს...

ნოუქსი (აღფრთოვანებით): აჰ, უოლპოლის, ჩვენი მებაღის?
ლედი კრუმი: მისტერ ჩეიტერ, თქვენ სასურველი სტუმარი ხართ აქ, მხოლოდ სტუმარი და მე ვისაც დავასახელებ "ოტრანტოს ციხე-სიმაგრის" ავტორად, მისი ავტორიც ის იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში რა განსხვავებაა სტუმარსა და მასპინძელს შორის?

(შორიდან ისმის გასროლის ხმა)

ლედი კრუმი: უკვე ფერდობზეც ცლიან თოფებს... ბალის თაობაზე

კი მის ბრწყინვალეობას, ლორდ კრუმს მოველაპარაკები (ფანჯარაში გაიხედავს). მისტერ ჰოუ, თქვენმა მეგობარმა მტრედი მოკლა. (წამოიძახებს) ბრავო, სერ!

სეპტიმუსი: მერწმუნეთ, მაგ მტრედს თქვენი მეუღლე ან ვაჟი მოკლავდა, თქვენო ბრწყინვალეობა. ჩემი მეგობარი დიდი ვერაფერი მონადირეა.

ბრაისი (ფანჯარაში გაიხედავს): კი, ოგასტესს მოუკლავს. ყოჩაღ, ყმაწვილო!

ლედი კრუმი (უკვე გარეთ არის გასული): წავიდეთ. მომყვიე, ჩემო ამაღავ!

(ბრაისი, ნოუქსი და ჩეიტერი მორჩილად მიჰყვებიან ლედი კრუმს. ჩეიტერი წამით ყოვნდება და მხურვალედ ართმევს ხელს სეპტიმუსს).

ჩემი ტომაზინა: ძვირფასო მისტერ ჰოუ!

(ჩეიტერი გადის. თოფის ხმა უკვე ახლოდან ისმის).

ტომაზინა: ბახ! ბახ! ბახ! თოფების ბათქაბუთქში ვიზრდები, როგორც გოგონა ალყაშემორტყმული ქალაქიდან. მთელი წელი მტრედები და ჭოლყავები... აგვისტოში როჭოები... მერე ტყისქაბამა, ხობბები, მწყრები, ბეკასები... მერე კიდევ მექვიშიები... კიდევ ბახ! ბახ! ბახ! და ახლა ნასუქი საქონელი. მამას სულაც არ სჭირდება მფარველი ანგელოზი, ანუ ბიოგრაფი, მთელი მისი ცხოვრება "მონადირის დღიურებშია" ასახული.

სეპტიმუსი: ხოცვა-ჟლეტის მატინაე! ყველგან ხოცვა-ჟლეტა, "აქაც კი, არკადიაში!"

ტომაზინა: არ გვიანდა სიკვდილზე! (კალამს სამელნეში აწობს და ბიუროსთან მიდის). ახლა მე ამას განდევნილსაც მივახატავ, თორემ უგანდეგოდ რაღაც განდევნილის სენაკია! დედაჩემი გიყვართ, არა, სეპტიმუს?

სეპტიმუსი: უფროსებზე ჭკვიანი ნუ იქნებით. ეს, სხვა რომ არაფერია, უზრდელობაა.

ტომაზინა: მაშ მე მათზე ჭკვიანი ვარ?

სეპტიმუსი: გაცვილებით.

ტომაზინა: მაპატიეთ, სეპტიმუს (თავს ანებებს ხატვას და ჯიბიდან პატარა კონვერტს იღებს). აი, ეს წერილი მისის ჩეიტერმა გადმომცა, როცა მუსიკალურ დარბაზში ვიყავი. მითხრა, ძალიან მნიშვნელოვანი, საიდუმლო წერილიაო და მთხოვა, სასწრაფოდ, საიდუმლოდ და აუცილებლად გადმომეცა თქვენთვის. მაგ რაღაც კარნალურ ჩახუტებას ცოტა ჭკუიდან ხომ არ გადაჰყავს ადამიანი?

სეპტიმუსი (ართმევს წერილს): უთუოდ. გამდლობთ, მილედო. მორჩა, დღეს უკვე საკმარისი განათლება მიიღეთ.

ტომაზინა: აი, ნახეთ. ეს ჩემი განდევნილი იოანე ნათლისმცემელს ჰგავს უდაბნოში.
სეპტიმუსი: მშვენიერი ნახატია.

(შორიდან ისმის ლედი კრუმის ხმა. თავის ქალიშვილს ეძახის. მხიარული, უდარდელი ტომაზინა გარბის ბაღში. სეპტიმუსი ხსნის მისის ჩეიტერის ბარათს. კონვერტს ჭმუჭნის და განზე მოისვრის. კითხულობს წერილს, მოკეცავს და იმასაც "ეროსის სარეცელში" ინახავს)

სცენა მეორე

სცენაზე ნათდება იგივე ოთახი. ისეთივე დილაა, ოღონდ მოქმედება ჩვენ დროში ხდება. ერთადერთი, რაც ამაზე მიგვითითებს, ჰანა ჯარვისის იერი და ჩაცმულობაა.

აქ ცოტა რამ ასახსნელია: მოქმედება ხან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ხდება და ხანაც მეოცე საუკუნის მიწურულს, ერთსა და იმავე ოთახში. რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ოთახის ინტერიერი ორივე შემთხვევაში უცვლელია, არც რაიმე ემატება და არც რაიმე აკლდება - ორივე დროისთვის შესაფერისია. რაც შეეხება რეკვიზიტს - წიგნებს, ქაღალდს, ყვავილებს - არ არის საჭირო მისი შეცვლა რომელიმე ეპოქის შესაბამისად. მაგრამ ყველა ის წიგნი თუ საგანი, რომელიც ორივე დროს ფიგურირებს, ძველი ვერსიითაც უნდა იყოს წარმოდგენილი და ახლითაც. ბაღი, როგორც ამას მოქმედ პირთაგან შევიტყობთ, მნიშვნელოვნად შეცვლილა. ის კი, რასაც სცენაზე ვხედავთ, უცვლელად უნდა დარჩეს ორივე დროში.

ამ პრინციპით, სამელნე, კალმები და ა. შ. იგივე რჩება, რაც პირველ სცენაში. ასევე, მეორე სცენაში ჰანას გამოკვლევასთან დაკავშირებული წიგნები და ქაღალდები შეიძლება პირველ მოქმედებაშიც ფიგურირებდეს. პიესის განმავლობაში მაგიდაზე ორივე პერიოდის ნივთებია წარმოდგენილი, და იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი ანაქრონიზმია ერთ-ერთი ეპოქისთვის (მაგალითად, ყავის ტოლჩა), სჯობს მასზე საერთოდ არ გავამახვილოთ ყურადღება. პიესის დასარულს მაგიდაზე უამრავი ნივთია თავმოყრილი.

ჰანა ნოუქის ალბომს ათვალეიერებს. ამავე დროს შიგადაშიგ ფურცლავს რვეულებს თუ დღიურებს (ეს ლედი კრუმის "მებაღის დღიურებია"). ცოტა ხანში ჰანას ალბომი ფანჯარასთან მიაქვს და ბაღის ამჟამინდელ ხედს ალბომში ჩახაზულს ადარებს. მერე ალბომს ბიუროზე დებს.

ჰანას სადად აცვია. ფეხსაცმელიც ისეთი შეურჩევია, ბაღში სასიეროდ რომ გამოდგება. იღებს თეოდოლიტს და ბაღში გადის. მცირე ხანს ოთახი ცარიელია.

მერე ერთ-ერთი კარი იღება და შემოდიან ქლო და ბერნარდი. ქლო

სახლის პატრონის ქალიშვილია და საშინაო ტანსაცმელი აცვია. ბერნარდი კი, სტუმარი, კოსტუმში გამოწყობილია და ჰალსტუხიც უკეთია. საერთოდ ის კამკაშა ფერების მოყვარულია, მაგრამ ამჯერად შედარებით თავშეკაცებით აცვია, ერთი ეგ არის, ფარშევანგის კუდის ყველა ფერით აჭრულ-ბულ ცხვირსაბოც ვერ შელევია, რომელიც ახლა მისი პოჯაკის ჯიბიდან ანათებს. ხელში უკავია ტყავის დიდი პორტფელი.

ქლო: ვაი... აკი აქ იყო...

ბერნარდი: ეს კარი ბაღში გადის...

ქლო: ცოტა ხანს დამიცადეთ.

(ქლო გადის ბაღში და თვალთახედვიდან ქრება. ბერნარდი მას ოთახში უტდის. იღება მეორე კარი და შემოიხედავს ვალენტინი)

ვალენტინი: ოხრები!

(ვალენტინი კარს მიხურავს. ბრუნდება ქლო. ხელში რეზინის ბოტები უჭირავს. ჯდება, იხდის ფეხსაცმელს და იცვამს ბოტებს).

ქლო: აქ დაუცადეთ. რა გინდათ იმ ტალახში? ხომ იცით, სულ ბაღშია...

ბერნარდი: რატომ? რატომ უნდა ვიცოდეთ?

ქლო: ამ ბაღის ისტორიას წერს და იმიტომ. თქვენ რა, არ იცოდით?

ბერნარდი: არა. მარტო ის ვიცოდი, კრუმების არქივზე რომ მუშაობდა...

ქლო: ეს მთლად ბაღის ისტორია არ არის. თუმცა, სჯობს, თავად ჰანამ აგისნათ ყველაფერი, იმ არხზეც გითხრათ, კინაღამ შიგ რომ მოადინეთ ზღართან. უნდა მეთქვა, მოხერხებულად მოეწყვეთ, ისე იგრძენით თავი, როგორც საკუთარ სახლში-მეთქი... მაგრამ ეს გამორიცხულია! ოთახიდან ყველაფერი გაზიდეს. პირდაპირ ტუალეტში! უმოკლესი გზა!

ბერნარდი: რა, ყველაფერი ტუალეტში გაზიდეს?

ქლო: თქვენ ვერ გამოიგეთ. ეს ოთახი უმოკლესი გზაა ტუალეტისკენ.

ბერნარდი: გასაგებია. როგორა თქვით, ჰანაო?

ქლო: კი, ჰანა. ცოტა ხანს მომიცდით? (უკვე ბოტები აცვია. დგება).

სულ ერთ წუთს... (ამჩნევს, რომ ბერნარდი საკუთარ ფიქრებშია ჩაფლული). მისტერ ნაითინგილი!

ბერნარდი (გამოფხიზლდება): დიახ, დიახ. დიდი მადლობა. მისის ჯარვისის მწერალი ჰანა ჯარვისია?

ქლო: კი. მისი წიგნი ხომ არ წაგიკითხავთ?

ბერნარდი: წამიკითხავს.

ქლო: ალბათ იმ სენაკშია. აქედან ვერ ვხედავ, კარავი მიშლის.

ბერნარდი: თქვენ რა, ბაღში აწყობთ წვეულებას?

ქლო: საცეკვაო საღამო მთელი საგრადოსთვის. ყოველ წელს ვმართ-
ავთ! სტუმრები გამოპრანჭულები მობრძანდებიან და მერე უბედურად
იტრიტებიან. წინაპრები ახლა სახლში აღარ გვიშვებენ, ბაღში იმხიარუ-
ლეთო. ერთი პატარა ჩაიდანი გვაქვს, ძველებური. ჰოდა, ამასწინდელი
ღრეობის შემდეგ კრისტის აუქციონზე აღმოჩნდა. ვილაცას მოუპარავს
ძლივს მივუსწართო, იხურებოდა უკვე აუქციონი. გამოვისყიდეთ ჩვენ
ჩაიდანი. ჰოდა, ამის მერე ყველაფერს ტაქტიანად მალავენ, ყველაფერს
რისი გაოხრება, მოპარვაც და ნაღებინარში ამოთხვრაც შეიძლება. თუმ-
ცა, ტაქტიანად კი არა, ძალიანაც უტაქტოდ... (გასვლას აპირებს).

ბერნარდი: ჰმ... იცით რა? ჯერ ნუ ეტყვი ჩემ გვარს...

ქლო: ოჰო! კარგი, კარგი...

ბერნარდი (ღიმილით): მოდი, სიურპრიზი მოვუწყვით. მოსულა?

ქლო: კი მაგრამ, ხო გკითხავთ გვარს. რა მოხდება სხვა გვარი რო შე-
გირჩიოთ? სულ ცოტა ხნით.

ბერნარდი: რატომაც არა. კარგი აზრია.

ქლო: რამე სხვა ჩიტის. ისედაც არაფერი გცხიათ ბულბულის.²

(ქლო გადის. ბერნარდი მაგიდაზე დახვავებულ წიგნებს ათვალერებს.
დებს პორტფელს. შორიდან ისმის თოფის ხმა. ბერნარდი ფანჯარასთან
მიდის. კარი იღება და შემოდის ვასი. ბერნარდი შემობრუნდება).

ბერნარდი: ჰელოუ.

(ვასი ხმას არ იღებს. ის საერთოდ არასდროს იღებს ხმას. ალბათ ვერ
ლაპარაკობს. ისედაც დაბნეულია და უცხო დახვავაზე კიდევ უფრო შეც-
ბუნდება. სასწრაფოდ გადის. ცოტა ხანში მეორე კარი იღება და შემოდის
ვალენტინი. ვერ ვიტყვით, დემონსტრაციულად ვერ ამჩნევს ბერნარდსო,
მაგრამ მაინც არ აქცევს ყურადღებას).

ვალენტინი: ეგ ოხრები, მუდრეგები, ოხრები...

(ვიდრე ოთახს გადაჭრის და მოპირდაპირე კარიდან გავა, სულ ამას
გაიძახის. მოხურული კარიდან ისმის მისი ღრიალი: ქლო! ქლო! ბერნარ-
დი თავს უხერხულად გრძნობს. იგივე კარი იღება და ვალენტინი ისევ შე-
მოდის. უყურებს ბერნარდს).

ბერნარდი: ბაღშია. მისის ჯარვისს ეძებს.

ვალენტინი: ავეჯი სად არის?

ბერნარდი: გაიტანეს... იმ თქვენი წვეულების გამო...

ვალენტინი: კი მაგრამ ცეკვები ხო გარეთაა, კარავში...

ბერნარდი: ეს ოთახი ხო უმოკლესი გზაა მახლობელი ტუალეტისკენ.

² Bernard Nightingale (Nightingale "ბულბული")

ვალენტინი: ღამის ქოთნის სადგამი მჭირდება.

ბერნარდი: ტუალეტში რო გასულიყავით?

ვალენტინი: "მონადირის დღიურებითაა" გადაჭედელი.

ბერნარდი: რა? ტუალეტი თუ ღამის ქოთანი?

ვალენტინი: ვისი სტუმარი ხართ?

ბერნარდი: მე... მე ბერნარდ ნაით... მე აქ მის ჯარვისის სანახავად

მოვედი. ლორდ კრუმსაც მივწერე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია.

ვალენტინი: თქვენ რა, დაბეჭდეთ?

ბერნარდი: დავებჭდე?

ვალენტინი: მანქანაზე დაბეჭდილი წერილი გამოგზავნეთ?

ბერნარდი: დიახ.

ვალენტინი: მამა ასეთ წერილებს არ პასუხობს (ამასობაში თვალს
მოჰკრავს კუს, რომელიც ქალაღდის ფურცლებში მიმაღულა). აი, სად
ყოფილხარ, ლაითინგ!³ (ხელში იყვანს კუს).

ბერნარდი: გუშინაც დავრეკე და, მგონი, თქვენ გელაპარაკეთ.

ვალენტინი: მე? ჰო, ჰო, გამახსენდა. ლექციას კითხულობთ ვილა-
ცაზე... და რაღაც გინდოდათ გეკითხათ ჰანასთვის...

ბერნარდი: დიახ. ასეა. იმედი მაქვს, მის ჯარვისი გულისხმიერებას
გამოიჩენს და...

ვალენტინი: რაღაც ეჭვი მეპარება.

ბერნარდი: აჰ, თქვენ იცით იმ სტატიის შესახებ?

ვალენტინი: არა, მე, უბრალოდ, ჰანას ვიცნობ.

ბერნარდი: დიდი ხანია, რაც აქ არის?

ვალენტინი: კი. დედამ მაგისი წიგნი წაიკითხა. თქვენ თუ წაგიკითხ-
ავთ?

ბერნარდი: არა... კი... მაგისი წიგნი... რა თქმა უნდა...

ვალენტინი: ღამის სიამაყით გასკდეს.

ბერნარდი: ასეთი ბესტსელერი რო გამომეცხო...

ვალენტინი: დედაზე ვამბობ. ეამაყება, რო წაიკითხა. ის ხო მარტო
"მებაღის დღიურებს" კითხულობს.

ბერნარდი: ალბათ როგორ უხარია, ჰანა ჯარვისი წიგნს რომ წერს
თქვენ ბაღზე.

ვალენტინი: ბაღზე კი არა, განდევნილებზე (შემოდის ვასი და მათ
დანახვავე გაბრუნებას აპირებს). მოდი, მოდი, ვას. რა გინდა? (მაგრამ
ვასი გადის). ახლა კი ლაითინგს გაეცასიონებ.

ბერნარდი: ჩვენ, მგონი, ადრეც შეგხვედრივართ. სასექსში, ორიოდ
წლის წინ... სემინარზე...

ვალენტინი: მე იქ ვიყავი?

ბერნარდი: კი. ერთმა ჩემმა კოლეგამ რაღაც უაფტორო მოთხრობა
აღმოაჩინა, კომპიუტერით ამოწმა და ამოწმა და დაიჭინა, გინდა თუ არა,
დევიდ ჰერბერტ ლორენსის დაწერილიაო. ვახსოვთ ეს მოხსენება?

³ lightning "ელვა"

პალენტინი: რალაც არ მახსენდება. მე ხო ხშირად ვზივარ თვალდა-
ხუჭული და ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რო არ მძინავს.

ბერნარდი: მოკლედ, იმ ჯაელმა ლორენსისა და ინკოგნიტო ავტორ-
ის წინადადებათა წყობა ერთმანეთს შეუდარა და დაასკვნა, ოთხმოცდა-
ცხრამეტი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ეს მოთხრობა და "შეყ-
ვარებული ქალები" ერთი და იგივე კაცის დაწერილიაო. ამასობაში თქვე-
ნმა ერთერთმა კოლეგამ, მათემატიკოსმა, ჩემდა სასიხარულოდ იქვე და-
უმტყცია, მაგ პრინციპით ლორენსი ნებისმიერი ნაწარმოების ავტორად
შეგვიძლია მივიჩნიოთ, თუნდაც გაზეთ "ბრაიტონში" გამოქვეყნებული
სტატიისათ.

პალენტინი (მცირე პაუზის შემდეგ): უი, ბრაიტონი! ვიყავი, ვიყავი!
(გაიხედავს ფანჯრიდან). აი, ისიც. ახლა დაგტოვებთ. ჰო, მართლა, ის წი-
თელი "მაზდა" თქვენი ხო არ არის?

ბერნარდი: ჩემია. რა იყო?

პალენტინი: თქვენ ადგილას მე მაგას მანდედან მოვაშორებდი. მამა-
ჩემს ალერგია აქვს იაპონურ მანქანებზე. ცისფერი ხო არა ხართ?

ბერნარდი: არა მგონია.

პალენტინი: მაინც გირჩევთ, მოაშორეთ.

(ვალენტინი გადის. ბერნარდი მიხურულ კარს მისჩერებია. მის ზურგს
უკან იღება მეორე, ბალში გამავალი კარი და შემოდის ჰანა).

ჰანა: მისტერ პიკოკ?

(ბერნარდი თვალებით ეჭებს ოთახში ვინმე პიკოკს. შემდეგ გონება უნ-
ათდება და მართლა ბუღბუღივით აულურტულდება).

ბერნარდი: ჰელოუ, ჰელოუ, მის ჯარვის. მოხარული ვარ. იცით, ძა-
ლიან დავიბენი. ის ფოტო ცუდ სამსახურს გინევთ.

ჰანა: ფოტო? (იხდის ტალახიან ფეხსაცმელს).

ბერნარდი: თქვენი წიგნის გარეკანზე. გაცილებით ლამაზი ყოფილხ-
ართ. მაპატიეთ, მე თვითონ რომ არ გამოვედი ბალში... ლედი ქლომ არა-
ფრით...

ჰანა: სწორად მოქცეულა. ფეხსაცმელს გაისვრიდით.

ბერნარდი: მისი მაღლობელი ვარ. თქვენიც... დროს რომ მითმობთ...
თქვენ ძვირფას დროს...

(ცოტა არ იყოს, ზედმეტი მოსდის. ჰანა თვალებით ბურღავს).

ჰანა: ყურნალისტი ხართ?

ბერნარდი (შეცბუნებით): არა, არა.

* Peacock "ფარშევანგი"

ჰანა (თავის ტანსაცმელს ათვალთვალავს): საფრთხობელას ვგავარ.

ბერნარდი (მოულოდნელად): მასე იცის!

ჰანა: რამ?

ბერნარდი: ლაფმა და ტალახმა. ფეხსაცმელი ამოგვეანგლება,
ცხვირს ასრუტუნებ... ისე, საფრთხობელას მარტო ბოსტნის დარაჯს კი
არა, უშნო ქალსაც ეძახიან.

(ჰანა გაღიზიანებული ჩანს, მაგრამ ბერნარდი ამას ვერ ამჩნევს).

ჰანა: რით შემძლია გემსახუროთ, მისტერ პიკოკ?

ბერნარდი: შეგიძლიათ ბერნარდი დამიძახოთ.

ჰანა: გმადლობთ (მიდის ბალში გამავალ კართან და ტალახის მოსაცი-
ლებლად ფეხსაცმელს ერთმანეთს ურტყამს).

ბერნარდი: თქვენი წიგნი! თქვენი წიგნი ნამდვილი აღმოჩენაა. ასეთ
კეროლიან ლემს მე ადრე არ ვიცნობდი. ჩემდა სამარცხვინოდ, ლექციებ-
ზე არასდროს შეგხებებოდა მის ნაწერებს. შესანიშნავი რამეა! საერთოდ,
ვგიჟდები იმ დროზე, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისზე...

ჰანა: თქვენ ლექციებს კითხულობთ?

ბერნარდი: დიახ... ყველა კითხულობს... და თანაც ვწერ... ყველა
წერს... თუმც, თქვენი "კარო" როა, ტყუილია... მასეთი რამ ნამდვილად
არ დამიწერია.

ჰანა: რატო ყველა? მე არ ვკითხულობ ლექციებს.

ბერნარდი: მით უკეთესი თქვენთვის. მეცნიერისთვის დიდი მიღწე-
ვაა მივინყებელი ავტორის გაცოცხლება.

ჰანა: და სწავლება, ლექციის კითხვა არაფერს ნიშნავს?

ბერნარდი: არა. სტუდენტებმა თვითონ იმტვირინ თავი... ერთი სი-
ტყვით, ნება მომეცით, მოგილოცოთ. ახლა კი ვინმე ნამდვილად გამოსც-
ემს კეროლიანის წიგნს.

ჰანა: ალბათ.

ბერნარდი: შესანიშნავი რამეა! ბრავო, მის ჯარვის! ეს წიგნი რალაც
სინათლეს მაინც მოჰყვენს ლორდ ბაირონის ცხოვრებას. ეს თქვენი...

ჰანა: როგორა თქვით, რა მქვიაო? ბერნარდი, არა?

ბერნარდი: ჰო, ასე ვთქვი.

ჰანა: ახლა კი ისე უნდა ჩავიცვა ფეხსაცმელი.

ბერნარდი: რა, ბალში გადისხართ?

ჰანა: არა. ერთი პანაღური უნდა ამოგარტყათ.

ბერნარდი. მესმის. ახლა საქმე: ეზრა ჩეიტერი.

ჰანა: ეზრა ჩეიტერი.

ბერნარდი: თვიკენპემში დაიბადა, მიდლსექსის საგრაფოში, 1778
წელს. დაწერა ორი პოემა - "თურქეთის ასული" 1808-ში და "ეროსის სა-
რეცელი" 1809-ში. 1809 წლის შემდეგ მასზე არაფერია ცნობილი. ქრება.

ჰანა: კარგი. მერე?

ბერნარდი (ხნის პორტფელს): მას აქვს კავშირი სიდილი პარკთან (პორტფელიდან იღებს "ეროსის სარეცელს". კითხულობს მიძღვნილ წარწერას). "ჩემს საუკეთესო მეგობარს, სეპტიმუს ჰოჯს, ამ წიგნის ავტორის მხარდამჭერსა და გულშემმატკივარს, სახსოვრად ეზრა ჩეიტერისგან. სიდილი პარკი, დერბიშირი, აპრილის 10, 1809 წელი." (წიგნს ჰანას აძლევს). თქვენი მონა-მორჩილი...

ჰანა: "ეროსის სარეცელი". ვარგა?

ბერნარდი: ღირს ნაკითხვა.

ჰანა: წიგნს დანერთ ამაზე?

ბერნარდი: არა, არა. ალბათ სტატიას ლიტერატურული ჟურნალისთვის. ჩეიტერი ერთი სიტყვითაც კი არ არის ნახსენები ბიოგრაფიულ ცნობარში. იმას რო ადგენდნენ, ეზრა აღარავის ახსოვდა...

ჰანა: ნათესავეები? შთამომავლობა?

ბერნარდი: არანაირი. ბრიტანეთის ბიბლიოთეკის კატალოგში მარტო ერთი ჩეიტერი ფიგურირებს.

ჰანა: მისი თანამედროვე?

ბერნარდი: კი. მაგრამ ამ ჩვენ ეზრასგან განსხვავებით ის კაცი პოეტი არ ყოფილა. ბოტანიკოსი გახლდათ. ჯუჯა გეორგიები აქვს აღწერილი, მარტინიკაზე რო ხარობენ, ისინი. მერე მაიმუნმა უკბინა და მოკვდა.

ჰანა: და ეზრა ჩეიტერი?

ბერნარდი: ორჯერ არის ნახსენები პერიოდიკაში. მაგისი ორივე წიგნი "პიკადილის ამბებში" განუხილავთ. იყო ეგეთი გამოცემა, დიდფორმატიანი. კვირაში სამჯერ გამოდიოდა. მაგრამ არავითარი ცნობები თავად ავტორზე!

ჰანა: ეს წიგნი საიდანა გაქვთ?

ბერნარდი: კერძო კოლექციიდან. მომავალ კვირას ლონდონში მოხსენებას ვკითხულობ. ჩეიტერი ხალხს დააინტერესებს. თუ მეტყვით რამეს სეპტიმუს ჰოჯზე... სიდილი პარკზე... თქვენი უსაძღვროდ მაღლიერი ვიქნები...

(პაუზა)

ჰანა: ო, ეს უკვე საინტერესოა. ლაქუცა სწავლული!

ბერნარდი: არა, არა. ღმერთმა დამიფაროს!

ჰანა: ასეა, ასე. ყველა კრიტიკოსმა, ვინც ჩემი წიგნი ნაკითხა, ლმობიერება გამოიჩინა, წერე თუ გენერებაო.

ბერნარდი: არ მჯერა.

ჰანა: ნუ დაიჯერებთ. "ბაირონისტებმაც" გამოიჩინეს მონყალეა... ზვანჯრის ელვა-შესაკრავები გაიხსნეს და გულმოდგინედ გააპატიოსნეს ჩემი წიგნი. ჰო, მართლა, სად ასწავლით, უფრო სწორად, სტუდენტებს სად ამტვრევენებთ თავებს?

ბერნარდი: სასექსში.

ჰანა: სასექსში (დაფიქრდება). ნაითინგელი. დიახ, დიახ, ნაითინგელი. "ობზერვერის" გვერდებიდან შემომიჭია. ეს ჩვენი სფეროა, შენ აქ რა გესაქმებია! მოკლედ, ლაზათიანი ჭიტლაყი ამომკრა. შეუძლებელია, არ იცნობდე.

ბერნარდი: როგორც მიბრძანებთ.

ჰანა: მაშ მიპასუხეთ.

ბერნარდი: გთხოვთ...

ჰანა: დაჯექით, ბერნარდ!

ბერნარდი: გმადლობთ.

(ბერნარდი ფდება, ჰანა - არა. ჰანა შეიძლება ეწეოდეს კიდევ. და თუ მწეველია, წესით, სწორედ ახლა უნდა გააბოლოს. მოკლე მუნდშტუკიც მოუხდება და წვრილი, ყავისფერი "ფემინაც".)

ჰანა: რა იცოდით, აქ რო ვიყავი?

ბერნარდი: არაფერიც არ ვიცოდი. მაგათ ბიჭს ველაპარაკე ტელეფონით და საერთოდ არ უხსენებიახართ... მერე კი ჩემი ხსენებაც დაავინყდა.

ჰანა: აჰ, ვალენტინი? ოქსფორდელია. უფრო სწორად, იქ ირიცხება.

ბერნარდი: ადრეც შევხვედრივარ. ვიცნობ ეგეთებს.

ჰანა: ჩემი საქმროა (მედგრად უძღვებს ბერნარდის მშერას).

ბერნარდი (მცირე პაუზის შემდეგ): ვაკებდავ და ვიტყვი - ცრუობ.

ჰანა: ყოჩაღ, ბერნარდ.

ბერნარდი: ო, ღმერთო...

ჰანა: ასე მეუბნება, ჩემი საცოლელ ხარო.

ბერნარდი: რატომ?

ჰანა: ასე ხუმრობს.

ბერნარდი: უარი უთხარი?

ჰანა: რას ბოდავ, ბერნარდ? მიგავს რამე მომავალი გრაფინიასი?

ბერნარდი: არა, არა, ვხუმრობ. ისე კარგად ყლერს - ჩემი კუ ლაითინგი, ჩემი საცოლელ ჰანა...

ჰანა: კარგი, კარგი ბერნარდ. რაღაც ნამდვილად არის შენში... მაგრამ მე ეგ რაღაც სულაც არ მხიბლავს.

ბერნარდი: ვალენტინი რა მოხელეა?

ჰანა: ასპირანტია. ბიოლოგი.

ბერნარდი: არაფერიც, მათემატიკოსია.

ჰანა: მისი საქმე მწყრები და როჭოებია.

ბერნარდი: რა, ნადირობს?

ჰანა: არა, ითვლის. ოღონდ კომპიუტერზე.

ბერნარდი: ის ვილაა, ხმას რო არ იღებს?

ჰანა: გასი.

ბერნარდი: რა სჭირს?

ჰანა: არ მიკითხავს.

ბერნარდი: ოჯახის უფროსიც დიდი მახალო ვინმეა.

ჰანა: კი.

ბერნარდი: მაგის ცოლი კიდე მებაღე უნდა იყოს. მითხარი, რა ხდე-
ბა აქ, რა ხალხია?

ჰანა: რატომ მეკითხები?

ბერნარდი: კინალამ ბორბლებით თავი არ წაეცალე. თხრილში ჩაყუ-
ნცულიყო.

ჰანა: არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს, ისე კი არ არის საქმე! აქ
ადრე იტალიური პარკი იყო, 1740 წლამდე. ლედი კრუმს ამ ბაღის ისტო-
რია აინტერესებს. მე მაგას ჩემი წიგნი გამოვუგზავნე, რომელიც, სხვათა
შორის, ბროკეტ შოლის პარკის დეტალურ აღწერას შეიცავს, ის პარკი კი
კეროლაინის საკუთრება გახლდა. თუ წაგიკითხავს ჩემი წიგნი, გეცოდინ-
დება, მაგრამ გული მეუბნება, არც წაგიკითხავს და არც არაფერი. ახლა
კი ამ პერმიონეს ვეხმარები...

ბერნარდი: ოჰო! პერმიონეს!

ჰანა: კარგი ნახაზები შემორჩენიათ, ჩანაწერები... მაგრამ, რად გინ-
და? აქამდე არავის გაუცხებებია ამით თავი.

ბერნარდი: თანდათანობით მართლა მომწონხარ.

ჰანა: თანდათანობითო? აბა, ადრე სიბაზნდობდი?

ბერნარდი: როგორ მიხვდი? აბა, რას ვშერებოდი! ის ფოტოც ის არ-
ის, რაც შენ. აი, წიგნი კი...

(ჰანა ბერნარდს შეჰყურებს. საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული
ბერნარდი მას მოლოდინით მისჩერება.)

ჰანა: სექტიმუს ჰოჯი რეპუტიტორი იყო.

ბერნარდი (ხმადაბლა): ჩემი კარგი გოგო!

ჰანა: კრუმების გოგოს ასწავლიდა. იმათ ბიჭიც ჰყავდათ, ის კიდე
იტონში სწავლობდა. სექტიმუსი მაგათ სახლში ცხოვრობდა: ხარჯთაღრი-
ცხვის დავთარში მის მიერ ათვისებული ღვინისა და სანთლების ღირებუ-
ლება ფიგურირებს. ასე რომ, არც მთლად სტუმარი იყო და არც მთლად
მსახური. ქალაქებში მის წერილს წავაწყდი: საკუთარ თავს უწევს რე-
კომენდაციას. თუ გინდა, გიპოვი. რამდენადაც მახსოვს, კემბრიჯში მა-
თემატიკას სწავლობდა და კიდევ ნატურ-ფილოსოფიას. ასე თუ ისე, მე-
ცნიერი იყო...

ბერნარდი: საინტერესოა! დიდი მადლობა. ჩეიტრზე რას მეტყვი?

ჰანა: ვერაფერს. არ არის ნახსენები.

ბერნარდი: საერთოდ არა?

ჰანა: არა-მეთქი.

ბერნარდი: ბიბლიოთეკაში ნახე?

ჰანა: კატალოგი ში-იან წლებშია შედგენილი. თითქმის ყველაფერი ვნახე.

ბერნარდი: რა ნახე, კატალოგი თუ წიგნები?

ჰანა: კატალოგი.

ბერნარდი: წიგნები უნდა გენახა.

ჰანა: ბოდიში, ბატონო, ბოდიში.

ბერნარდი: არც წერილებშია ნახსენები?

ჰანა: არა, ყველაფერი გადავქექე "შენი" პერიოდიდან... იმიტომ რომ,

სხვათა შორის, ეგ "ჩემი" პერიოდიცაა.

ბერნარდი: მართლა? მე რო არ ვიცი, რაზე მუშაობ?

ჰანა: სიღლის განდევნილი გაგიგია?

ბერნარდი: ეგ ვილა?

ჰანა: ეგ ჩემი საზომია. მაგით ვზომავ რომანტიკული წარმოსახვის
დაცემას. 1750-1834 წლების ლანდშაფტსა და ლიტერატურას ვსწავლობ.

ბერნარდი: რა მოხდა 1834-ში?

ჰანა: რა და გარდაიცვალა ის ჩემი განდევნილი.

ბერნარდი: ცხადია.

ჰანა: რას ნიშნავს "ცხადია"?

ბერნარდი: არაფერს.

ჰანა: თქვი.

ბერნარდი: არაფერს... თუმცა... კოლრიჯიც 1834-ში გარდაიცვალა.

ჰანა: კი, მასე იყო. რა ბედნიერი დამთხვევაა. (გაცილებით რბილად)

გმადლობ, ბერნარდ (მიდის ბიუროსთან და გადაშლის ნოუქსის ალბომს).
აი, ნახე. ესეც ჩვენი განდევნილი.

(ბერნარდიც მიდის ბიუროსთან.)

ბერნარდი: ჰმ...

ჰანა: აი, მისი ერთადერთი სურათი... თუ შეიძლება ასე ეწოდოს ამ
ნახატს.

ბერნარდი: ბიბლიურ პერსონაჟს ჰგავს.

ჰანა: ეს უფრო გვიანაა დახატული. ნოუქსი რო აპროექტებდა ბალს,
მაშინ სენაკი იქ არ ყოფილა. მარტო ნოუქსის ნახაზებში იყო...

ბერნარდი: ნოუქსი მხატვარი იყო?

ჰანა: ბაღების დამპროექტებელი. ასეთ ალბომებს ადგენდა თავისი
შემკვეთებისთვის (უჩვენებს ალბომს). აი, ნახე: იქამდე და იმის შემდეგ.
ასე გამოიყურებოდა იქაურობა დაახლოებით 1810 წლამდე: მინდვრები,
ფერდობები, მიხვეულ-მოხვეული ბილიკები, ტბა, ხეების კორომი, კლასი-
კური ნავსადგომი.

ბერნარდი: მშვენიერია! მოკლედ, ნამდვილი ინგლისი.

ჰანა: აბა, ეხლა სისულელეს მოეშვი, ბერნარდ! ინგლისური პეიზაჟი
ხო მებაღეებმა შექმნეს უცხოელი მხატვრების მიბაძვით. ისინი კი, თავის
მხრივ, კლასიკოსებს ბაძავდნენ. მთელი ინგლისური პეიზაჟი კოხტად შე-
ფუთული ჩამოიტანეს შორეული მხარედან. აი, ნახე: ბრაუნი ბაძავს

კლოდს, კლოდი თავის ნახატებს ვირგილიუსის მოტივებზე ქმნის. ესეც შენი იდილია, ესეც შენი არკადია! აი, აქ კიდევ რიჩარდ ნოუქსის ველური ბუნება, სალვატორ როზას სტილში. პეიზაჟი გოთური რომანის მოტივებზე! ვამპირებია აკლია. სხვათა შორის იქაურ განდევნილს შენი სახელგანთქმული მოგვარე ახსენებს თავის სტატიაში.

პერნარდი: ვინ, ფლორენს ლავ ნაითინ...

პანა: რაო?

პერნარდი: არაფერი. მიდი, მიდი, თქვი.

პანა: ვინ და თომას ლავ პიკოკი.

პერნარდი: ჰოო...

პანა: 1860-იანი წლების "კორნჰილ მეგეზინში" წავანყდი წერილს განდევნილებსა და მუუდაბნოებზე... (მაგიდაზე დახვავებულ წიგნებს შორის ეძებს ამ ჟურნალს და პოულობს კიდევ). 1862.. პიკოკი მას ასე ახასიათებს (იხსენებს ციტატას): "არა სოფლელი ტეტია, ისეთი, მარტო კეთილშობილი ქალბატონების დასაფრთხობად რომ გამოდგება, არამედ ბრძენი სულელთა შორის, გონიერი შეურაცხადთა გარემოცვაში."

პერნარდი: აი, მესმის ოქსიმორონი...

პანა (წერილში საჭირო ადგილს ეძებს): ჰო... რას ამბობდნი?

პერნარდი: ისეთს არაფერს.

პანა (როგორც იქნა, იპოვა ის, რასაც ეძებდა): აი, ბატონო: "ჰედლონგ ჰოლის" ავტორის ოცდაათი წლის წინანდელი წერილი მოგვითხრობს კრუმების მამულში, სიდლი პარკში მისი სტუმრობის შესახებ."

პერნარდი: ეს წერილი თეკერის გაუფზავნეს?

პანა (აცბუნებს მოულოდნელი შეკითხვა): არ ვიცი. აქვს რამე მნიშვნელობა?

პერნარდი: არა. მაპატიე. (ისე იქცევა, თითქოს რალაცას ბოლომდე არ ამბობდეს, - მხოლოდ იმისთვის, პანა რომ დაინტერესოს; ისიც თითქმის წამოეგო ამ ანკესზე). თეკერი ხომ ამ ჟურნალს 63 წლამდე გამოცემდა და, როგორც ჩემზე უკეთ მოგვხსენება, ამავე წელს გარდაიცვალა. მამამისი ოსტ ინდოეთის კომპანიაში მსახურობდა, იქ კი რევიზორი მისტერ პიკოკი იყო. ჰოდა, თუკი სტატიის ავტორი თეკერია, საეგებოთ შესაძლებელია, რომ ეს წერილი... კიდევ ერთხელ მაპატიე. მიდი, განაგრძე. თუმცა, მოიცა. ბლექფარიაარსის ოსტ ინდოეთის ბიბლიოთეკაში დაცულია პიკოკის წერილთა უმრავლესობა, ასე რომ, ძნელი არ იქნება... მანახე (პანა მორჩილად უწვდის ჟურნალს). ოჰ, ამოგლეჯილია ის ფურცლები... იქნებ ლირდეს კიდევ... (სტატიას თვალს გადააგლებს და აბითხითდება). ასეა, ასე. თეკერია, მაშ ვინ არის? (ხმაურით ხურავს ჟურნალს). აი, ხათაბალა! რაო, რას ამბობდნი?

პანა: შენ სუ ასეთი ხარ?

პერნარდი: მაინც როგორი?

პანა: საქმე ისაა, რომ კრუმებს ოცი წლის მანძილზე ცხვირნი 3ყავდათ ის განდევნილი, და ერთხელაც არ მოსვლიათ თავში მისი ხსენება. პი-

კოკის წერილია ერთადერთი წყარო... ჩემდა სავალალოდ... აი, ეს რო წაეკითხე (უჩვენებს ჟურნალს), უკვე ვიცოდი, როგორი უნდა ყოფილიყო ჩემი შემდეგი წიგნი. თითქოს გონება გამინათდა... სიდლი პარკის განდევნილი ჩემი...

პერნარდი: საზომი იყო.

პანა: არა. აღმოჩენა... გამოცხადება...

პერნარდი: გამოცხადება!

პანა: განდევნილი თითქოს პეიზაჟის სრულყოფისთვის სჭირდებოდათ... როგორც რალაც სამშენისი... ფაიფურის ჯუჯა...

პერნარდი: რამეს აკეთებდა?

პანა: ძალიანაც ბერს. როცა გარდაიცვალა, ნახეს, რომ მისი სენაკი ქალაქდებით იყო სავსე. ასობით, ათასობით ნაწერი ფურცელი იპოვეს. პიკოკი წერს, ეგონათ გენიოსის ჩანაწერები აღმოაჩინესო. მაგრამ გაირკვა, რომ დარეხილთან ჰქონიათ საქმე. თითოეული ფურცელი მისტიკური მტკიცებულებებით გადაეჭედა, სამყაროს დასასრულს წინასწარმეტყველებდა... ხო მაგარია? მაგარი სიმბოლოა!

პერნარდი: კი, მაგარია. მაგრამ რისი სიმბოლო?

პანა: მთელი რომანტიკული მონაჩაბის, ბერნარდ! რა დაემართა განმანათლებლობის ეპოქას? მისი ინტელექტუალური სიმკაცრე აბსურდმა შეცვალა. დარტყმულები გენიოსებად შერაცხეს. იაფფასიანი გოთური საშინელებები და ყალბი ემოციები! იმ ბალის ისტორიაში მშვენივრად არის ასახული ეს ყველაფერი. სიდლი პარკის 1730 წლის გრავიურაა აღმოჩენილი. ედემი გლობალური აყვავების ხანაში! აგატირებს კაცს. 1760 წლისთვის კი ყველაფერი გაპარტახებული იყო: თვალწარმტაცი ტოპიარა, აუზები, ტერასები, შადრევნები და ცაცხვის ხეივანი... მთელი ეს სილამაზე, ეს მშვენიერი გეომეტრია მიწასთან გაასწორა ბრაუნმა... ხასხასა ბალახმა პარმალიდან პორიზონტისკენ გადაინაცვლა... ბზის ბუჩქების დობე, საუკეთესო მთელ დერბიშიში, აყარეს და მის ადგილზე რალაც არხები გაიყვანეს... თხრილებით გადასერეს იქაურობა... აქაოდა ამიერიდან უფლის საუფლოში ვიცხოვრებთო. მერე კიდევ რიჩარდ ნოუქსი გამოტყვრება და ამ საუფლოს ახლებურად გარდაქმნის... აი, ნახე ალბომში. დაცემა, განადგურებაც ამას ჰქვია!

პერნარდი (მოწონებით): ეგ კარგადა თქვი, რაც მართალია, მართალია.

(პანა ფიქრობს, ხომ არ დამცინისო, მაგრამ ბერნარდი ეჭვს უბათილებს).

პერნარდი: არა, მართლა, წყალი არ გაუვა!

პანა: დიდი მადლობა.

პერნარდი: პირადად მე არაფერი მაქვს არხების საწინააღმდეგო. შენ ცოცხალი ღობე გირჩევნია, არა?

ჰანა: მე ვერ ვიტან სენტიმენტალობას!
 ბერნარდი: დარწმუნებული ხარ? რა ვიცი, იმ გეომეტრიის მიმართ
 კი იჩენ სენტიმენტალობას და... განდევნილი მართლა კარგად აღწერე ად-
 გილის სული!

ჰანა (კმაყოფილებით): წიგნსაც ეგრე ვასათაურებ.
 ბერნარდი: რა თქმა უნდა.
 ჰანა (ნაკლები კმაყოფილებით): რა "რა თქმა უნდა?"
 ბერნარდი: რა და ვინ იყო ეგ შენი განდევნილი, ვიდრე სიმბოლოდ
 იქცეოდა?
 ჰანა: არ ვიცი.
 ბერნარდი: მეც მანდა ვარ.
 ჰანა: ჯერ არ ვიცი.
 ბერნარდი: ბუნებრივია. იმის ნაწერებს რა ბედი ეწია? ამბობს რამეს
 ამაზე პიკოკი?
 ჰანა: ცეცხლს მისცეს...
 ბერნარდი: ხედავ?
 ჰანა: ლედი კრუმის "მეზალის დღიურები" უნდა გადავთვალიერო.
 ბერნარდი: დღიურები თუ დავთრები?
 ჰანა: ორივე. ყველაფრის არა, მაგრამ ზოგი რამის შეტყობა კი შეიძ-
 ლება.
 ბერნარდი: მართლა? ბაირონს ხო არ გადააწყფი სადმე? ისე, სიტყ-
 ვაზე...
 ჰანა: "ჩაილდ ჰაროლდის" პირველი გამოცემა აქვთ და, მგონი, "ინგ-
 ლისელი ბარდები".
 ბერნარდი: წარწერიანი?
 ჰანა: არა.
 ბერნარდი: წერილებშიც არ ახსენებენ?
 ჰანა: რატომ უნდა ახსენონ? ეგ რა, ახსენებს კრუმებს თავის წერი-
 ლებში?
 ბერნარდი (უემოციოდ): მართალი ხარ. მაგრამ ნიუსტედი არც ისე
 შორსაა აქედან. ძაან გენყინება, შენ მასალებში რო ჩავიჭყითო? მარტო
 იმაში, რაც უკვე დამუშავებული გაქვს.
 ჰანა (თითქოს რალაცას ხვდება): შენ ჩეიტერი გაინტერესებს თუ ბა-
 ირონი?
 (გვერდითი კარიდან შემოდის ქლო. ფეხზე მხოლოდ ყელწინდები აც-
 ვია. მოათრევს უამრავ ერთნაირ, ტყავის ყდიან დავეთარს. თავისი ფეხსა-
 ცმლის ასალებად შემოვიდა).

ქლო: უი, მაპატიეთ... სულ ერთი წამით... იქ, სასადილოში ჩაი
 გვაქვს... მხოლოდ ტოლჩებით მოგიწევთ დალევა... ხო არა უშავს?
 ბერნარდი: დიიდი მაადლობა...

ქლო: ჰანა გაგიყვანო.
 ბერნარდი: მოიცაო, მოგეზმარებით.
 ქლო: ნუ შენუხდებით...

(ბერნარდი უღებს მოპირდაპირე კარს).

ქლო: გმადლობთ. ვალენტინის წიგნები უნდა შევიწახო...

(ბერნარდი კარს ხურავს).

ბერნარდი: რა კარგი გოგოა.
 ჰანა: ჰმ...
 ბერნარდი: რატომ "ჰმ?"
 ჰანა: რა "რატომ ჰმ?"

(იღება კარი და ქლო შემოყოფს თავს).

ქლო: მამა თუ რამეს გეტყვით მანქანაზე, დიდად არ ინაღვლოთ. გა-
 რთულება აქვს მაგაზე, მისტერ ნაითინგილ... (მანაც წამოსცდა ეს გვა-
 რი). ვაიმე! როგორ მოეწონა სიურპრიზი? ჯერ არ გითქვამთ? უკაცრავ-
 ად... ჩაი მიირთვით... უკაცრავად...

(უხერხულად იშუშდება და გადის).

ჰანა: შე ნაგავო, შე ნაგავო... (გასვლას აპირებს).
 ბერნარდი: მოიცა, რა. საქმე იმაშია, ბაირონიც დაკავშირებულია...
 ჰანა: ფეხებზე მკიდა.
 ბერნარდი: არ უნდა გეკიდოს. არ გინდა, იმ ბაირონისტების ხროვას
 ის თავისი ასოები ხვანჯრის ელვა-შესაკრავებში მოეტანოს?
 ჰანა (მცირე პაუზის შემდეგ): არ ხუმრობ?
 ბერნარდი: თუ გვერდში ამომიდგები.
 ჰანა: რა უნდა გავაკეთო?
 ბერნარდი: დაჯე და გეტყვი.
 ჰანა: ჩემზე ნუ დარდობ. ასე მოგიხმენ.
 ბერნარდი: ეს წიგნი, "ეროსის სარეცელი" ბაირონის კუთვნილება
 იყო.

ჰანა: ბაირონისა კი არა, სეპტიმუს ჰოჯის.
 ბერნარდი: თავიდან კი. მაგრამ განა ბაირონის ბიბლიოთეკა არ გაი-
 ყიდა ვალებში 1816 წელს, როცა ინგლისიდან აითქვას? აუქციონის კატა-
 ლოგი ბრიტანეთის ბიბლიოთეკაშია დაცული. "ეროსის" ნომერი 74ა იყო.
 ჯონ ნაითინგილმა შეიძინა, ბუკინისტმა და გამოცემელმა. იმისი მალა-
 ზის მისამართია Opera-Court, Pall Mall. მერე ეს ფირმა თუ მალაზია მის

შთამომავლებს დარჩა. "ნაითინგეილი და მეტლოკი". ახლანდელი ნაითინგეილი კი ჩემი ბიძაშვილია.

(ბერნარდი ცოტა ხნით ჩუმდება. მცირე ყოყმანის შემდეგ ჰანა ჯდება.)

ბერნარდი: მოდი, მოკლედ აგიხსნი. 1939 წელს წიგნები კენტიის საგრაფოში გადაიტანეს, ნაითინგეილების საზაფხულო რაზიდენციაში, 1945-ში კი ისევ მალაზიას დაუბრუნეს. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის წიგნებით გამოტენილი ყუთი რატომღაც მიავიწყდათ და ისიც უქმად ეგდო სარდაფში... იქამდე, ვიდრე სახლი არ გაიყიდა... მაშინ ხო გვირავი გაჰყავდათ... ლა-მანშის ქვეშ... "ეროსიც" მაშინ იპოვეს. ბარათიც ჰქონდა მინებებული, იმ აუქციონისა... ახლავე გიჩვენებ ქსეროასლს.

(პორტფელიდან იღებს ასლს და აძლევს ჰანას. ჰანა ათვლიერებს.)

ჰანა: ვთქვით ასეა. ბაირონის ბიბლიოთეკაში იყო...

ბერნარდი: ნახე, რამდენი ადგილია ხაზგასმული (ჰანა ისევ იღებს წიგნს). არა, არა! მაგ წიგნს კი არა, მე მიყურე. ყველა ეს გახაზული პასაჟი, უკლებლივ ყველა, სიტყვა-სიტყვითაა ციტირებული "ეროსის სარეცელზე" დაწერილ რეცენზიაში. "პიკადილის ამბებშია" გამოქვეყნებული, 1809 წლის 30 აპრილს. რეცენზენტი წერილის დასაწყისშივე გვთხოვს, ყურადღება მივაქციოთ მის სტატიას "თურქეთის ასულის" შესახებ, რომელიც ადრე ამავე ჟურნალში გამოუქვეყნებია.

ჰანა: ჰოდა, ეგ რეცენზენტი ჰოჯი უნდა იყოს. "ჩემს მეგობარს, სეპტიმუს ჰოჯს, ამ წიგნის ავტორის მხარდამჭერსა და გულმემატიკვარს".

ბერნარდი: მაგამია საქმე! "პიკადილი" ორივე წიგნს აცამტკვერებს.

ჰანა: როგორ ფიქრობ, ეგ წერილები ჰგავს ბაირონისას?

ბერნარდი (პორტფელიდან იღებს ორ ქსეროასლს). გაცილებით უფრო ბაირონისეულია, ქალბატონო, ვიდრე ბაირონის წინა წლის რეცენზია უორდსუორთზე.

(ჰანა უყურებს ქსეროასლებს.)

ჰანა: გასაგებია. გილოცავ! ბაირონის აქამდე უცნობი ორი რეცენზია. ხო ასეა?

ბერნარდი: ჯერ სადა ხარ! იმ წიგნს ხო საკეტები ჰქონდა. ჰოდა, სამი დოკუმენტი სუ სალ-საღმათად არის შემონახული (დიდის რუდუნებით იღებს პორტფელიდან პაკეტს. სათითაოდ უკითხავს ჰანას ორიგინალებს). "სერ, გადაუდებელი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი. იარაღის დარბაზში გელოდებით. ე. ჩეიტერი, ესკავირი." ეს ერთი. ახლა მეორე: "ჩემმა ქმარმა კაცი გაგზავნა ქალაქში ორი პისტოლეტისთვის. უარყავით ყველაფე-

რი, რისი დამტკიცებაც შეუძლებელია. ჩვენი სიყვარულის, Charity-ის გულისთვის. დღეს ჩემი ოთახიდან არ გამოვალ." ხელმოუწერელია. აი, მესამეც: "სიღლი პარკი, 11 აპრილი, 1809 წ. სერ, თქვენ ცრუპენტელა ხართ და არამზადა! თქვენ ჟურნალის ფუცლებზე ლაფში ამოსვარეთ ჩემი სახელი. ველი თქვენგან სატისფაქციას. ველი, როგორც ჯენტლმენი და პოეტრი. ე. ჩეიტერი, ესკავირი."

(პაუზა)

ჰანა: გენიალურია. გენიალური, მაგრამ სადავო. წიგნი შეიდი წლის შემდეგ მოხვდა ბაირონთან. ეს სულაც არ აკავშირებს ბაირონს ჩეიტერთან, ან სიღლი პარკთან. არც ჰოჯთან, სხვათა შორის. თანაც ბაირონი კრინტს არა ძრავს ამაზე თავის წერილებში, ასეთი სკანდალური რამ კი მას ენაზე ნამდვილად არ გაუჩერდებოდა!

ბერნარდი: სკანდალური?

ჰანა: აბა რა? იმ ჩეიტერს სასტიკად გაამასხარავენდა.

ბერნარდი: გაამასხარავენდა? ეგ რა არის? (ცოტა ხნით ჩუმდება და ჰანას რეაქციას ელოდება). ბაირონმა მოკლა ჩეიტერი!

ჰანა (წაიფრუტუნებს): კარგი ერთი!

ბერნარდი: ჩეიტერი 31 წლის იყო. ორი წიგნის ავტორი. "ეროსის" მერე აღარაფერი დაუნერია. 1809 წლის აპრილის შემდეგ სადღაც ორთქლდება. ბაირონმა კი თავისი სატირა "ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველები" იმავე წლის მარტში გამოაქვეყნა. უკვე სახელს იხეჭქდა. მაგრამ ადგა და ლისაბონისკენ მოუსვა, პირველივე გემით... და ორი წელი დაჰყო უცხოობაში. ჰანა, ახლა კი ჩვენც მოვიხვეჭთ სახელს! კრუმების წერილებში არაფერია?

ჰანა: არა. აკი ყველაფერი ვნახე.

ბერნარდი: ჩემი ფეხები ნახე! შენ სუ სხვა რამეებს ნახულობდი. ეგ ასე იოლი ხო არა გგონია: "როგორც ეს ლორდ ბაირონმა მახვილგონიერულად აღნიშნა საუზმობისას..." არა, მასე არ არის, გენაცვალე.

ჰანა: კი მაგრამ, სადმე ხო იქნებოდა ნახსენები. არაფერი მიუთითებს მის იქ ყოფნაზე და მეც მგონია, რო არც არასდროს ყოფილა.

ბერნარდი: ერთი მეც გადავხედო...

ჰანა: წყალს ამიმღვრევ, ბერნარდ!

ბერნარდი: მე არაფერი მეშლება, გოგონი...

ჰანა: რა შენი გოგონი ვარ! თუკი რამე ვიპოვე ბაირონზე, ჩეიტერზე ან ჰოჯზე, მოგაწვდი. გამოგიგზავნი. ნაითინგეილი არა ხარ სასექსიდან?

(პაუზა. ჰანა დგება.)

ბერნარდი: გმადლობთ. მაპატიე ჩემ გვართან დაკავშირებული... გაუგებრობა...

ჰანა: აჰ, როგორ გეკადრებათ!
ბერნარდი: მოიცა, მოიცა. ჰოჯი სად სწავლობდა?
ჰანა: ტრინიტის კოლეჯში.
ბერნარდი: მაშ, ტრინიტისში, არა?
ჰანა: ჰო. (ყოყმანით) ჰო. ბაირონიც იქ სწავლობდა.
ბერნარდი: ჰოჯი რამდენი წლის იყო?
ჰანა: ზუსტად არ მახსოვს... ვნახავ... მაგრამ, მგონი, ბაირონზე ერთი
თუ ორი წლით იყო უფროსი. ოცდაორის უნდა ყოფილიყო...
ბერნარდი: ტრინიტის კოლეჯში ერთსა და იმავე დროს სწავლობდნენ?

ჰანა (დაღლილი ხმით): ჰო, ბერნარდ, ჰო. და ალბათ კრიკეტის ერთ
გუნდშიც თამაშობდნენ, როცა ჰაროუ იტონს ერკინებოდა...
(ბერნარდი ჰანას უახლოვდება).
ბერნარდი (აუღელვებლად): მაშ სკოლის მეგობრები იყვნენ?
ჰანა (იშეშვება): ჰო, ასე უნდა ყოფილიყო...
ბერნარდი: აი, შე ბენტერა!

(გახარებული გადაეხვევა ჰანას და შავრად კოცნის ლოყაზე. ამ დროს
შემოდის ქლო).

ქლო: ვაი... უი... აქ შემოგიტანეთ... (პატარა სინით ორი ტოლჩა შემო-
აქვს).
ბერნარდი: ახლა წავალ და ჩემ მანქანას მიეხედავ.
ჰანა: უნდა გადამალო?
ბერნარდი: არა, უნდა გავყიდო. ამ სოფელში რამე პატარა სასტუმ-
რო არ მოიძებნება? ისეთი, კარგა ხნით რო შემიფაროს? (შებრუნდება და
ბაღში გამავალი კარისკენ მიდის). რა მაგარია არა, რო ჩამოვედი! (გად-
ის).

ქლო: შენზე თქვა, ვიცნობო.
ჰანა: ვერ იტყოდა.
ქლო: არა, იცი როგორ თქვა? სიურპრიზი უნდა მოვეუნყო. ეს ბერნარ-
დი დიდი სექსუალური ყმაწვილია, არა?

ჰანა: რაო?
ქლო: სიარულის მანერაზე ეტყობა. გინდა დაგიპატიუო?
ჰანა: სად? არა.
ქლო: თუ გინდა, შენ თვითონ დაპატიუე. უკეთესია. შენი პარტნიორი
იქნება...

ჰანა: მორჩი. ჩაისთვის გმადლობთ.
ქლო: შენ თუ არ გინდა, მე დამითმე. ცოლიანია?
ჰანა: აზრზე არა ვარ. შენ რა, ბიჭები შემოგაკლდა?

ქლო: მე შენსკენაო...
ჰანა: შემეშვი... არ მაინტერესებს...
ქლო: ცეკვის პარტნიორი ვიგულისხმე, რა მოხდა? საუკეთესო ვარი-
ანტია...
ჰანა: არც გამოპრანჭვა მინდა და არც პარტნიორი მჭირდება. ყველა-
ზე ნაკლებად კი მისტერ ნაითინგელი. და საერთოდ, მე არ ვცეკვავ...
ქლო: რა იყო, რა ეკლები გამოისხი? შენ არა კოცნიდი ცოტა ხნის
წინ?
ჰანა: მე არა. ისა მკოცნიდა. თანაც მხოლოდ მეცნიერული ალტყინე-
ბით...
ქლო: მე რე მე არაფერი დამაბრალო. რას გაიხარებს ჩემი ტვინიკოს
ძმა! ხო იცი, რო უყვარხარ.
ჰანა (გაბრაზებით): შენ რა, ხუმრობა არ იცი?
ქლო: იმას არ ეხუმრება.
ჰანა: ხუმრობაა, აბა რა! ეგ სისულელე გჯერა?

(ბალიდან შემოდის გასი. ჩვეულებისამებრ უენო და დარცხვენილი).
ქლო: პელოუ, გას. რაშია საქმე? რა გაქვს მანდ?
(გასს ვაშლი უჭირავს ხელში, ახლადმოწყვეტილი, ყუნწთან შერჩენი-
ლი ორიოდ ფოთლით. ვაშლს ჰანას უწევდის).
ჰანა (გაოცებით): უი... გმადლობთ!
ქლო (გადის): მე ჩემი მითქვამს, ჰანა (გაიხურავს კარს).
ჰანა: ო, ღმერთო, გმადლობთ, გმადლობთ.

სცენა მესამე

მეორე დღია. საკლასო ოთახი. ოთახში სამნი არიან: ტომაზინა, სეპტი-
მუსი და ჯელაბი. მეორდება ადრინდელი სცენა: ტომაზინა მაგიდასთან
ზის, სეპტიმუსი წერილს კითხულობს, ჯელაბი საპასუხო ბარათს ელოდე-
ბა.
მაგიდაზე მოჩანს გადაშლილი "ეროსის სარეცელი" და ქაღალდის ფუ-
რცლები, რომლებზეც სეპტიმუსი სავარაუდოდ რაღაცას წერდა ჯელაბის
შემოსვლამდე. მისი საქაღალდეც მაგიდაზე დევს. კუ პლუტუსი კვლავ
პრესპაპივს მოვალეობას ასრულებს. გარდა ამისა, ახლა მაგიდაზე ვაშლ-
იც დევს. ეს ისევე ის ვაშლი უნდა იყოს, II სცენიდან.

სეპტიმუსი (წერილს ჩაჰკირკიტებს): რატომ გაჩუმდით, მილედო?

(ტომაზინა თაბახის ფურცელს დაჰკურებს. ლათინურში რალაც *solida* ლეს გადააწყდა).

ტომაზინა: *Solio inessa... in igne...* იჯდა ტახტზე... ცეცხლში... და ავრეთვე ხომალდზე... *sedebat regina...* იჯდა დედოფალი...

სეპტიმუსი: პასუხი არ იქნება, ჯეღაბი. გმადლობთ. (წერილს მოკეცავს და "ეროსის სარეცელში" ინახავს).

ჯეღაბი: ასე მოვახსენებ, სერ.
ტომაზინა: ...ნიავის საამო ამოსუნთქვა... *purpureis velis...* მენამული აფრებით... მენამული აფრებიდან...

სეპტიმუსი: რალაც გეძნებათ ფოსტით გასაგზავნი, ჯეღაბი.
ჯეღაბი: დიახ, სერ (გადის).

ტომაზინა: ...შავდა... რალაცას... მიჯნურებს... მიჯნურებით... ვაიმე, სეპტიმუს! *musica tibiaram imperabat...* ფლეიტის ჰანაგები განაგებდა...

სეპტიმუსი: "იმორჩილებდა" სჯობს.
ტომაზინა: ...ვერცხლის ნიჩბები ოკეანეს აღელვებდა, თითქოს სიყვარულით ეხებოდა...

სეპტიმუსი: მშვენიერია (იღებს ვაშლს, აცლის ყუნწსა და ფოთლებს. ჯიბის დანით ვაშლს პატარა ნაჭერს ჩამოათლის და ვიდრე შეეპყრება, მეორე ნაჭერსაც ჩამოათლის და პლუტუსს უმასპინძლებდა).

ტომაზინა: *Regina reclinabat...* დედოფალი ნამონოლილა... *praeter descriptionem...* ენით აღუწერლად... ოქროს კარავში... ვენერას დარი და უფრო მწყაზარი...

სეპტიმუსი: მეტი რომანტიკა, მეტი პოეზია, მიღედი.
ტომაზინა: ლათინურში მაგას რა უნდა?

სეპტიმუსი: კრიტიკოსს დამიხედეთ!
ტომაზინა: დედოფალ დიდონაზე ლაპარაკი?

სეპტიმუსი: არა.
ტომაზინა: ვისი დანერლია?

სეპტიმუსი: შენთვის ცნობილი ადამიანის.
ტომაზინა: მე ვიცნობ?

სეპტიმუსი: რომელი არ არის.
ტომაზინა: მისტერ ჩეიტერი!

სეპტიმუსი: თქვენი თარგმანი მართლა მაგონებს ჩეიტერის შემოქმედებას (იღებს კალამს და ავრტლებს წერას).

ტომაზინა: ვიცი, ვინც არის. თქვენი მეგობარი ბაირონი.
სეპტიმუსი: ლორდი ბაირონი, თუ წინააღმდეგი არ იქნებით.

ტომაზინა: დედიკოს უყვარს ლორდი ბაირონი.
სეპტიმუსი (თაქნარგული განავრძობს წერას): დიახ. სისულელეა.

ტომაზინა: არ არის სისულელე. მე ისინი ბელვედერში დავინახე (სეპტიმუსს კალამი ხელში უშეშდება და ტომაზინას აშტერდება). ლორდი ბაირონი თავის სატირას უკითხავდა და დედიკო იცინოდა, თავსაც ლამაზად აქნევდა აქეთ-იქით...

სეპტიმუსი: სატირას ვერ გაიგებდა... ზრდილობის გულისთვის იცი-ლოდა... ლორდი ბაირონი ხომ სტუმარია...

ტომაზინა: დედიკო მამიკოზე ნაწყენია. მამიკოს ხომ ბალის გადაკეთება უნდა. მაგრამ მარტო ეს არ იქნებოდა თავაზიანობის მიზეზი. დედიკო დღეს ძალიან ადრე ჩამოვიდა სასაუზმოდ. ლორდმა ბაირონმა ბევრი ტყუილი გაიგებინა. თქვენც პატივით მოგიხსენიათ.

სეპტიმუსი: მე? მართლა?
ტომაზინა: თქვენზე თქვა, გონებასახვილი ყმანვილიაო და თითქმის ზეპირად წაგვიკითხა თქვენი სტატია. სათაური დამავინწყდა, მაგრამ, მგონი, იმ წიგნს ეხებოდა... "თურქეთის ასულს". თქვენ დავინერიათ, იმ წიგნის ფურცლებს ჩემს ძალს არ დავალეჭინებდით.

სეპტიმუსი: მისტერ ჩეიტერიც, რა თქმა უნდა, იქ იყო...
ტომაზინა: რა თქმა უნდა. აბა, ზოგიერთ ძილის გუდას კი არ შავავს.

სეპტიმუსი: იმას რა ენაღვლება! ლათინური ტექსტები არა აქვს შესარჩვევი და განტოლებები შესასწორებელი (პლუტუსს მათემატიკის რეკულს გამოაცლის და ტომაზინას გადაუვადებს).

ტომაზინა: შესასწორებელი? შეცდომა იყო? (რევეულში ჩაიხედავს).
ფრიადი მინუსით. ოო! რატომ მინუსით?

სეპტიმუსი: საჭიროზე მეტად რომ შეინუხებთ თავი, იმიტომ.
ტომაზინა: ჩემი აღმოჩენა არ მოგეწონათ?

სეპტიმუსი: ფანტაზიას აღმოჩენას ვერ ვუნწოდებ.
ტომაზინა: არც გაქილიკებაა კატეგორიული უარყოფა.

(სეპტიმუსი წერას ამთავრებს. წერილს კონვერტში დებს. კონვერტს აწებებს და ზედ რალაცას წააწერს).

ტომაზინა: იმიტომ მეზუტებით, რომ დედიკოს თქვენი ამხანაგი მონსონს. რაც უნდათ ის ჭნან, მეცნიერების წინსვლას მაინც ვერ შეაფერხებენ. ეს მართლაც ბრწყინვალე აღმოჩენაა, სეპტიმუს! ჩავკირკიტებ და ჩავკირკიტებ თქვენს განტოლებებს, ვადგენ გრაფიკს. ვადამაქვს და ვადმომაქვს X-ები და Y-ები და ვღებულობ... ელემენტალურ გეომეტრიულ გამოსახულებას, თითქოს სამყარო მხოლოდ რკალებისა და კუთხეებისგან შედგებოდეს. ღმერთთა მონმე, სეპტიმუს: თუკი არსებობს განტოლება, რომლითაც ეკლესიის ზარის მსგავს მრუდს მივიღებთ, მაშინ მარტივლად სთვსივსა უნდა არსებობდეს ასეთი განტოლება. და თუ ასეა, ვარდმა რაღა დააშავა? ვანა ბუნება ციფრებით არ არის გამოსახული?

სეპტიმუსი: რატომაც არა.
ტომაზინა: მაშ თქვენი განტოლებები რატომ აღწერენ მხოლოდ იმას, რაც ადამიანს შეუქმნია?

სეპტიმუსი: ეგ აღარ ვიცი.
ტომაზინა: ღმერთი რომ თქვენი ცოდნით ყოფილიყო აღჭურვილი, მხოლოდ ფანტატურს თუ შექმნიდა!

სეპტიმიუსი: კი მაგრამ, მისი განტოლებები უსასრულოებაში გადადის, ჩვენ მათ ვერასოდეს ამოვიცნობთ.

ტომაზინა: რა მალე ყრით ფარ-ხმალს! სწორედ ლაბორინთის შუაგულში იდნა დაიწყო, უნდა ვეძიოთ გამოსასვლელი. აი, ასე, მარტივად. (ხელში იღებს ვაშლის ფოთოლს). გრაფიკულად გამოვსახავ ამ ფოთოლს და მივიღებ განტოლებას. და მაშინ, როცა აღარავის ეხსომება ლორდი ბაირონი, თქვენი სახელი არ მიეცემა დავიწყებას... რადგან ერთ დროს ჩემი მასწავლებელი იყავით...

(სეპტიმიუსი გამზადებულ წერილს ჯიბეში იდებს).

სეპტიმიუსი (მკაცრად): აბა, ახლა კვლავ კლეოპატრას მივუბრუნდეთ.

ტომაზინა: კლეოპატრას? ვერ ვიტან კლეოპატრას! სეპტიმიუსი: რა დაგიშავათ?

ტომაზინა: თავში სიყვარულის მეტი არაფერი უტრიალებდა. ახალი მიჯნურობა, შორით დაგვა, დაკარგული სიყვარული! არც ერთი ისტორიული პიროვნება ასე არ არცხვენს ქალებს. საკმარისი იყო, რომელს გენერალს ლუზა ჩაეშვა მის ფანჯრებთან და იმ წუთას მთელი იმპერია ჯანდაბისკენ მიექანებოდა. არავის აღარ ადარდებდა! აი, მის ადგილას დედოფალი ელისაბედი რომ ყოფილიყო, ისტორიის ბედს ძალიან არ დაჰყვებოდა! და ჩვენც რომაული პირამიდების და ვერონას სფინქსის ცქერით დაეტკებოდით.

სეპტიმიუსი: ღმერთმა დაგვიფაროს!

ტომაზინა: ის ეგვიპტელი ტუტრუცანა კარნალურად ეხუტებოდა მტერს, რომელმაც ალექსანდრიის ბიბლიოთეკა მისცა ცეცხლს და ჯარიმაც კი არ გადაიხადა. ოჰ, სეპტიმიუს! მოდი და გული ნუ გაგისკდება. მთელი ბერძნული დრამატურგია განადგურდა! ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს ორასი და ალბათ ორასზე მეტი ნაწარმოები, ათასობით ლექსი, არისტოტელეს პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც იმ ტუტრუცანას წინაპრებმა ჩამოიტანეს ეგვიპტეში! და ამის შემდეგ ჩვენ მშვიდად ვიძინებთ ღამით... რითი, რითი ვინუგემოთ თავი?

სეპტიმიუსი: იმით, რაც დაგვრჩა. შვიდი პიესა ესქილესი, ასევე შვიდი სოფოკლესი და ცხრამეტიც ევრიპიდესი! დანარჩენზე ისევე არ უნდა ინაღვლოთ, როგორც თქვენი პირველი ფეხსაცმლის დაკარგულ აბზინდაზე, როგორც ამ თქვენს სახელმძღვანელოზე, რომელიც უთუოდ დაიკარგება, როცა გაიზრდებით. ჩვენ ერთდროულად ვაბნევთ და ვკრებთ... მოგზაურივით, მთელი თავისი ავლადიდება ხელით რომ მიაქვს... და რასაც ჩვენ ვაბნევთ, სხვები შეკრებენ. ძალიან გრძელია ჩვენი გზა, ცხოვრება კი - ძალიან მოკლე. ჩვენ შუა გზაში ვეთხოვებით წუთისოველს. მაგრამ გზის იქით არაფერი რჩება, ყველაფერი ამ გზაზე თავმოყრილი და ამიტომ უკვალოდ არაფერი ქრება. სოფოკლეს დაკარგული ტრაგედიები გა-

წინდება, ანდა სულაც თავიდან დაიწერება... სხვა ენაზე. კაცობრიობა თავიდან აღმოაჩენს სწეულებათა განმკურნავ უძველეს საშუალებებს. მათმატიკურ აღმოჩენათა დროც დადგება - იმ აღმოჩენათა, მხოლოდ ერთსად რომ გაიფიქრეს და მიეფარნენ თვალთა ხედვიდან. ხომ არ გგონივით, არქიმედეს ყველა თხზულება რომ განადგურებულიყო, ახლა ბოთლის გასახსნელის გარეშე დაერჩებოდი? არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ გაუმჯობესებული ორთქლის ძრავა, რომელიც ასე ალაფრთოვანებს მისტერ ნოლესს, პირველად სწორედ პაპირუსზე იყო აღწერილი. ორთქლი და სპილენძი გლაზოში არ შეუქმნიათ... სად გაეჩერდით? ახლა მაგ ტექსტის თავისუფალ, შემოქმედებით თარგმანს შემოგთავაზებთ. იქ, ჰაროუსში, მე ეს ლორდ ბაირონზე უკეთ გამომდიოდა (ხელიდან ართმევს ტომაზინას ფურცელს, ტექსტს ჩაჰკირკიტებს და ლათინურ ფრაზებს შესატყვისს უტყბნის). მამ ასე: "ელვარე ტახტს წაგაგვდა მისი ხომალდი და კიაფობდა წყლის ზედაპირზე. ოქროცურვილი იყო კიჩო და მენამული იყო აფრე-ბი..." რაო? ჰო: "აფრები ისე სურნელოვანი, რომ..."

ტომაზინა (მიხვდა, რომ ატყუებენ და გამწარდა): ცრუპენტელავ! სეპტიმიუსი (წარბსაც არ იხრის): "რომ ქარის გულიც კი დაატყვევებს..."

ტომაზინა: ცრუპენტელავ!

სეპტიმიუსი: "ვერცხლის ნიჩბები ფლეიტის ჰანგზე..."

ტომაზინა (სკამიდან წამოხტება): მატყუარა! ცრუ!

სეპტიმიუსი (ახლა უფრო ლაღად, თითქოს გაცხლებით იოლად თარგმნის): ... დასრიალებენ ოკეანეზე, ზოგჯერ კი მართლაც თავმოქულებით, შმაგი მიჯნურის დარად ეკვეთებიან. ენას არ ძალუძს გადმოცემა დედოფლის სილამაზისა...

(შეურაცხყოფილი, ატირებული ტომაზინა კარისკენ გარბის).

ტომაზინა: სიკვდილი ცოტაა თქვენთვის!

(კარში ბრაისს შეეჯახება. ტომაზინა ბაღში გარბის. ბრაისი ოთახში შეშლის).

ბრაისი: ღმერთო ჩემო, ასეთი რა უთხარით?

სეპტიმიუსი: ვუთხარი? რა ვუთხარი?

ბრაისი: ჰოვ!

(სეპტიმიუსი ცოტა არ იყოს, შემფოთებული ტომაზინას საქციელით ფანჯრიდან იხედება და თვალს მოჰკრავს ჩეიტერს, რომელიც ბუჩქებს ეფარება).

სეპტიმიუსი: ჩეიტერ! ჩემო ძვირფასო მეგობარო! რას იმალებით? შე მობრძანდით.

(ჩეიტერი უხალისოდ შეიძურწება ოთახში. ბრაისი გაფხორილი დგას)

ჩეიტერი: კაპიტანი ბრაისი მოწყალებდ დათანხმდა... იმის თქმა მინდა, სერ, რომ თუ ჩემთან გაქვთ რამე საქმე, კეთილი ინებეთ და კაპიტან ბრაისს მიმართეთ.

სეპტიმუსი: ასეთი რამ პირველად მესმის. (ბრაისს) გუშინ თქვენი ცოლი არ გამოჩენილა, სერ. ვიმედოვნებ, თავს ცუდად არ გრძნობს. ბრაისი: როგორ თუ ცოლი? სადა მყავს ცოლი? რა ჯანდაბას მიედმოუდებთ?

(სეპტიმუსი არ პასუხობს. მცირე ყოყმანის შემდეგ ჩეიტერს მიმართავს).

სეპტიმუსი: თქვენ განზრახვას ვერ ჩავენდი, სერ. თუ კაპიტანთან მინდა დალაპარაკება, ვის უნდა მივმართო? ბრაისი: მე თქვენ ადგილას მეთ სიფრთხილეს გამოვიჩენდი. ცაცხლს ეთამაშებით, ჰოჯ!

სეპტიმუსი (ჩეიტერს): სხვათა შორის, ჩეიტერ... (ჩუმდება, თავს ბრაისისკენ აბრუნებს და ისე აგრძელებს ლაპარაკს)... სხვათა შორის, ჩეიტერ, თქვენთვის ახალი ამბავი მაქვს... ფრიად აღმაშფოთებელი. ვილცა ყოველად უაზრო და უგვან წერილებს მიგზავნის თქვენი სახელით. ნახევარი საათიც არ იქნება, რაც ციდე ერთი ასეთი მივიღე.

ბრაისი (აღშფოთებით): მისტერ ჰოჯ! საკუთარ თავს მაინც ეციოთ პატივი! თუ ადამიანური ლაპარაკი არ გეხერხებათ, პირდაპირ დამისახელეთ თქვენი სეკუნდანტი, რომელიც ამ საქმეს მოაგვარებს... ასე იქცევა ყველა ღირსეული ჯენტლმენი. ეჭვი არ არის, თქვენი მეგობარი ბაირონი დაგდებთ პატივს.

(სეპტიმუსი დალაღა საკუთარმა ოინბაზობამ).

სეპტიმუსი: რა თქმა უნდა (მთელი სერიოზულობით მიმართავს ჩეიტერს). სერ, ვაღიარებ, რომ შეურაცხყოფა მოგაყენეთ. ცილი დაგნამეთ. თქვენ პატიოსანი ადამიანი ბრძანდებით, მერე რა, ლექსებს რომ წერთ...

ჩეიტერი (გახარებული): აი, ეს მესმის! (დაეჭვებით) რა, პატივბას მთხოვს?

ბრაისი: კი მაგრამ, მან ხომ იერიში მიიტანა თქვენს საკუთრებაზე... ჩეიტერი: ფრთხილად, სერ!

ბრაისი: თქვენს მეუღლეზე... თუმც... მე რა მრჯის...

(ბაღში გამავალი კარიდან შემოდის ლედი კრუმი)

ლედი კრუმი: აი, სად ყოფილხართ, მისტერ ჩეიტერ. ძალიან უნდა

გახაროთ, ლორდ ბაირონს თქვენი ახალი წიგნის წაკითხვა სურს. ერთი წელი აქვს წაკითხვის და მერე "ინგლისელი ბარდებისა და შოტლანდიური მიმომხილველების" მეორე გამოცემაში მოგიხსენიოთ.

ჩეიტერი: "ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველები", თქვენო ბრწყინვალეზე, სამარცხვინო პასკვილია, რომლითაც ბაირონი თავს ესხმის ყველას, ვინც კი მას რაიმით აღემატება! ახლა მას ჩემი შეურაცხყოფა განუზრახავს.

ლედი კრუმი: მართალი ბრძანებაა, მისტერ ჩეიტერ. მაგრამ თქვენ მით უნდა ამაყობდეთ. თქვენი გვარი ხომ როჯერის, შურის და უორდ-სუორთის გვერდით გაიფურეებს. ამაზე მეტი პატივი გავიწილა? ამას რას ეხედავ? "ეროსის სარეცელი!" (მაგიდაზე სეპტიმუსის წიგნს მოჰკრავს თავს).

სეპტიმუსი: ეს წიგნი ჩემია, თქვენო ბრწყინვალეზე.

ლედი კრუმი: მით უკეთესი. მეგობარმა თუ წიგნი არ გვატხოვა, რაღა მეგობარია!

(ნუ დავიფიქვებთ, რომ ამ დროისთვის "ეროსის სარეცელი" უკვე სამი წერილი ინახება, თუმც ჩვენ მათ ვერ ვხედავთ. თუ გახსოვთ, წიგნს საკეტები აქვს).

ლედი კრუმი: მისტერ ჰოჯ, დაელაპარაკეთ თქვენს მეგობარს და გადაათქმევინეთ. მალტის პაკეტობით აპირებს ფალშუტში გამგზავრებას. ამას არ დავუშვებ! თავი მხოლოდ ლისაბონითა და ლესბოსით აქვს გამოტყინილი, ჩანთა - პისტოლეტებით. ვუთხარი, ამაზე არც იფიქროთ-მეთქი. მთელი ევროპა ნაპოლეონის ომების ქარ-ცეცხლშია გახვეული, მნახველებს აღარ უშვებენ ისტორიულ ნანგრევებთან, გზები მემორებითაა გადაქედილი, ყაზარმებად ქცეულა სასტუმროები... უღმერთო რესპუბლიკელთა დრო ჯერ არ გასულა, ჯერ არ შეცვლილა უკეთესი მომავლით... ლორდი ბაირონი ამბობს, ჩემი მიზანი პოეზიააო. ის კი არ იცის, რომ პოეზიას პისტოლეტს არ უმიზნებენ. პოეტს - კი, მაგრამ პოეზიას - არა. მე თქვენ გიბრძანებთ, ჩამოართვათ იარაღი. მასთან თამაში კარგს არაფერს მოუტანს თქვენს მეგობარს. თავად გამომიტყდა, რომ მისი სიკოჭლე ბავშვობაში იარაღთან თამაშის შედეგია... ეს რა ხმაურია?

(ხმაური პიანინოს ხმაა. მგზობელ ოთახში თავმოქულებით უბრაგუნებენ კლავიშებს. ეს "ჰანგები" მას შემდეგ გაისმის, რაც ტომაზინა ვაიქცა).

სეპტიმუსი: ეს ბროუდფუდის ფორტეპიანოა, თქვენო ბრწყინვალეზე. არც ისე დიდი ხანია, რაც მუსიკის შესწავლას შევუდექით.

ლედი კრუმი: სჯობს ამ ეტაპზე "პიანოს" დასჯერდეთ, მერე კი, როცა რაღაცას მაინც ისწავლით, "ფორტეს" ჯერიც დაგიდგებათ (ტანის რხევით გადის ბაღში. წიგნი თან მიაქვს).

ბრანისი: ვფიცავ! ლედი კრუმის ბაგეებით თავად ჭეშმარიტება დალადებდა!

ჩეიტიმარი (შეშინებული): ლორდ ბაირონს იარაღი ჩამოართვითო!
ბრანისი: მისტერ პოჯ, რა პასუხს გასცემთ მისტერ ჩეიტერს?

(სეპტიმუსი თვალს აყოლებს ბაღში გასულ ლედი კრუმს. მერე ბრანისს კენ შებრუნდება).

სეპტიმუსი: რა პასუხს და... მოვკლავ. თავი მომაბეზრა.

ჩეიტიმარი (შემკრთალი): რაო?

ბრანისი (კმაყოფილი): ოჰო!

სეპტიმუსი: წყულისმც იყავით, ჩეიტერ! ოვიდიუსი კანონმდებლად დარჩებოდა, ვირგილიუსი კი - მინათმოქმედად, ის რომ სცოდნოდათ, რად აქცევდნენ სიყვარულს თქვენი ჩერჩეტი სატირები და ჭკუათხელი ნიმფები! თქვენს განკარგულებაში ვარ, სერ. ჩათვალეთ, რომ ნახევარი უნცია ტყვია უკვე თქვენ გოგრაშია! განყოფთ გამთენიისას, ასე ხუთ საათზე, ნავსადგომთან? მისის ჩეიტერს მოკითხვა გადაეცით. ნუ დარდობთ, მას არაფერი გაუჭირდება, ვიდრე კაპიტან ბრანისს საბოლოოდ არ დაუცარიელდება ჯიბე. თავად კაპიტანს უთქვამს მისთვის.

ბრანისი: თქვენ ცრუობთ, სერ!

სეპტიმუსი: მე არა, სერ. მისის ჩეიტერმა თუ იცრუა...

ბრანისი: ან აღიარებთ, რომ ცრუობთ, ანდა ჩემთან გექნებათ საქმე!

სეპტიმუსი (დაღლილი ხმით): ძალიან კარგი. ექვსის ხუთ ნუთზე თქვენს განკარგულებაში მივუღეთ, სერ. ასე პაკეტბოტსაც მივასწარებ, რომელიც ფალშუტისკენ გამაქანებს. თქვენ ორნი ცოცხლებში აღარ ეწერებით, ჩემი საბრალო მეგობარი იქნება ლედი ტომაზინას მასწავლებელი და ვიმედოვნებ, ყველა, მათ შორის ლედი კრუმიც, "შიილებს სატისფაციას." (გადის და კარს გაიჯახუნებს).

ბრანისი: ო, როგორ გაცოფდა! ნუ ლეღავთ, ჩეიტერ. ბირობას გაძღვეთ, შუბლს გაუჯხვრეტ.

(ბრანისი გადის მეორე კარიდან. რამდენიმე წამში ჩეიტერი გონს მოეგება და შეშინებული გაეკიდება ბრანისს).

ჩეიტიმარი: მოიცათ... მე ხომ...

სცენა მეოთხე

ჰანა და ვალენტინი. ჰანა ხმამაღლა კითხულობს, ვალენტინი უსმენს. ქუ ლაითინი კვლავ მაგიდაზეა და არაფრით განირჩევა პლუტუსისგან. ვალენტინს წინ უდევს გახსნილი საქაღალდე. სეპტიმუსის საქაღალდე

დაფილი საცნობია, ერთი ევ არის, ცოტა შეფერთხილა. შეიძლება მასში სუფთა ქაღალდებიც იყოს, მაგრამ სამი რამ იქ აუცილებლად უნდა იქნას: მათემატიკის თხელი სახელმძღვანელო; დიაგრამებით, განტოლებებით, რაღაც ისრებით აჭრელებული სახაზავი ქაღალდის ფურცელი; ტომაზინას მათემატიკის რვეული. ახლა ვალენტინი ამ რვეულს ფურცლავს და თან ჰანას უსმენს.

ჰანა: "მე, ტომაზინა კავერლიმ, აღმოვაჩინე მართლაც რომ საოცარი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ბუნებაში არსებული ყველა საგანი გააძლიერებს თავის მათემატიკურ, ციფრულ საიდუმლოს და შეიძენს რიცხვობრივ გამოხატულებას. რვეულის მინდორი ძალიან ვიწროა და აქ ამას ვერ აღწერ. მკითხველს ვურჩევ ისარგებლოს ტომაზინა კავერლის "არარეგულარულ ფორმათა უახლესი გეომეტრიით".

(პაუზა. ჰანა ვალენტინს უწვდის სახელმძღვანელოს. ვალენტინი სწრაფად ავლებს თვალს იმას, რაც ჰანამ წაუკითხა. მეზობელი ოთახიდან ისმის პიანინოს ხმა - მშვიდი, მელოდითური იმპროვიზაცია).

ჰანა: რამეს თუ ნიშნავს?

ვალენტინი: არ ვიცი. აი, მათემატიკურად...

ჰანა: მეც მაგაზე მოგახსენებ.

ვალენტინი (რვეულით ხელში): ეს იტერაციული ალგორითმაა.

ჰანა: რა არისო?

ვალენტინი: ეს არის... ო, ღმერთო... ისეთი ალგორითმი, რომელიც... განმეორებადია. როგორ აგისხნა? (ცდილობს მარტივად აუხსნას). აი, მარცხნივ გრაფიკებია, მარჯვნივ მათი რიცხვობრივი გამოხატვა... მაგრამ მასშტაბი სულ იცვლება და იცვლება. თითოეული გრაფიკი წინას მცირე, მაგრამ გადიდებული ნაწილია. ფოტოსურათი რო აიღო და მისი რომელიმე დეტალი გაადიდო... მერე ამ დეტალის დეტალიც და ასე, უსასრულოდ. სანყალ ტომაზინას, უბრალოდ, რვეულის ფურცლები არ ეყო მაშინ.

ჰანა: ეს ძალიან რთულია?

ვალენტინი: მათემატიკური თვალსაზრისით მარტივია. ამას სკოლაშიც გასწავლიდნენ. აი, გაქვს განტოლება, x-იანი და y-იანი. x-ის ნებისმიერი მნიშვნელობა თუ სიდიდე y-ის სიდიდეს საზღვრავს. გადაკვეთაზე ნერტილს ვსვამთ. მერე ვიღებთ x-ის შემდეგ მნიშვნელობას და ვღებულობთ ახალ y-ს, ახალ ნერტილს. და ასე რამდენჯერმე. მერე ვაერთებთ ნერტილებს და ასე ვაგებთ იმ ჩვენი განტოლების გრაფიკს.

ჰანა: ტომაზინა ასე აკეთებს?

ვალენტინი: არა. მთლად ასე არა. როცა y-ის მნიშვნელობას ღებულობს, ის მას x-ის მომდევნო მნიშვნელობად იყენებს. და ასე შემდეგ. რაღაც უუკუკავშირის მაგვარია. ფორმულაში სვამს მისივე მნიშვნელობას და მერე თავიდან გამოითვლის ამ ფორმულას. აი, მთელი შენი იტერაცია!

ჰანა: შენ ეს უცნაურად გეჩვენება?
პალმტინი: ცოტა კი. მე ამ ტექნიკას როჭოების დათვლისას მივმართავ ხოლმე. სულ რაღაც ოცი წელი იქნება, რაც ამ მეთოდს იყენებენ.

(პაუზა)

ჰანა: ტომაზინა ასე რატომ აკეთებს?
პალმტინი: აზრზე არა ვარ (პაუზა). მე მეგონა, განდევნილი გაინტერესებდა.

ჰანა: მაინტერესებს კიდევ. წყუღიმც იყოს ის ბერნარდი... გაირკვა, რომ ტომაზინას მასწავლებელი დიდ ამბებში იყო... ბერნარდი ახლა მთელ ბიბლიოთეკას აბრუნებს... კარგი მამებარივით. აი, ეს საქალაქო ფურცლის კარადაში ეგდო...

პალმტინი: ჩვენთან ხო ათასი ხარაზურა ყრია. გასს უყვარს ძველი ჩანაწერების და სურათების თვალიერება. დიდი არაფერია...

ჰანა: მათემატიკის სახელმძღვანელო მასწავლებლის იყო. მისი სახელი და გვარი აწერია.

პალმტინი (კითხულობს): სეპტიმუს ჰოჯი.

ჰანა: ეს ყველაფერი რისთვის შეინახეს?

პალმტინი: აუცილებლად უნდა იყოს საამისო მიზეზი?

ჰანა: ეს რა დიაგრამაა?

პალმტინი: მე რა ვიცი!

ჰანა: რატომ ავარდა?

პალმტინი. გეჩვენება (პაუზა). როცა ტომაზინა თავის ამოცანებს ჩაჰკირკიტებდა, მათემატიკა, როგორც მეცნიერება, ისეთივე იყო, როგორც დაახლოებით ორი ათასი წლის წინ, ანუ კლასიკური. და მერე კიდევ ასე წლის მანძილზე არ შეცვლილა. თანდათანობით მათემატიკა დასცილდა რეალობას, სწორედ ისე, როგორც თანამედროვე ხელოვნება. ბუნება ისეთივე დარჩა, კლასიკური, მათემატიკა კი პიკასოს მხატვრობას დაემსგავსა. მაგრამ დღეს ბუნება ზეობს. მთელი ეს უცნაურობა, თურმე ნუ იტყვი, ბუნებრივი სამყაროს მათემატიკა ყოფილა.

ჰანა: ის უკუკავშირი თუ რაღაცა?

პალმტინი: თუნდაც.

ჰანა: ტომაზინას შეეძლო...

პალმტინი (გალიზიანებით): არაფერიც არ შეეძლო! ჩემი ფეხები!

ჰანა: ვხედავ, რო არ ავარდნილობარ. ის მაინც მითხარი, რას გულისხმობდი, როცა თქვი, რომ ისიც იმას აკეთებდა, რასაც შენ (პაუზა). შენ რას აკეთებ?

პალმტინი: ფაქტიურად იმავს, ოღონდ შებრუნებით. ის იწყებდა განტოლებით და აგებდა გრაფიკს. მე მაქვს დიაგრამა, კონკრეტული მოცემულობა და ვეძებ განტოლებას, რომლითაც ამ დიაგრამას მივიღებდი... იტერაციის შედეგად.

ჰანა: ეგ რაღად გინდა?

პალმტინი: ბიოლოგიაში ასე აღწერენ პოპულაციის ცვლილებას: ავიღოთ ოქროს თევზები. დაცურავენ თავისთვის გუბურაში. წელს იქ x რაოდენობის თევზია, მომავალ წელს y იქნება. ზოგი იბადება, ზოგსაც ყანჩები სანსლავენ. ბუნება ზეგავლენას ახდენს x -ზე და y -ად გადააქცევს. მერე y -ია პოპულაციის საწყისი რიცხვი შემდეგი წლისთვის. ტომაზინა რო აკეთებდა, ისე, y -ის მნიშვნელობა x -ის შემდგომ მნიშვნელობად იქცევა. ისმის კითხვა: რა მოსდის x -ს? რაც არ უნდა მოუვიდეს, ამის მათემატიკურად გამოსახვა შესაძლებელია. აი, ეს არის ალგორითმი.

ჰანა: ყოველ წელს ხო სხვადასხვა მონაცემები იქნება!

პალმტინი: რაღაც წვრილმანი დეტალები იცვლება. ყველაფერი ვერ გამოთვლი. ბუნება საცდელი ლაბორატორია ხო არ გგონია? სულაც არ არის აუცილებელი ამ დეტალების ცოდნა. თუ ყველა მათგანს ერთობლივად განვიხილავთ, ვნახავთ, რომ პოპულაცია მათემატიკის კანონებს ემორჩილება.

ჰანა: ოქროს თევზებიც?

პალმტინი: არა. თუმცა, კი. თევზები კი არა, მათი რაოდენობა. ეს ეხება ყველა თვითორგანიზმად სისტემასა თუ ფენომენს: ნითელას ეპიდემიას, ნალექების სამუალო წლიურ რაოდენობას, ბამბის ფასს და ა.შ. ეს თავად არის ბუნებრივი ფენომენი. საშინელება!

ჰანა: ეს როჭოებსაც ეხება?

პალმტინი: ჯერ არ ვიცი. ისე კი, უეჭველად უნდა ეხებოდეს, მაგრამ ამის დამტკიცება ძნელია. აქ მეტია ტვინის საჭყლეტი...

ჰანა: ტვინის საჭყლეტი?

პალმტინი: ჰო. უამრავი მოულოდნელი გადახრაა, უამრავი გარეგანი ზემოქმედება. მონაცემები აღწეულია. ოდითგანვე, აი, 1930 წლამდე ეს ფრინველები ათასობით აკრზე გადაჭიმულ ჭაობიან ადგილებში ბინადრობდნენ. მაგრამ ისინი არავის დაუთვლია. მათ მხოლოდ ხოცავდნენ. ასე რომ, შენ მარტო მოკლულებს ითვლი. აბლა უყურე, რა ხდება: როცა საკვები საკმარისია, ფრინველებიც მრავლდებიან, მაგრამ თუ მელიები მრავლდებიან, ფრინველებს ეხაზებათ; მელიები მათ ბარტყებს სანსლავენ. თანაც ამინდი არ დაივიწყო! ერთი სიტყვით, ისეთი კაკაფონიაა, რომ ძირითადი მოტივის გამორჩევა გაგიჭირდება. აი, ვთქვათ, მეზობელ ოთახში ვიღაც პიანინოზე უკრავს, მუსიკა გეცნობა, მაგრამ ინსტრუმენტი მოშლილია, სიმები აკლია, თავად პიანისტს კი სმენა საერთოდ არა აქვს, და მთლად უკეთესი, გახეთქილი მთვრალია. ხედავ, რა კაკაფონიაა? თავგზა აგებნევა.

ჰანა: მაშ რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ?

პალმტინი: რა და დაიწყე ფიქრი, ეცადე გამოიცნო, რომელი მელია. გამოარჩიე ამ პრახაბრუბში. ინვალე, ინვალე და ბოლოს რაღაც გამოიკვეთება. აღადგინე საჭირო ნოტები, ზოგი შეცვალე და ასე, ნება-ნე-

ბა... (ღიღინებს "Happy Birthday"-ის მელოდიას). და აი, ჩემო ვალენტინ, ესეც შენი ალგორითმი!

პანა (პირქუშად): კარგი და მერე?

ვალენტინი: მერე ვალენტინი სტატიას გამოაცხობს!

პანა: ოჰო, მშვენიერია. შენ აღარ ხუმრობ.

ვალენტინი: ეს ჯერ მხოლოდ თეორიაა. თანაც როჭოები ვინ არიან ოქროს თევზებთან შედარებით!

პანა: მაშ რაღა როჭოებს ეცი?

ვალენტინი: "მონადირის დღიურებში" მაგათზე წერია და იმიტომ. ერთადერთი ეგ დღიურებია ღირებული მთელ ჩემს მემკვიდრეობაში. ორ-ასი წლის მონაცემები ვერცხლის ლანგარზე! ინები, ვალენტინ!

პანა: დაიჯერო, აღრიცხულია ყველა მოკლული როჭო?

ვალენტინი: აბა ეს დღიურები რის მაქნისა? მე მარტო 1870 წლიდან გამოქვეყნებული ჩანაწერებით ვსარგებლობ. ნადირობა უკვე საგრძნობლად დაიხვეწა მაგ დროისთვის... მარეკები გინდა... ჩასაფრებული მოისრეები გინდა...

პანა: როგორ, შენ ტომაზინას დროინდელი წიგნებზე გაქვს?

ვალენტინი: უფრო ადრეულიც. (ასწრებს პანას). არა, არა, შეუძლებელია. ვფიცავ! ამას დერბოშირული გომბიო ვერ გააკეთებდა, ვერ გააკეთებდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში...

პანა: მაშ ის რაღაა?

ვალენტინი: რა და თამაშობდა. ციფრებით თამაშობდა. სიმართლე თუ გინდა, არც არაფერს აკეთებდა.

პანა: რაღაცას მაინც აკეთებდა.

ვალენტინი: მაიმუნობდა. თვითონაც არ იცოდა...

პანა: ერთი სიტყვით, მაიმუნი საბეჭდ მანქანასთან...

ვალენტინი: მაიმუნი როიალთან.

პანა (ხელში იღებს სახელმძღვანელოს და ხმამაღლა კითხულობს): "...მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ყველა ბუნებრივი ფორმა გაამჟღავნებს საკუთარ მათემატიკურ საიდუმლოს და შეიძენს რიცხვობრივ გამოხატულებას." ეგ შენი უკუკავშირი გვეხმარება ფორმების შექმნაში? ჰა, ვალენტინ? ან "ჰო" თქვი, ან "არა."

ვალენტინი (ვალიზიანებით): გვეხმარება. პირადად მე მეხმარება. მე-ხმარება ქაოსის, ზრდის, ცვლილების, ნებისმიერი მოვლენის სურათის შექმნაში. მაგრამ სპილოს დახატვაში კი, უკაცრავად, ვერაფრით დამეხმარება!

პანა: ბოდიში, ბოდიში. (მაკვიდრად იღებს ვაშლის ფოთოლს. ფრთხილად, სულაც არ აწყობს ვალენტინის ვალიზიანებას). მაშ, იტერაციის დახმარებით ამ ფოთოლს ვერ გამოსახავ?

ვალენტინი: რატომ? შეიძლება.

პანა (რისხვით): წესიერად ამიხსენი, თორემ მოგკალი და ეგ არი!

ვალენტინი: თუ ჩვენთვის ცნობილია ალგორითმი და მოვახდენთ

მის იტერაციას, ვთქვათ, ათი ათასჯერ, ეკრანზე ამდენივე წერტილი გამოჩნდება. და არც ერთხელ არ გვეკოდინება, სად უნდა გაჩნდეს ახალი წერტილი. მაგრამ თანდათანობით ამ ფოთლის კონტური გამოიკვეთება, ეინაიდან ყოველი წერტილი მის კონტურში იქნება მოქცეული. ახლა ეს უკვე არა ფოთოლი, არამედ მათემატიკური ობიექტია! მაგრამ მასში ერთად იყრის თავს წინასწარ განსაზღვრულიც და მოულოდნელიც. ბუნებაც ასევე ქმნის საკუთარ თავს... თოვლის ფანტელით დაწყებული, ქარბუქით დამთავრებული. გული სიხარულით მიჩქროლავს! ჰა, როგორია, სათავესთან დგახარ, ჯერ თითქმის არაფერი იცი! აკი ამბობდნენ მაშინ, ფიზიკამ დრო მოჭამაო. ფარდობითობის და კვანტურმა თეორიებმა თითქოს საერთო ძალისხმევით გადაჭრეს ყველა პრობლემა. მაგრამ ისინი ხო მხოლოდ უდიდესსა და უმცირესს გვიხსნიან! მხოლოდ მთელ სამყაროს და ელემენტალურ ნაწილაკებს! ჩვეულებრივი სიდიდის ერთეულები კი, რომელთაგანაც შედგება ჩვენი ცხოვრება, რასაც პოეტები უმღერიან - ღრუბლები, ნარგებები, ჩანჩქერები - და ის, რაც ყავაში ნაღების ჩამატებისას ხდება - კვლავ იდუმალებით არის მოცული, ისეთივე საიდუმლოს ნარმოადგენს ჩვენთვის, როგორიც იყო ზეცა ძველი ბერძენებისთვის. ჩვენთვის უფრო იოლია გალაქტიკური მოვლენების ანდა ატომის ბირთვის აფეთქების მომენტის ამოცნობა, ვიდრე იმის შეტყობა, თუ როგორი ამინდი იქნება სამი კვირის შემდეგ, იწვიმებს თუ არა იმ დღეს, როცა ჩვენ მოხუც დეიდას წვეულების გამართვა განუზრახავს ღია ცის ქვეშ, თავის საყვარელ ბაღში. იმიტომ რომ ეს სულ სხვა საკითხია. იმიტომ რომ ცხოვრება სულ სხვა რამეა. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, როდის მოსწყდება მოშლილ ონკანს წყლის მორიგი წვეთი... ყოველი წვეთი სრულიად ახალ პირობებს ქმნის შემდგომისთვის. უმცირესი გადაზრაც კი აბათილებს ჩვენ პროგნოზს. ასევე შეუძლებელია ამინდის პროგნოზირებაც. კომპიუტერის ეკრანზე ხო იმას გვიდასტურებს, რომ მომავალი ქაოსია და სხვა არაფერი. მას შემდეგ, რაც ადამიანი ხიდან ჩამოვიდა, მომავლის კარიბჭე სულ ხუთჯერ, კარგი, ექვსჯერ გაიღო. და ახლა დაგვიდგა საუკეთესო დრო... რაც გვეგონა, რომ ვიცოდით, თურმე არა გვცოდნია, რაც სწორი გვეგონა, მცდარი აღმოჩნდა.

(პაუზა)

პანა: რატომ? საპარაში ამინდი პროგნოზირებადია.
ვალენტინი: მასშტაბია სხვა, თორემ გრაფიკი ისეთივეა. ექვსი ათასი წელი საპარაში, ეს ხო მანჩესტერის ექვსი თვეა! ნიძლავი?
პანა: რაზე?
ვალენტინი: ყველაფერზე, რაც კი გაქვს წასაგები.
პანა (პაუზის შემდეგ): არა.
ვალენტინი: ძალიან კარგი. თორემ ეგვიპტეში მარცვლეულს ვერ მოიყვანდნენ...

(ჩუმდებიან. ისმის მუსიკის ხმა).

ჰანა: რას უკრავს?

მალენტინი: არ ვიცი. რაღაც-რაღაცებს იგონებს. იმპროვიზაცია!

ჰანა: ქლომ თქვა, გენიოსიაო.

მალენტინი: დედაც ამას ამბობს, მაგრამ ქლოსგან განსხვავებით, ხუმრობაგაშვებით. მარშან დედილო ბრაუნისეული ნავსადგომის საძიკველს ეძებდა, სხვათა შორის ამ საქმის ექსპერტთან ერთად. თვეების მანძილზე წვალობდნენ და სულ ტყუილად. გასმა კი მაშინვე უჩვენა, სად უნდა გაეთხარა...

ჰანა: ადრე თუ ლაპარაკობდა?

მალენტინი: კი, როგორ არა. ხუთ წლამდე. სხვათა შორის, ადრე არასდროს გიკითხავს მასზე. აქ ძალიან აფასებენ ტაქტიან და ზრდილ ადამიანს.

ჰანა: მივხვდი. საერთოდ ყველგან მცემენ პატივს გულგრილობისთვის.

(შემოდის ალგზნებული ბერნარდი. რაღაც წიგნს მოაფრიალებს).

ბერნარდი: "ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველები!" მინაწერიანი! ფანქრით მიუწერია! აბა, მისმინეთ და აღიღეთ ჩემ ფერხთა მტკერი. (კითხულობს წიგნიდან).

"ჰიპნოსის მაცნეს არ ნაუკითხავს ჩვენი ჟურნალი, ბედურულ ჩეიტერს თავადაც ტკბილად ჩასძინებია, ამ ლექსით მინდა მადლობა ეუძღვნა "ეროსის" ავტორს, ჭეშმარიტ ბარდს და ძილის მომგვრელს "სარეცელზე."

ხედავ, ჰანა? წიგნს ნაკითხვა უნდა!

ჰანა: ნამდვილად იმისი ხელნაწერია?

ბერნარდი: ისევ შენსას მიერეკები?

ჰანა: არ უნდა იყოს იმისი.

ბერნარდი: კიდევ რა გინდა, ადამიანო, აღარ იტყვი?

ჰანა: საბუთი!

მალენტინი: საბუთი კარგი რამეა. ვისზე ლაპარაკობთ?

ბერნარდი: საბუთი? საბუთი, არა? შე ჩურჩულტო, იქ ვიყავი, თუ რა?

მალენტინი (მშვიდად): შენ ჩემ საცოლეს ელაპარაკები.

ჰანა: მით უმეტეს, რომ ამ საცოლემ საჩუქარი მოგიზადა, ბერნარდი! აბა, გამოიცანი, რა ვიპოვე? (აჩვენებს წერილს). ლედი კრუმი წერს თავის ქმარს ლონდონიდან. მის ძმას, კაპიტან ბრაისს, ვინმე მისის ჩეიტერი შეურთავს ცოლად... ანუ მისტერ ჩეიტერის ქვრივი.

(ბერნარდი წერილს ავლებს თვალს).

ბერნარდი: აკი ვამბობდი, მოკვდა-მეთქი! რომელი წელია? 1810!

მალენტინი, 1810! კარგია, ჰანა, ძალიან კარგი! ახლა არ მითხრა, ეს სხვა მისის ჩეიტერი იქნებოდაო.

ჰანა: არა, არა. ის არის. აქ ხო იმისი სახელიც წერია.

ბერნარდი: Charity, Charity... ეს ხო ქალის სახელიცაა! "უარყავი ყველაფერი, რასაც ვერ დაგიმტკიცებენ, სიყვარულის, Charity-ს გულისთვის!"

ჰანა: არ მინდა შენი კოცნა.

მალენტინი: არავის კოცნა არ უნდა.

ბერნარდი: ხედავ? ყველაფერს წერდნენ, ყველაფერს. ეს იყო იმათი ძირითადი საქმიანობა. იმათი ჰობი! კიდევ ბევრი რამე გაირკვევა, ბევრს შეეცდებოდა.

ჰანა: აი, მესმის აღმაფრენა. ჯერ ვალენტინი, ახლა შენ. გული აუჩუყდება კაცს.

ბერნარდი: ხედავ, რა ხდება? მასწავლებლის არისტოკრატი მეგობარი ერთ ჭერქვეშ აღმოჩნდება საცოდავ მოკალმესთან, რომლის წიგნიც ცოტა ხნის წინ მიწასთან გაასწორა. ამას არ სჯერდება და ახლა მის ცოლს აცდუნებს. საიდუმლო მქლავდებდა. მერე დუელი. ჩეიტერი იბრძვება, ბაირონი ახვევს! აბა, პოსტსკრიპტუმს თუ გამოიცნობ? ქვრივი მისი ბრწყინვალეების ძმაზე თხოვდება. როგორ ფიქრობ, ამაზე არაფერს დანერდნენ? წერილებში არ ახსენებდნენ ამ ამბავს? აუცილებლად იქნება ასეთი წერილები. ვიპოვით კიდევ! და იმას კი, რაც დაიკარგა, რამაც ჩვენამდე ვერ მოაღწია, ჩვენ თვითონ დავწერთ! თავიდან!

ჰანა: შენ, შენ დაწერ, ბერნარდი. მე რა შუაში ვარ? არაფერი გამიკეთებია.

(როგორც ჩანს, ბერნარდიც იზიარებს ამ აზრს. დაბნეულად, და ცოტა არ იყოს, სულელურად იღიმება).

ბერნარდი: ჰო, რა თქმა უნდა... ყოჩაღ... გმადლობთ.

ჰანა: ისე კი, უნდა გითხრა, ბერნარდი, რომ საგვებით შესაძლებელია, ჩეიტერი რამე სხვა მიზეზით ან სადმე სხვაგან გარდაცვლილიყო...

(ბერნარდს სახე ეცვლება).

ბერნარდი: მაგრამ დუელი ხო ნამდვილად შედგა!

ჰანა: ეგ კიდევ საკითხავია. არ ვიცი, შედგა თუ არა ის დუელი და თუ შედგა, საიდან მოიტანე, რომ მაინცდამაინც ბაირონს შეეპოვებოდა? ლმერთა მონაწილე, შენ ჯერ ისიც არ გაგირკვევია, იყო თუ არა მაშინ ბაირონი იქ, კრუმების მამულში!

ბერნარდი: გინდა გითხრა, რაში გეხაზება? სითამამე გაკლია, მეცნიერული აღმადრენა.

ჰანა: არსადა თქვა.

ბერნარდი: მე შინაგან ხმას ვგულისხმობ, ინტუიციას. როცა რაღაცას შინაგანად გრძნობ... როცა ზედმეტია მსჯელობა და ანალიზი. დრო ხორაღაც მომენტში უკუიქცევა. ტაკ-ტიკ! აი, როგორ ნიკნიკებს მაშინ სამყაროს საათი! მერე ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდება. მაგრამ შენ მაინც მოასწარი, მაინც იყავი იქ, ნახე და მოისმინე, ნახე და მოისმინე, ამის რეჟულიც არ იყო!

ვალენტინი: ლორდ ბაირონზე ლაპარაკობთ, პოეტზე?

ბერნარდი: არა, შე რეგენო, მთავარ ბულალტერ ლორდ ბაირონზე! ვალენტინი (სულაც არ სწყინს): პოეტი აქ იყო, მაგას წყალი არ გაუვა.

(სიჩუმე)

ჰანა: რა იცი?

ვალენტინი: "მონადირის დღიურებში" ახსენებენ. მგონი, ერთხელ კურდღელი დაბრია. ყბაყურა რო მჭირდა, მაშინ ვკითხულობდი. ვინეტი და ყველა წიგნი გადავიკითხე. იცი, რა ხალხია აქ ნამყოფი?

ჰანა: ის წიგნი ახლა სად არის?

ვალენტინი: რა ვიცი. მე აღარ დამჭირებია. ეგეთი ადრეული პერიოდი არ მაინტერესებს.

ჰანა: 1809 წლისაა.

ვალენტინი: ღამის ქოთნის სადგამში იქნება. ქლოს ჰკითხე.

(ჰანა ბერნარდს მისჩერებია. ბერნარდი ხმაგაკმენდილი ზის, მეტყველების უნარი წართმევია. მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებს. ჰანა მასთან მიდის და მოწიწებით კოცნის ლოყაზე. ბერნარდი გონს ეგება, წამოხტება და თავქუდმოგლეჯილი გარბის ბაღში. იქიდან ისმის მისი ყვირილი: "ქლო, ქლო-მეთქი!")

ვალენტინი: დედაჩემმა მაგას თავისი ველოსიპედი ათხოვა. ველოსიპედის თხოვება კი, მოგეხსენება, უსაფრთხო სექსის სახესხვაობაა, ამქვეყნად ყველაზე უსაფრთხოსი. დედას საეჭვოდ მიუწევს გული მაგ ყმანვილისკენ, ეგ კი, შენც იცი, შტერი არ არის, რაღაცას ხედება. ჰოდა, ადგა და პორას უოლპოლის პირველი გამოცემა აჩუქა. დედილომ კიდევ ველოსიპედი ათხოვა (მაგიდიდან იღებს მათემატიკის სახელმძღვანელოს, დავალებების რეგულს და დიაგრამიან ფურცელს და ყველაფერ ამას საქალდეში ინახავს). ცოტა ხნით მათხოვებ?

ჰანა: აბა რას ვიზამ.

(ჰიანინოს ხმა აღარ ისმის. გასი მორიდებით შემოიძურწება ოთახში).

ვალენტინი: ჰო, გას, დავამთავრეთ, მოვდივარ. ჰანა, ცოტას წავიშუაე ამ დიაგრამაზე და დაგიბრუნებ.

(გასი თავს იქნევს და იღიმება. ჰანასაც უღიმის, მაგრამ იმას გასისთვის არა სცხელა).

ჰანა: მაინც მიკვირს, რატომ ადრე არავინ მიმართავდა ამ... იტერაციას. რომელი ფარდობითობის თეორია ეგ არის, რო აინშტაინის ჭკუა დასჭირვებოდა!

ვალენტინი: სამაგიეროდ მთელი ცხოვრება დასჭირვებოდათ. ის კი არა, ერთი სიცოცხლე მაგას არ ეყოფოდა. მაშინ ტომპინასთვის ელექტროკალკულატორი იგივე იყო, რაც გალილეოსთვის იქნებოდა თანამედროვე ტელესკოპი.

ჰანა: კალკულატორს რა თავში იხლიდა?

ვალენტინი: ხო გითხარი, მაგას ერთი სიცოცხლე ვერ გაქაჩავდა-მეთქი. თანაც სად იყო იმდენი ფანქარი? (აფრიალებს ტომპინას რვეულს). რამდენი უიკრიკია მაგ საკითხს და მულამს მაინც ვერ ჩასწვდა. ჩვენ დროში რო ეცხოვრა უბედურს, კლავის დაჰკრავდა თითს და ეგ იქნებოდა. ერთსა და იმავე კლავის, რამდენჯერმე, ბევრჯერ... ესეც შენი იტერაცია! სულ რამდენიმე წუთი დასჭირვებოდა. ის, რაც მე ორიოდე თვეში გავაკეთე, ფანქრითა და ქალაღის ფურცლით შეიარაღებულ ტომპინას მთელი დარჩენილი სიცოცხლის შრომად დაუჯდებოდა. ათასობით გვერდს ააჭრელებდა... ათი ათასობით... წარმოიდგინე, რა მოსაწყენი იქნებოდა! მასე ხო ჭკუიდან გადავა კაცი!

ჰანა: იმის თქმა გინდა... (წამით ჩუმდება, რადგან გასი სახელოზე ექანება ვალენტინის). იმის თქმა გინდა, რო...

ვალენტინი: მოვდივარ, გას, მოვდივარ.

ჰანა: ...რო მხოლოდ ეგ იყო პრობლემა? დროის და ქალაღის დეფიციტი და ის, რო ეგრე მუშაობა მოსაწყენი იყო?

ვალენტინი: დროა, ტიხარი გავიტანოთ. სტუმრები ტანსაცმლის გაცმოცვლას მოინდომებენ.

ჰანა (ძულუბულია ხმას აუწიოს): მართო ეგ იყო, ვალ?

ვალენტინი (აოცებს მისი სიფიტე, მაინც მშვიდად პასუხობს): არა, იმის თქმა მინდოდა, რო ასეთი რამით არავინ გაიცხელებდა თავს... უმიზეზოდ, ტყუილბრალოდ... და თანაც...

(განაწყენებული გასი ოთახიდან გარბის).

ვალენტინი (მობოდიშებით): ყვირილს ვერ იტანს...

ჰანა: უი, მაპატიე...

(ვალენტინი გასს გაეკიდება).

ჰანა: რა "და თანაც"?

ვალენტინი: და თანაც ის, რო ასეთ რამეს მარტო დარტყმული შეეჭიდება!

(ვალენტინი გადის. ჰანა ჩაფიქრებული ზის. მერე მაგიდიდან იღებს "ქორნჰილ მეკუზინს", ნაჩქარევად ფურცლავს, ისევ ხურავს და ოთახიდან გადის. ფურნალი თან მიაქვს. ახლა ოთახი ცარიელია. სცენაზე განათება იცვლება: გარიჟრაჟი. შორიდან ისმის გასროლის ხმა. წამის შემდეგ კი - დამფრთხალი ყვავების გუნდის ჩხავილი).

მოქმედება II

სცენა მეხუთე

(ბერნარდი ბოლთას სცემს ოთახში. ხელში ნაბეჭდი თაბახების დასტა უჭირავს და კითხულობს. მისი აუდიტორია ვალენტინით, ქლოთი და გასით არის წარმოდგენილი. გასი ცოტა მოშორებით ზის და მიანიცდამინც კარგ მსმენელად არ ჩაითვლება. ვალენტინი სენდვიჩს შეექცევა. დროდადრო იქიდან სალათის ფოთლებს იღებს და თავის საყვარელ კუს უმაჰსიძღვდება).

ბერნარდი: მოხდა ეს თუ არა? შესაძლებელი იყო ასეთი რამ? იყო, ძალიანაც იყო!

"სამი წლით ადრე ირლანდიელმა პოეტმა ტომ მურმა დუელში გაიწვია ჯეფრი, რათა "უდინბურგის მიმომხილველში" გამოქვეყნებული რეცენზიისთვის გასწორებოდა. ასეთი დუელები იშვიათად გვირგვინდებოდა ტრაველით და უფრო ფარსს წააგავდა, მაგრამ თუ ამგვარი შერკინება ერთ-ერთი დუელიანტის სიკვდილით დამთავრდებოდა, გამარჯვებული ზუსტად ისევე აგებდა პასუხს კანონის წინაშე, როგორც რიგითი მკვლელი. რაც შეეხება ისეთ უღიმღამო პოეტს, როგორც იყო ეზრა ჩეიტერი, მისი სიკვდილი არ გახმაურდებოდა დერბიშირის მიყრუებულ მხარეში... მსგავსად მისივე თანამედროვე და თანამოგვარე უზადრუკი ბოტანიკოსის ალსასრულისა, რომელიც მაიმუნის ნაკბენისაგან მიიცვალა უესტ ინდოეთის ტყეში და ისევე შემორჩა ისტორიას, როგორც ის წყეული მაიმუნი. 1809 წლის 16 აპრილს, რამდენიმე დღის შემდეგ, რაც სიდლი პარკი მიატოვა, ბაირონი წერს თავის რწმუნებულს - ჯონ ჰენსონს: "გინდაც ინგლისიდან ჩემმა გაქცევამ იმაზე ასჯერ მეტად სავალალო შედეგი გამოიღოს, ვიდ-

რე თქვენ ფიქრობთ, სხვა გამოსავალს მაინც ვერ ვხედავ. მთელ რიგ მიზეზთა გამო იძულებული ვარ ასე მოვიქცე და დაუყოვნებლივ დაეტოვო ქვეყნის საზღვრები." ბაირონის წერილების კრებულს ასეთი კომენტარი აქვს დართული: "დღემდე უცნობია, თუ რამ აიძულა ბაირონი, ასე სასწრაფოდ დაეტოვებინა ინგლისი." ეს წერილი ბაირონმა ნიუსტედის სააბატოოდან გაგზავნა, ნოთინგემშირიდან - თავისი საგვარეულო მამულიდან. ნოთინგემშირში ცხენს თუ მოახტებოდი და ჩრდილო-დასავლეთით გაქუსლავედი, ერთ დღეში მიაღწევდი სიდლი პარკს, კავერლების სამფლობელოს. კავერლები ბაირონებზე გაცილებით წარჩინებული გვარის წარმომადგენლები იყვნენ... ჯერ კიდევ ჩარლზ მეორეს ებოძებინა მათთვის გრაფის წოდება..."

(ოთახში ჰანა შემოიჭრება. რალაც ფურცელს მოაფრიალებს).

ჰანა: ბერნარდ! ვალ!
ბერნარდი: რა ხდება?

(ჰანა ქალაღდის ფურცელს მაგიდაზე უდებს ვალენტინს).

ქლო (აღშფოთებით): ჰანა!!!

ჰანა: რა იყო?

ქლო: რა თავხედობაა!

ჰანა (შეცბუნებით): რა არისო? რა გჭირთ, ხალხო?

ვალენტინი: ბერნარდი მოხსენებას გვიკითხავს.

ჰანა: ვიცი (გონს მოეგება). უი, მაპატიეთ. მაპატიეთ, ბერნარდ.

ვალენტინი (მაგიდიდან იღებს ფურცელს): ეს რააა?

ჰანა: აი, რა მაქვს, ბერნარდ! ბიბლიოთეკიდან გამომიგზავნეს. ინდოეთის დეპარტამენტში პიკოკის წერილის ორიგინალი აღმოჩნდა. ნახე, ვალ, ასლი გადმომიგზავნეს!

ქლო: მოკეტე რა, ჰანა.

ჰანა (ჯდება): კარგი, კარგი.

ბერნარდი: თუ არ გაინტერესებთ...

ქლო: არა რა, ბერნარდ. მიდი, წაიკითხე.

(ჰანა პიკოკის წერილს იღებს მაგიდიდან).

ჰანა: მიდი, ბერნარდ, განაგრძე. დავაგვიანე, არა? რამე საინტერესო თქვი უჩემოდ?

(ბერნარდი საყვედურით შეხედავს, მაგრამ კითხვას მაინც აგრძელებს).

ბერნარდი: "1809 წელს ნიუსტედელი ბაირონების საგვარეულო ერთი ახირებული ზნის ქვრივითა და მისი კოჭლი მემკვიდრით შემოიფარგლებოდა. კოჭლმა ლორდის ტიტული ათი წლის ასაკში მიიღო, იქამდე კი მისი ცრუპენტელა და ბაქია დედილო ეტლით დაატარებდა ერთი ადგილიდან მეორეში, ერთი საცხოვრებელიდან მეორეში." (ჰანა ხელს ასწევს). პროტესტი არ არის მიღებული! "1809 წლის აპრილისთვის ოცდაერთს ოთხი თვით გადაცილებული ბაირონი არაფერს ფლობდა ვალებისა და უდიდესი ტალანტის გარდა. ბაირონებსა და კავერლებს შორის სოციალურ თანასწორობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. მათი დამაკავშირებელი აქამდე ჩვენთვის უცნობი სეპტიმუს ჰოჯი გახლდათ, ბაირონის კოლეჯის მეგობარი... (ჰანა ისევ სწევს ხელს). პროტესტი მიღებულია (ბერნარდი რალაცას ინშინავს ვერცხლისფერი ფანქრით). ისინი ერთად სწავლობდნენ ჰაროუსა და ტრინიტის კოლეჯებში... ჰოჯი კრუმების მამულში ცხოვრობდა და მათი ქალიშვილის, ტომაზინა კავერლის რეპეტიტორი იყო. ბაირონის წერილებიდან ჩანს, თუ სად იყო იგი მ და 12 აპრილს. სად და ნიუსტედში! მაგრამ 10 აპრილს ბაირონი სიდლი პარკში გახლდათ; ეს ფაქტი "მონადირის დღიურშია" აღნიშნული: "1809 წელი, 10 აპრილი, ნათელი, მშრალი დღია. ხან მზიანი და ხანაც ღრუბლიანი. სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი. მე, ოგასტესი და ლორდი ბაირონი. თოთხმეტი მტრედი და ერთი კურდღელი (ლორდი ბ.)." მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იმ დღეს სიდლი პარკში დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლი ოდენ მტრედეები არა ყოფილა! სექსს და მხატვრულ ლიტერატურას მათზე გაცილებით უკეთესი არსება შეეწირა: ადამიანი!"

ვალენტინი: მტრედეებიც ცოდონი არიან!

ბერნარდი: მტრედეები და კურდღელი მოხსენებისთვის სულაც არ მჭირდება. შენი ხათრით შევიტანე...

ქლო: შეეშვი, ბერნარდ, ყურადღებას ნუ მიაქცევ. დუელზე ილაპარაკე.

ბერნარდი: ჰანა საერთოდ არ გვისმენს.

ჰანა: როგორ არა. ყველაფერი მესმის. ზოგჯერ ჩართული რადიოც არ მიშლის ხელს მუშაობაში.

ბერნარდი: გამაღობთ. აი, მესმის ქათინაური!

ჰანა: მალე მორჩები?

ქლო: ჰანა!!!

ჰანა: ძალიან საინტერესოა, პირდაპირ გასაგებებელი! მარტო ის მინდოდა გამეგო, როდის მორჩებოდა. ამ წერილზე უნდა მეკითხა რალაც ვალენტინისთვის. მაგრამ, არა უშავს, მერე იყოს. მიდი, ბერნარდ!

ვალენტინი: ჰო, ბერნარდ, მიდი.

ქლო: გთხოვ რა, ბერნარდ.

ბერნარდი: რაზე გავჩერდი?

ვალენტინი: მტრედეებზე.

ქლო: სექსზე.

ჰანა: ლიტერატურაზე.

ბერნარდი: ჰო, ცხოვრებისეულ დრამაზე, სიკვდილსა და სიცოცხლეზე. კარგი, მაშ ასე: "ამას საჭიროზე უკეთ ადასტურებს ჩემს მიერ ზემოთ ციტირებული სამი წერილი: მკაცრი მოთხოვნა პირადი საკითხის დაუყოვნებლივ მოგვარებისა; სასონარკვეთილი ლაღი: "ჩემმა ქმარმა კაცი გაგზავნა ქალაქში პისტოლეტების წამოსაღებად"; მოტყუებული მამაკაცისა და შეურაცხყოფილი შემოქმედის - ეზრა ჩეიტერის - ბარათი-გამონევეა 1809 წლის 11 აპრილს. კონვერტებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ერთი რამ უდავოა: სამივე წერილი ბაირონთან ინახებოდა 1816 წლამდე, ანუ მანამდე, ვიდრე მისი წიგნები გაიყიდებოდა. ეს წერილები მას "ეროსის სარეცელში" ჰქონდა შენახული, სწორედ იმ წიგნში, შვიდი წლის წინ რომ ითხოვა სეპტიმუს ჰოჯისგან.

ჰანა: დარწმუნებული ხარ? ითხოვა?

ბერნარდი: შეკითხვები მოგვიანებით! ისე კი, კონსტრუქციული შენიშვნები უფრო გამახარებდა. ფაქტიურად, ამიტომ გავდივარ რეპეტიციას აქ, პროვინციაში, ვიდრე ლონდონში ბაირონის საზოგადოების წინაშე წარედგებოდე... სხვათა შორის, ვალენტინს, გინდა საქვეყნოდ გაითქვა სახელი? "მონადირის დღიური," რომელიც ამას წინათ აღმოაჩინა ვინმე..."

ვალენტინი: რა "აღმოაჩინა", ბერნარდ! ის არც არაადროს დაკარგულა.

ბერნარდი: კარგი. "...რომელიც ამას წინათ გადმოგვცა..." საერთოდ რევერანსები არა მჩვენია, მაგრამ მეცნიერული ნაშრომი ხო გაყრის პროცესითაა; სასურველია, მასში რომელიმე არისტოკრატის გვარმა გაიფლეროს. ლექციის წინ, შესავალ სიტყვაში უთუოდ მოგიხსენიებ და კიდევ პრეს რელიზშიც. ჰა, როგორ მოგწონს?

ვალენტინი: გამაღობთ, სერ.

ჰანა: პრეს რელიზში? "ინგლისური მწერლობის მოამბე" რალა იქნა?

ბერნარდი: იქ მოგვიანებით გამოვაქვეყნებ. მეცნიერულ კომენტარებს დაეურთავ. წერილი მშრალი იქნება, მოკრძალებული, ყოველგვარი ღვარძლისა და ნიშნის მოგების გარეშე. "იფიქრეთ, ტვინი გაანძრეთ, თქვე მცონარებო". მაგრამ ჯერ პრეს რელიზი. "იქარეთ, იქარეთ, თორემ ინანებთ!" რაზე გავჩერდი?

ვალენტინი: "მონადირის დღიურებზე."

ქლო: ეროსზე.

ჰანა: წიგნი რო ითხოვა.

ბერნარდი: სწორია! "ითხოვა სეპტიმუს ჰოჯისგან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამი წერილი უკვე იყო წიგნში, როცა ის ბაირონმა ითხოვა?"

ვალენტინი: შეიძლება.

ქლო: მოკეტე, ვალ.

ვალენტინი: ძალიანაც შეიძლება.

ბერნარდი: "განა ჰოჯი ისე მისცემდა ბაირონს წიგნს, რომ ჯერ იმ

წერილებს არ ამოიღებდა?"

პალენტინი: არა, იცი, რისი თქმა მინდოდა?... იქნებ ბაირონმა ის წიგნი... ყოველგვარი ნებართვის გარეშე მიითვისა...

ჰანა: სწორი ხარ, ვალ.

ბერნარდი: თუ მასეა, ჰოჯმა მერე რატომ აღარ გამოართვა ის წერილები?

ჰანა: აბა რა ვიცი! იქ კი არა ვიყავი!

ბერნარდი: მეც მანდა ვარ! იქ არ იყავი, რა ჩემი ფეხები გინდოდა იქ?

ქლო: მიდი რა, ბერნარდ.

ბერნარდი: "ამაში გვარწმუნებს მესამე წერილი-გამოწვევა. ჩეიტერმა, როგორც "მამაკაცმა და პოეტმა", ამხილა "ცილისმწამებელი პრესის ჭია." ბედკრული ეზრა არც ისეთი ვაჟკაცი იყო და არც ისეთი მგოსანი, პრესა მისი სახელით რომ ყოფილიყო აჭრელბული. ცხადია, აქ ის "პიკადილიში" დაბეჭდილ რეცენზიას გულისხმობდა... "თურქეთის ასულზე"... ჰქონდა რაიმე კავშირი სეპტიმუს ჰოჯს ლონდონის პერიოდულ გამოცემებთან? არა! ბაირონს? კი! ორი წლით ადრე მან უორდსუორთის შემოქმედება განიხილა, და კიდე ორი წლის შემდეგ სპენსერისა. გარდა ამისა, ცნობილია თუ არა ჩვენთვის ბაირონის აზრი ეზრას პოეზიაზე? დიხს! ბაირონის მეტი ვინ ჩანდოდა ფანქრით იმ ოთხ სტრიქონს "ინგლისელი ბარდებისა და შოტლანდიელი მიმომხილველების" ლედი კრუმისეულ ეგზემპლარში?

ჰანა: ვინ და ვინც გაგიხარდება.

ბერნარდი: ძვირფასო გოგონა...

ჰანა: არა ვარ შენი ძვირფასი.

ბერნარდი: კარგი. შტერო გომბიო, როგორ გგონია, შეეძლო ჰოჯს, კაცს, რომელსაც ჩეიტერი თავის მეგობარს უწოდებს, იმისი ცოლი გაეფორმებინა და მერე იმისივე წიგნი ამოეთხვარა ლაფში?

ჰანა: შეეძლო და მეტი არა?

ქლო (ხუმრობაგაშეებით): წარსულში რაღაც მიიმე გაქვს გადატანილი, არა, ჰანა?

ჰანა: ისეთი არაფერი, როგორის ატანაც ახლა მიხდება. რატომ არსად ახსენებს წერილებში ბაირონი იმ რეცენზიებს?

ბერნარდი: ვერ ხვდები, რატომ? იმიტომ რომ ავტორი გაასალა!

ჰანა: კარგი და პირველი რეცენზია, აი ის, "თურქეთის ასულზე," ამ ამბებამდე ერთი წლით ადრე არ გამოაქვეყნა? ნათელმხილველიც იყო ლორდი?

ქლო: ზოგჯერ წერილებიც იკარგება.

ბერნარდი: მეც მანდა ვარ! ყოჩაღ! უთუოდ არსებობს რაღაც წერილი... საგარაუდო... ის წერილი დაკარგულია, მაგრამ არ გამქრალა! ისეთივე ნაღია, როგორც რადიოტალღები... "ძვირფასო ჰოჯ! აი ახლა მე აღბანეთში ვარ. მთელ ქვეყანაზე მარტო შენ იცი, რატომაც. ბედკრული

'ჩ' დიდს არაფერს ვერჩოდი, ერთი ეგ იყო, ცოტა გავკენწლე "პიკადილი-ში." ყველაფერი იმ დედაკაცის ბრალია, ჰოჯ! ცუდი საქმე მოხდა, მეგობარო, მაგრამ ვმადლობ უფალს, ყოველივე პოეზიის სასარგებლოდ რომ დასრულდა. მარად შენი 'ბ'.

PS. ნაკითხვისთანავე დაწვი."

პალენტინი: იმ თქვენმა ჩეიტერმა საიდან გაიგო, ბაირონი რო იყო რეცენზენტი?

ბერნარდი (გალიზიანებით): მე რა ვიცი! იქ ვიყავი თუ რა? (პაუზა) რამის თქმა გინდა, ჰანა?

ჰანა: კიდე ჰანა, კაცო?

ქლო: მაშინ მე ვიტყვი. ბაირონმა თვითონ ჩაუკაკლა ყველაფერი მისი ჩეიტერს. სარეცელზე! მეორე დღეს კი მიიტოვა. ისიც გაცოფდა და ძალადობა შეტენა...

ბერნარდი (ზიზლით): სად შეტენა?

ქლო: სადაც ტენიან. თარიღიც მიუთითა - აპრილის 10!

(ბერნარდს აღშფოთების შეძახილი აღმოხდება, კარისკენ მირბის. სხვები აკავებენ).

ბერნარდი: მორჩა! დამივიწყეთ!

ჰანა: გვაპატიე, რა.

ბერნარდი: არა. თქვენი სარკაზმი და იდიოტობა ყელში ამომივიდა...

პალენტინი: მე რალას მერჩი?

ბერნარდი: საუკუნის სენსაციური აღმოჩენა ფეხებზე გკიდათ!

ქლო: შეეშვით ბერნარდს. შურით სკდებიან, ბერნარდ...

ჰანა: სამარე ვარ.

პალენტინი: მიდი რა, ბერნარდ, სუ დავმუნჯდები.

ბერნარდი (როგორც იქნა მოწყალეებას მოიღებს): კარგი, ოღონდ მაგ კუს მოეშვი.

პალენტინი: ჭამის დრო რო აქვს?

ბერნარდი: და კიდევ ცოტაოდენ პატივისცემას მოვითხოვ, როგორც მამაკაცი და ლიტერატორი...

ჰანა: კრინტს აღარ დავძრავ, ვიდრე არ მორჩები.

ბერნარდი: ჰოდა, რო მოვრჩები, მერე იყოს კომენტარები. ოღონდ მეცნიერულად...

ჰანა: გამყარებული.

ბერნარდი: დასაბუთებული.

ჰანა: სწორია. მეცნიერული ტერმინოლოგია. ვეცდები.

(ბერნარდი ისევ შლის მავიდაზე ქალაღებს, ცოტა ხნის წინ ასე არტი-სტულად რომ წამოკრიფა. პოულობს იმ ადგილს, სადაც გაჩერდა და თან ეჭვით ათვალთვრებს აუდიტორიას, კიდევ ხომ არ ოინბაზობენო).

ბერნარდი: ბოლო აბზაცი! "ორი აზრი არ არსებობს, რომ ეზრა ჩეიტერმა ვილაც დუელში გაიწვია. და თუ ეს დუელი ნისლიან დილას შედგასიდელო პარკში და თანაც 1809 წელს, მისი მოწინააღმდეგე, ვფიქრობ, ვინმე კრიტიკოსი იქნებოდა - დიდი ცინიკოსი და, ამასთან ერთად, მექალთაწე. მისი ვინაობის დასახელება ზედმეტად მიმარჩნია, ისედაც ცხადია. მისის ჩეიტერი 1810 წლისთვის ქვრივი იყო. ეზრა ჩეიტერის ნაადრევი და გაუხმაურებული სიკვდილის მიზეზიც ნათელია. ლორდი ბაირონი, სწორედ მაშინ, როცა საქვეყნოდ გაითქვა სახელი, თავქუდმოგლეჯით გარბის ინგლისიდან და ორი წელი საზღვარგარეთ იმალება. და ეს იმ დროს, როცა ევროპაში მოგზაურობა მეტად სახიფათოა და იშვიათად რომ ვინმეს დაეხადოს ასეთი სურვილი. განა დიდი გამჭრიახოება საჭირო იმის მისახვედრად, თუ რატომ გაიქცა ბაირონი ინგლისიდან?

(ბერნარდი აშკარად აღტაცებულია საკუთარი მონოლოგით. მრავლისმეტყველი სიჩუმე).

ჰანა: ბოდევა.

ქლო: არა, მართლა მასე უნდა ყოფილიყო.

ჰანა: რაც არ განუბნდა, ადექი და ამოაგდე. ეგრე სად არის, ბერნარდ? ბაირონი ჯერ კიდევ როდის გაიძახოდა, ინგლისიდან მივემგზავრებო, დაგავიწყდა? როდის და თებერვალში. წერილიც შემონახულია.

ბერნარდი: გაიძახოდა, მაგრამ არსადაც არ წასულა.

ჰანა: სხვათა შორის, არც აპრილში წასულა სადმე. ივლისის დასაწყისში გაემგზავრა.

ბერნარდი: სხვა დრო იყო, არავის არსად ეჩქარებოდა. ორი კვირა ფალშუტში იჯდა. არ ვიცი, ზურგის ქარს ელოდებოდა, არ ვიცი...

ჰანა: მეც არ ვიცი, ბერნარდ, რა მრჯის, თავს რატომ ვიცხელებ. თავდაჯერებული და თავისნათქვამა ხარ, არაფერს უწევ ანგარიშს. რალაც დაგარტყამს თავში და მორჩა! იმის იქით აღარ იხედები. ასე თუ მოიქცევი, კარგ ტურასაც დაიჭერ. სულ კი ნუ გააფრენ, ცოტა სხვასაც მოუსმინე. შენ ახლა იმ ბავშვს მაგონებ, სამთვლიან ველსიბედს რო მიიქანებს უფსკრულისკენ. და მე ამას გულგრილად ვერ ვუყურებ. იცი, რას გეტყვი? თუ ბაირონმა ჩეიტერი დუელში მოკლა, მაშინ მე ინგლისის დედოფალი ვყოფილვარ! საბოლოოდ იმას მოიწევ, რო სახლიდან თავზე ტომარა-ჩამოფხატულს მოგიხდება გასვლა. ვაი, სირცხვილო!

პალმანტინი: მართალია, ბერნარდ, მეცნიერული თვალსაზრისით შენ ითორია სრულყოფილებით ვერ დაიკვეხნის.

ბერნარდი: მერე ვინ ვითხრა, რო მეცნიერი ვარ?

პალმანტინი (დინჯად): მეცნიერული თვალსაზრისით...

ბერნარდი (ყვირის): მხოლოდ საკითხის ირგვლივ!!!

ჰანა: აბა მითხარი, ნორმალურია, ჯერ კაცი მოკლა და მერე იმისი

წიგნი გააკრიტიკო? პირიქით, კიდევ ჰო. შენ რო გისმენ, ისე გამოდის, თითქოს ბაირონმა ჰოჯისგან წიგნი ითხოვა, რეცენზია გააშანშალა, ფოსტით გაგზავნა გამომცემლობაში, მერე სასწრაფოდ შეაცდინა მისი ჩეიტერი, დუელში გავიდა და აითესა... და ეს ყველაფერი ორ-სამ დღეში მოასწრო. ასეთი რამ შესაძლებელია, ბერნარდ?

ბერნარდი: ბაირონისთვის კი!

ჰანა: აბა რა უნდა გელაპარაკო!

ბერნარდი: შენ ბაირონს რას გაუგებ? იმ შენი ვითომ რომანის პატრონი!

ჰანა: რისი პატრონიო?

ბერნარდი: ოჰ, მამატიე. შენ ხო საუკუნის წიგნი დანერე! ისტორიულ სინამდვილეს ჩასწვდი! ბაირონი უზნეო ბავშვად გამოიყვანე, რომელსაც მხოლოდ დრომ შეუწყო ხელი... სხვაგან და სხვა საუკუნეში ის გენიოსი ვერ იქნებოდა, კეროლანი კი - კარჩაკეტილ ინტელექტუალად, მამაკაცები მაღალ საზოგადოებაში რო არ იღებდნენ!

პალმანტინი: მოიცა, მოიცა, ეგ სადღაც წამიკითხავს.

ჰანა: ეგ ბერნარდის რეცენზიაა ჩემ წიგნზე,

ბერნარდი: ხო მაგარი ვარ!

(სიტუაცია იძაბება, მაგრამ ეს ბერნარდს დიდად არ აღელვებს).

ბერნარდი: შენ ისინი ერთმანეთში აგერია, გოგონი. კეროლანი ქარაფშუტა რომანტიკოსი იყო, ბაირონი კი - რაციონალისტი მეთვრამეტე საუკუნიდან, გენიოსი... გასაგებია? და სწორედ მან მოკლა ჩეიტერი!

ჰანა (შეცირე პაუზის შემდეგ): მიჯობს თავი დაგანებო. მიდი, ბერნარდ, მიანექი, კისერიც გიტეხია.

ბერნარდი: მივანწვები კიდევ. გიჯობს საკუთარ თვალში დაინახო დირე! და შენი წიგნის სუპერს მოუარო!

ჰანა: სუპერს რალა სჭირს?

პალმანტინი: კომპიუტერულ მონაცემებს რალას ერჩი? აღარ აპირებ სხეწებას?

ბერნარდი: არადამაჯერებელია, ყმანვილო!

პალმანტინი: იცი რა, ჰანა? "პიკადილის" რეცენზიები ძალიან განსხვავდება ბაირონის სხვა რეცენზიებისგან. მე შევადარე.

ჰანა: მაინც რა სჭირს სუპერს, ბერნარდ?

ბერნარდი (კითხვას უპასუხოდ ტოვებს): ბაირონის სხვა რეცენზიებიც არ ჰგავს ერთმანეთს...

პალმანტინი: კი, მაგრამ აქ სულ სხვა პარამეტრებია...

ბერნარდი (ირონიულად): პარამეტრები! შენ ბაირონი ის შენი როჭო ხო არა გგონია! ბაირონს კომპიუტერით ვერ გამოთვლი, ფეხი არ ჩაგივა, ვალ!

პალმანტინი (მშვიდად): იცი, ეს ყველაფერი ტრივიალურია.

ბერნარდი: რა არის ტრივიალური?

ვალენტინი: აი, ვინ დაწერა, როდის დაწერა...

ბერნარდი: მაშ, ტრივიალურია, არა?

ვალენტინი: ჰო, პიროვნებაზე მახვილდება ყურადღება...

ბერნარდი: როგორა თქვი, ტრივიალურიაო?

ვალენტინი: რა მოგივიდა? არის ასეთი ტექნიკური ტერმინი.

ბერნარდი: თქვენში არ ვიცი და ლიტერატურაში ეგ ტერმინი სულ-

აც არ არის ტექნიკური!

ვალენტინი: ეგ საკითხები არ არის არსებითი, ბერნარდ. იმ კამათი-სა არ იყოს, ვინ გამოიგონა დიფერენციალური აღრიცხვაო... ინგლისელე-ბი გაიძახიან - ნიუტონმაო, გერმანელები გაჰყვირიან - ლაიბნიცმაო. მა-გრამ ეს სულაც არ არის მნიშვნელოვანი. რაში მაინტერესებს პიროვნე-ბა? მთავარი თვითონ ის აღრიცხვაა, მეცნიერული პროგრესი, შემეცნე-ბა...

ბერნარდი: არ მატყუებ? რატომ?

ვალენტინი: რა "რატომ?"

ბერნარდი: რატომ არის მეცნიერული პროგრესი პიროვნებაზე მნიშ-ვნელოვანი?

ვალენტინი: ხუმრობ?

ჰანა: კი. თანაც ტრივიალურად. იცი, ბერნარდ...

ვალენტინი (ჰანას აწყვეტილებს და ბერნარდს მიმართავს): მიდი, ბე-რნარდ, ნუ გრცხვენია, აღიარე, რო ჩაფლავდი.

ბერნარდი: ვიცი, ახლა პენიცილინითა და პესტიციდებით შემომიტ-ვეთ, მე კი საპასუხოდ ატომურ ბომბსა და აეროზოლებს შეგახსენებთ. ისე, თქვენ თუ დამინდობთ, მეც დაგინდობთ და გავჩუმდები. ერთს კიდ-ევ გთხოვთ, პროგრესს სრულყოფასთან ნუ გააიგივებთ. დიდი პოეტი ყო-ველთვის დროულად გვევლინება, დიდი ფილოსოფოსი მუდამ გვჭირდება, მაგრამ აი, ისააკ ნიუტონს ცოტა რო მოეცადა, ქვეყანა არ დაიქცეოდა. სამყაროს არისტოტელესეული მოდელითაც დაკმაყოფილდებოდით... რა სჯობს ორმოცდათხუთმეტ ბროლის სფეროს? ღმერთი მოიყვანს მოძრა-ობაში, განა კაცი! ყველაზე ტრივიალური ნაგავი კი იცით, რა არის? რა და სინათლის სიჩქარე. ეს კვარკებით, ეს კვანძარებით, ბრაზ-ბრუხ, გაგი-ყდება კაცი! რა თავში ვიხლით? თქვენ მეცნიერებმა ყველაფერი ნაგვარ-თვით, მშრალზე დაგვეტოვეთ, ფინანსებიც კი დაგვანერეთ და გიხარიათ.

ქლო: პენიცილინის რაღას ერჩი, ბერნარდ?

ბერნარდი: მიდი, მიდი, მაგათ არ აწყენინო! (ისევ ვალენტინს მიუბ-რუნდება): და კიდე მე მივექანები უფსკრულისკენ? მე კი არა, თქვენ! და სიამოვნებითაც გადაგჩეხავდით. მკელობელნი ხომ მაინც მეტყვიან მად-ლობას, თქვენგან გამწარებული ხეიბრები! მეტი არც მინდა.

ჰანა (ხმაშალა): რა ჯანდაბა სჭირს-მეთქი სუპერს?

ბერნარდი (ყურსაც არ იბერტყავს): თუ შემეცნება თვითშემეცნება არ არის, რაღა მისი ფასი? სამყარო ივრცობა? დიდი რამე! იკუმშება?

აი, დარდი! ასეც უქნია, ცალ ფეხზე შემდგარს უმღერია "Happy Birthday!" მე შემეშვი. ჩემ წილ სამყაროს უთქვენოდაც გავაფართოვებ! "იგი ბრუნავს და მშვენიერია, ვით მთვარიანი, კაშკაშა ღამე და მის თვა-ლებში დავანებულა მთელი მშვენიება შუქ-ჩრდილებისა." ჰა, როგორია? ნვეულებიდან დაბრუნდა, დაჯდა და დაწერა. (სარკასტული თავაზიანობ-ით) ჰო, მართლა, ვალენტინ, შენი საქმე რაღას იქს? შენი როჭოები? მი-ოხარი ერთი, თუ გიყვარდე!

(ვალენტინი წამოდგება. ატირებს ბევრი არ უკლია).

ვალენტინი (ქლოს): არც ეს ერჩის პენიცილინს და არც მე - პოეზი-ას! (ბერნარდს): აი, როჭოებს კი უკვე შევეშვი.

ჰანა: რას ამბობ, ვალ?

ვალენტინი (კარისკენ მიემართება): მეტი აღარ შემიძლია, ძმაო!

ჰანა: რატომ?

ვალენტინი: დიდი ქაოსია... დამპალი ქაოსი...

(ვალენტინი გადის. აკრემლეული ქლო ბერნარდს მიეჭრება და მუშ-ტებს დაუშენს, მაგრად კი არა, ისე, ეფექტისთვის).

ქლო: რა ნაგავი ხარ, ბერნარდ!

(ქლო ვალენტინს გაეკიდება, გასი - ქლოს. პაუზა).

ჰანა: ყველას გაუსწორდი. ახლა კი ნადი და გზად ლაითინგსაც გა-ჰკარი ფეხი.

ბერნარდი: არ გამომივიდა კარგად. შენთანთან სჯობს კამათი.

ჰანა: კი.

ბერნარდი: რას იზამ... (თაბახის ფურცლებს საქალაღდეში ინახავს და უეცრად რაღაც ახსენდება). სუპერის ამბავი არ გაინტერესებს? "ლო-რდი ბაირონი და კეროლიან ლემი სამეფო აკადემიაში." შენრი ფიუზელ-ის რეპროდუქციაა, არა?

ჰანა: მერე?

ბერნარდი: ისინი არ არიან.

ჰანა (გამწარებით): ვინ მოგახსენა?

(ბერნარდი საქალაღდედან იღებს "ბაირონის საზოგადოების მოამბ-ეს.")

ბერნარდი: აი, რა გამომიგზავნეს "საზოგადოებიდან"! იქ ფიუზელის სპეციალისტი გაჩითულა. გამომიგზავნეს, როგორც საპატიო სტუმარ-მო-მსხენებელს...

ჰანა: ისინი არიან! ყველამ იცის, რო...
ბერნარდი: ყველა ცდება. (ეჭვს საჭირო ადგილს ტექსტში). აი, უყურე: "არა უადრეს 1820 წლისა." ზედმინეებით გამოიკვლია. (უწვდის უზრუნველს) წაიკითხეთ მოცალეობის უამს, მიღუდი...

ჰანა (გამოჯავრებით): მას გამოიკვლია, შეისწავლა, არა?
ბერნარდი: რა უშავს, კარგი ჩანახატი, მაგრამ ბაირონი მაგ დროს უკვე იტალიაში იყო.

ჰანა: ბერნარდი ისინი არიან. ვიცი.
ბერნარდი: საიდან?
ჰანა: ვიცი და მორჩა. გამოიკვლია, ჩემი ფეხები!!!
ბერნარდი: წესიერად ილაპარაკე.
ჰანა: ცდება.
ბერნარდი: მეცნიერულ ინტუიციას ეყრდნობით, მის?
ჰანა (დინჯად): ცდება.

(ბერნარდი ხმაურით ხურავს საქალაქს).

ბერნარდი: ეს ყველაფერი ტრივიალურია... რატომ არ მომყვები?
ჰანა: სად?
ბერნარდი: ლონდონში.
ჰანა: რისთვის?
ბერნარდი: იმისთვის.
ჰანა: გინდა, შენ ლექციას დაეხსნო?
ბერნარდი: ლექცია - ჩემი ფეხები! მაგას სექსი არა აჯობია?
ჰანა: უი, არა, არა. დიდად გმადლობ. (გონს ეგება) შენ რა, საბოლოოდ გააფრინე?
ბერნარდი: იქნებ გეცადა. მგონი, რაღაც სათანადოდ ვერ აფასებ სექსს.

ჰანა: რატომ? არაფერს ვერჩი...
ბერნარდი: კი ერჩი. ცოტა უნდა აიშვა, ჰანა. უკეთეს ნიგნსაც დანერდი. უფრო სწორად - მართალ, ნაღდ რამეს.
ჰანა: სექსი და ლიტერატურა. ლიტერატურა და სექსი. ვინმემ კი უნდა გითხრათ, რომ თქვენი მსჯელობა შორს ვერ მიდის. სულ სექსი და სექსი...

ბერნარდი: აბა ისე, რისი მამაკაცები ვიქნებოდით!
ჰანა: სწორია! აინშტაინი - ფარდობითობის თეორია და სექსი. ჩიპენდეილი - სექსი და ავეჯი. გალილეო - დედამინა მარტო ბრუნავს, თუ... რა გჭირთ, ხალხო? ვიღაც-ვიღაცები კი მთხოვდნენ ცოლობას, მაგრამ ასეთ გარიგებაზე არ წავსულვარ. რეგულარული სექსი თავისუფლების საფასურად! შენ გემოზე ვერ გააქარებ "სარეცელზე!" ნაღდ ნიგნში რას გულისხმობ?

ბერნარდი: კეროლანდ ლემს გმირობას მხოლოდ რომანტიკოსი

დააბრალებს. შენ კი რაციონალისტი ხარ... ბაირონზე სამუშაოდ უნდა დებულა...

ჰანა (პაუზის შემდეგ): ჩაო, ბერნარდ.
ბერნარდი: ცეკვებზე მოვალ. ქლომ დამპატიყა.
ქლო: კარგი გოგოა, მაგრამ მე არ ვცეკვავ.
ბერნარდი: მე იმას უნდა ვეცეკვავ.
ჰანა: ჰო, თორემ მე არ ვცეკვავ.
ბერნარდი: მისი პარტნიორი ვარ. დედამისთან არ წამოგცდეს.
ჰანა: დედას უშავს?
ბერნარდი: მე ვუმალავ დედამისს. სოფლის არისტოკრატია ჩემთვის

რაც ახალია. მუშინია და რა ვქნა?
ჰანა: ბერნარდ, შენ რა, შეაცდინე?
ბერნარდი: შევაცდინე არა... რამდენი რაღაც დაუფიქრე, იმდენი ბიბლიოთეკის კიბეზე აძვრა. ბოლოს შევეშვი. მაგრამ ფეხებს შორის რაღაც მაინც მოეუწვი და... შენ გამახსენდი (ჰანა მაგარ სილას გააწნავს, მაგრამ ბერნარდი წარბსაც არ იხრის. ჯიბიდან რაღაც პატარა წიგნაკს იღებს და არხვინად აგრძელებს ლაპარაკს). გამომცემლობა "ფიქსის" "მოგზაურის გზამკვლევი." ჯეიმს გოდოლფინი, 1832. ილუსტრაციების გარეშე. სამწუხაროა! (მონიშნულ გვერდზე გადაშლის წიგნაკს) "სიღლი პარკი დერბიშიში, გრაფ კრუმის საკუთრება..."

ჰანა (გაოგნებით): სამყარო ჯანდაბისკენ მიექანება...
ბერნარდი: "ბრაუნისა და ნოუქსის პროექტით გოთურ სტილში გაშენებული პარკი... სუთასი აკრიდან ორმოცი ტბას უკავია... დაკიდული ხიდები, ხელოვნური გამოქვაბული... უკვე ოცი წელია, რაც სენაკში განდგეგილი სახლობს თავის საყვარელ კუსთან, პლუტუსთან ერთად. ბავშვებს ზოგჯერ ნებას რთავს ხელი გადაუსვან თავის ნებიერს, მაგრამ არც თუ დიდი ხალისით აკეთებს ამას." (ჰანას წიგნს გაუწვდის). ხედავ, კუ! იქაც რეპტილია, აქაც რეპტილია...

(ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ იღებს წიგნს).

ჰანა: გმადლობთ.

(კარებში ვალენტინი ჩნდება).

ვალენტინი: სადგურის ტაქსი უკვე აქ არის...
ბერნარდი: ჰო... გმადლობთ... იმ პიკოკისგან რამე გამოდნება?

ჰანა: ცოტა კი.
ბერნარდი: განდეგილის გვარი და მისი "ნამსახურობის ნუსხა?" (მავრიდიან იღებს პიკოკის წერილს) "ძვირფასო თეკერეი..." მაინც რა მაგარი ვარ, არა? (წერილს ისევ მაგიდაზე დებს) აბა, წარმატება მისურვე, ჰანა. (მოუბრუნდება ვალენტინს) მამატიე, რა, ის... შენ ხო იცი, რაც შენც, ჰანა...

მალენტინი: აახვიე, რა, ბერნარდ.

ბერნარდი: არის! (გადის).

პანა: ახლა მართლა კი ნუ ავარდები. თავისივე ნალაყბევით კეკლუცობდა და სხვა არაფერი. რიტორიკა ხო გაგივია! ანტიკურ პერიოდში ისევე ასწავლიდნენ, როგორც გიმნასტიკას. ჭეშმარიტება ფილოსოფიის პრეროგატივა იყო, რიტორიკა კი - გახურების ხელოვნება. ბერნარდი, უბრალოდ რეპეტიციას გადიოდა... ტელევიზიით უწევს გამოსვლა და...

მალენტინი: მე რა, მაგისი საცდელი ბაჭია ვარ? (იღებს წერილს და თვალს გადააელებს). რაო, ჩვენმა დარეხვილმა განდევილმა, რა მიწაო?

(პანა ართმევს წერილს და ხმამაღლა უკითხავს).

პანა: "შეპყრობილის ღალადისი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ფრანგულმა მოდამ არ უნდა გაგიტაცოს... რამეთუ ფრანგმა, უფრო სწორად, გაფრანგებულმა მათემატიკოსმა ჩაუნერგა მას, რომ მომავალში სამყარო სინათლესაც იქნება მოკლებული და სიცოცხლესაც... იმ ხის ღუმელს დაედრება, რომელიც თავად მთანთქავს საკუთარ თავს და ფერფლად გადაიქცევა... და სითბოც დატოვებს მაშინ სამყაროს."

მალენტინი (აშკარად ეტყობა გამოცოცხლება): აუ!!!

პანა: "ის ორმოცდამედი წლისა გარდაიცვალა, მცოვანი ვით იობი და ერთიანად ნაოჭებით სახედასერილი. ასე დაამტკიცა თავისი თეორია. მაგრამ მთელი სიცოცხლე ნამდვილად მიუღქნა ერთ რამეს: ცდილობდა, კაცობრიობისთვის იმედი ჩაესახა გულში... ნაქები ინგლისური ალგებრის მეშვეობით."

მალენტინი: სუ ეს არი?

პანა (თანხმობის ნიშნად თავს უქნევს): რამე მულამი გამოიჭირე?

მალენტინი: რაში? რო ყველას მოგვეხაზება? (დაუდევრად): იცი, პრინციპში ეს თერმოდინამიკის მეორე კანონია.

პანა: ადრე რამე თუ იცოდნენ ამის შესახებ?

მალენტინი: კი. პოეტებმა და დარეხვილებმა. უხსოვარი დროიდან.

პანა: გეყო შაყირი. იმათ თუ იცოდნენ?

მალენტინი: არა!

პანა: აქვს რამე კავშირი ტომაზინას აღმოჩენასთან?

მალენტინი: იმას არაფერი აღმოუჩენია.

პანა: აბა ის ჩანანერები რაღაა?

მალენტინი: არაფერი.

პანა: მაშ რა, უბრალო დამთხვევაა?

მალენტინი: რა დამთხვევა?

პანა (კითხულობს): "ის ორმოცდამედი წლისა გარდაიცვალა." ეს 1834-ში მოხდა. ესე იგი, 1787 წელს დაბადებულა. ისევე, როგორც ის რეპეტიტორი. აკი თავად ჩაუნერია "თვითსარეკომენდაციო" წერილში: "დაბადების წელი - 1787." განდევილისა და სეპტიმუს ჰოჯის დაბადების წლები ერთმანეთს ემთხვევა.

მალენტინი (პაუზის შემდეგ): შენ რა, ბერნარდისგან გადაგედო?

პანა: როგორ არ გესმის? მე ჩემი განდევილი სიმბოლო მეგონა. პეიზაჟში ჩართული იდიოტი. მაგრამ ეს ვარიანტი სჯობს: რომანტიზმის უდაბნოში გაძევებული განმანათლებლობის ეპოქა! განდევილის სენაკში შეუშული გენიოსი სიძლი პარკიდან!

მალენტინი: ნაადრევი დასკვნაა.

პანა: ასე იყო... ასე... სადღაც რაღაც საბუთი უნდა იყოს... ეჰ, ერთი მაპოვინა!

სცენა მეექვსე

ოთახი ცარიელია. ყველაფერი მეორდება: ადრიანი დილა, შორეული გასროლა, ყვავების ყრანტალი. შემოდის ჯელაბი სანათით ხელში. ფანჯრიდან იყურება. რაღაცას დაინახავს. მერე მაგიდაზე დგამს სანათს, აღებს ერთ-ერთ შემინულ კარს და გადის.

ჯელაბი (გარედან): მისტერ ჰოჯ!

(შემოდის სეპტიმუსი. ჯელაბი ფეხდაფეხ მოჰყვება. ჯელაბი ხურავს ბაღში გამავალ კარს. სეპტიმუსს გრძელი პალტო აცვია).

სეპტიმუსი: გმადლობთ, ჯელაბი. მეგონა, გარეთ მომინედა დარჩენა. რა დროა?

ჯელაბი: ექვსის ნახევარი, სერ.

სეპტიმუსი: ჩემი საათიც მაგ დროს უჩვენებს. რა საოცარი რამეა... (შიდა ჯიბიდან ორ პისტოლეთს იღებს და მაგიდაზე აწყობს) ...საოცარი რამეა ეს განთიადი, ყველა იღვიძებს, ყველაფერი იღვიძებს, თევზები, ფრთოსნები, ზაყაყები... და ბოცვრებიც... (მეორე შიდა ჯიბიდან ამოაძვრენს მოკლეულ ბოცვერს). თანაც რა ლამაზია... განთიადს ვგულისხმობ. ერთი ეგ არის, ძალიან ადრე დაგვიდგება ხოლმე. აი, ეს ბოცვერი ლედი ტომაზინას! წაუღებთ?

ჯელაბი: მკვდარი როა?

სეპტიმუსი: მოკლულია. ლედი ტომაზინას უყვარს ბოცვერის ღვეზელი.

(ჯელაბი უხალისოდ იღებს სისხლით დაწინწკლულ ბოცვერს).

ჯელაბი: მისტერ ჰოჯ, თქვენ გიკითხეს...

სეპტიმუსი: წუხელ ნავსადგომში მეძინა. ასე გადავწყვიტე. პარკიდან ეტლი გავიდა, არა?

წელაბი: დიახ, კაპიტან ბრაისის ეტლი. მისტერ და მისის ჩეიტერებიც მასთან ერთად გაემგზავრნენ.

საპტიმუსი: გაემგზავრნენ?

წელაბი: დიახ, სერ. ლორდ ბაირონის ცხენი კი დილის ოთხი საათისათვის უკვე შეკაზმული გახლდათ.

საპტიმუსი: როგორ, ლორდი ბაირონიც წავიდა?

წელაბი: დიახ, სერ. სახლში ისეთი ალიაქოთი იყო...

საპტიმუსი: მაგრამ მისი სანადირო პისტოლეტები რომ ჩემთან დარჩა? ახლა რა ვუყო ამათ?

წელაბი: ოთახში არ იყავით. გეძებდნენ.

საპტიმუსი: ვინ გეძებდა?

წელაბი: მისი ბრწყინვალეობა, ლედი კრუმი.

საპტიმუსი: მისი ბრწყინვალეობა ჩემ ოთახში შებრძანდა?

წელაბი: მოვახსენებ მის ბრწყინვალეობას, რომ უკვე დაბრუნდით (ვასვლას აპირებს).

საპტიმუსი: მისმინეთ, ჯელაბი! ლორდ ბაირონს წიგნი ხომ არ დაუტოვებია ჩემთვის?

წელაბი: წიგნი, სერ?

საპტიმუსი: დიახ. ჩემი წიგნი ჰქონდა...

წელაბი: მის ბრწყინვალეობას არაფერი დაუტოვებია ოთახში, ერთი საცოდავი მონეტაც კი.

საპტიმუსი: რომ ჰქონოდა, მერნმუნეთ, უთუოდ დატოვებდა. აი, სა-მაგიეროდ ეს ნახევარი გინეა - თქვენ.

წელაბი: დიდად გმადლობთ, სერ.

საპტიმუსი: მაინც რა მოხდა აქ, ჯელაბი?

წელაბი: მსახურებს არაფერს გვეუბნებთან, სერ.

საპტიმუსი: კარგი ერთი! როგორ დავიჯერო, რომ ნახევარი გინეა აღარ ფულობს.

წელაბი (ობრაეს): მისი ბრწყინვალეობა ლედი კრუმი ღამით მისის ჩეიტერს გადაეყარა.

საპტიმუსი: როგორ თუ გადაეყარა? სად?

წელაბი: ლორდ ბაირონის ოთახის კართან.

საპტიმუსი: რომელი შედიოდა და რომელი გამოდიოდა?

წელაბი: მისის ჩეიტერი გადიოდა ლორდ ბაირონის ოთახიდან.

საპტიმუსი: და მისტერ ჩეიტერი სადღა იყო ამ დროს?

წელაბი: მისტერ ჩეიტერი შერის შეექცეოდა კაპიტან ბრაისსთან ერთად. მსახურისთვის ებრძანებინათ, სამ საათამდე ცეცხლი არ გააქროო. მერე ისეთი ამბავი ატყდა სახლში...

(შემოდის ლედი კრუმი).

ლედი კრუმი: მამ ასე, არა, მისტერ ჰოჯ?

საპტიმუსი: მილედი?

ლედი კრუმი: ეს ყველაფერი კურდღლის მოსაკლავად დაგჭირდათ,

სერ?

საპტიმუსი: ეს ბოცვერია (უძლებს ლედი კრუმის გამჭოლ მზერას). თუმცა არა, კურდღელია... ისე კი ძალიან ჰგავს ბოცვერს...

(ჯელაბი ვასვლას აპირებს).

ლედი კრუმი: ჩაის ნაყენი შემომიტანეთ.

წელაბი: მესმის, თქვენო ბრწყინვალეობა.

(ჯელაბი გადის. ლედი კრუმი მაგიდაზე მოისვრის ორ წერილს. ეს წერილები ადრე არ გვინახავს. ორივე კონვერტი გახსნილია).

ლედი კრუმი: როგორ გაბედეთ, ჰოჯ!!!

საპტიმუსი: იმისთვის მე ნუ გამკიცხავთ, ჩემი პირადი წერილები რომ წაიკითხეთ, მილედი...

ლედი კრუმი: აკი მე მომწერეთ?

საპტიმუსი: მაგრამ თქვენ ისინი ჩემს ოთახში იპოვეთ, მილედი. მხოლოდ ჩემი მიცვალების შემთხვევაში გქონდათ უფლება...

ლედი კრუმი: უფლება? მე? ერთი მიბრძანეთ, რის მაქნისია სასიყვარულო უსტარი იმ ქვეყნიდან?

საპტიმუსი: იმისი, რისიც ამ ქვეყნიდან, თქვენო, ბრწყინვალეობა... თანაც მეორე წერილი თქვენი არ უნდა იყოს, თუ არ ვცდები.

ლედი კრუმი: როგორც დედას, უფლება მქონდა ჩემი ქალიშვილის წერილი წამეკითხა. წერილი, რომელიც თქვენ მისწერეთ, სერ! უფლება მქონდა იმისდა მიუხედავად, ცოცხალი იქნებოდით, მკვდარი თუ ჭკუიდან შეცდენილი. რა სისულელეს წერთ ჩემს გოგონას ბრინჯის პუდინგზე, როცა იგი თავზარდაცემულია ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით?

საპტიმუსი: ვინ გარდაიცვალა, მილედი?

ლედი კრუმი: თქვენ, თქვენ... თქვე არამზადავ!

საპტიმუსი: ჰოო...

ლედი კრუმი: აღარც კი ვიცე, ამ ორი წერილიდან რომელია უფრო აღმამფოთებელი! ერთი ბრინჯის პუდინგზე ბოდავთ რაღაცას, მეორეში ჩემი სხეულის ნაწილების აღწერა-დახასიათებას ბედავთ. თანაც ერთობ თავხედურად!

საპტიმუსი: რომელია უფრო აღმამფოთებელი, თქვენო ბრწყინვალეობა?

ლედი კრუმი: ოჰო, როგორ გავთამამდით, რახან აბარგება განგვიზრახავს! თქვენმა მეგობარმა დატოვა ჩემი სახლი და ის კალთაუხვი დედაკაციც მივაბრძანე აქედან თავის ქმართან ერთად. ჩემი ძმაც მათ გზას გაუყვნენ. ასეთი გახლავთ განაჩენი ან ჭკუით შეარჩიე მეგობარ-მოკე-

თეები, ან გადაიკარგე! ეს ვინ შემომიყვანა სახლში იმ უგუნურმა?! ლორდი ბაირონი კი თვალთმაქცი გარეწარია. და რაც უფრო მალე გასწევს ლევანტისკენ, მით უკეთესი: იქ უთუოდ ჰპოვებს თავის შესაფერის საზოგადოებას...

სეპტიმუსი: როგორც ვხედავ, აქ განკითხვის ღამე ყოფილა...

ლედი კრუმი: სიმართლე მოგახსენოთ, გაცილებით სჯობდა, ერთმანეთისთვის ტყვია გეკრათ შუბლში თქვენ და იმ თქვენს ქებულ მისტერ ჩეიტერს. ისე, როგორც ნესიერ საზოგადოებაშია მიღებული. ყველა თქვენი საიდუმლო გამჟღავნდა, მისტერ. ლალადი, ფიცი, ცრემლები... ყველაფერი იყო. კიდევ კარგი, ნადირობასა და თოფის სროლაზე გადაგებულ ჩემს თანამეცხედრეს ერთ ყურში აკლია, მეორეზე კი სძინავს!

სეპტიმუსი: ვშიშობ, მაინც ვერ გავიგე, რა მოხდა, თქვენო...

ლედი კრუმი: თქვენ ხასას ლორდ ბაირონის ოთახში წაასწრეს.

სეპტიმუსი: და ვინ წაასწრო? მისტერ ჩეიტერმა?

ლედი კრუმი: ცხადია, მან.

სეპტიმუსი: დიდად ვწუხვარ, ქალბატონო, ჩემი უღირსი მეგობარი რომ მოგახხვიეთ თავს... სახლში რომ შემოგიყვანეთ... ფიცაც, მოუწევს პასუხის გება...

(ეს მუქარა, ცოტა არ იყოს, აშფოთებს ლედი კრუმს, მაგრამ ვიდრე ხმის ამოღებას მოასწრებდეს, შემოდის ჯელაბი და შემოაქვს პატარა ფეხიანი კალის ლანგარი. მასზე დვას სპირტქურა, რომელზეც ჩაიდანი დაუკიდია სახელურით. გარდა ამისა, ლანგარზე აწყვია ფინჯან-ლაშბაქი და ვერცხლის დაწნული კალათა გამხმარი ბალახებითა და ფოთლებით. ჯელაბი ლანგარს მაგიდაზე დგამს და ლედი კრუმის ბრძანებას ელის).

ლედი კრუმი: თავად მივხედავ, ჯელაბი.

ჯელაბი: მესამის, მილედი. (მიუბრუნდება სეპტიმუსს) ლორდ ბაირონს თქვენთვის წერილი დაუტოვებია, სერ.

სეპტიმუსი: გმადლობთ, ჯელაბი.

(სეპტიმუსი იღებს ლანგარიდან წერილს. ჯელაბი კარისკენ მიდის. ლედი კრუმი თვალს არ აცილებს წერილს).

ლედი კრუმი: როდის დაუტოვებია, ჯელაბი?

ჯელაბი: წასვლისას, თქვენო ბრწყინვალეება.

(ჯელაბი გადის. სეპტიმუსი წერილს ჯიბეში ინახავს).

სეპტიმუსი: ნება მიბოძეთ, მოგემსახუროთ.

(დუმის თანხმობად ჩათვლის, ფინჯანში ჩაის ასხამს და ლედი კრუმს აწვდის. ისიც ჩამოართმევს).

ლედი კრუმი: დარწმუნებული არ გახლავართ, რომ კარგი საქციელია, მიიღოთ წერილი ჩემს სახლში ჩემივე სახლიდან დათხოვლი პირისგან, სერ.

სეპტიმუსი: ცუდი საქციელია, მილედი! ლორდ ბაირონის კადნიერება კი მუდამ გულს უღრღნიდა მის მეგობრებს, რომელთა რიცხვსაც, მე, საბედნიეროდ, აღარ მივეუთენები. ამ წერილს მანამდე არ წავიკითხავ, სანამ მეც არ დავტოვებ თქვენ სამფლობელოს.

(ლედი კრუმი წამიერად ჩაფიქრდება).

ლედი კრუმი: წამიკითხავს კიდევ ეპატიება, აი, დამწერს კი, რა მოგახსენოთ.

სეპტიმუსი: თქვენ ბრწყინვალეებას პერიკლეს დროინდელ ათენში უნდა ეცხოვრა... ფილოსოფოსნი და მოქანდაკენი ერთმანეთს შეეციოებოდნენ ყოველი წამისთვის, რომელსაც დაუთმობდით!

ლედი კრუმი (აღშფოთებით): თქვენ ასე ფიქრობთ? (ნაკლები აღშფოთებით) ასე გგონიათ?

(სეპტიმუსი ჯიბიდან იღებს ბაირონის წერილს და სპირტქურის ალზე წვავს. აღმოედებულ კონვერტს ხელიდან ავდებს და ისიც კალის ლანგარზე იფერფლებს).

სეპტიმუსი: ესეც ასე. ლორდ ბაირონის წერილი, რომლის წაკითხვაც არა კაცს არ უწერია! აქაურობას დაუყოვნებლივ დავტოვებ, როგორც კი მიბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალეება...

ლედი კრუმი: უესტ ინდოეთისკენ გაგინევიათ?

სეპტიმუსი: რატომ გგონიათ, მილედი?

ლედი კრუმი: იმ დედაკაცის კვალდაკვალ. ისინი ხომ იქ გაემგზავრნენ. როგორ, არაფერი გითხრათ თქვენმა ტურფამ?

სეპტიმუსი: მთელი ნაცნობობის მანძილზე ხუთი სიტყვაც კი არ უთქვამს ჩემთვის.

ლედი კრუმი: არა სჩვეოდა დროის უქმად დაკარგვა. ეგ დედაკაცი გემით მიემგზავრება კაპიტან ბრაისტან ერთად...

სეპტიმუსი: დღესავით ნათელია. როგორც გემის ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი, არა?

ლედი კრუმი: არა, როგორც მისტერ ჩეიტერის - მცენარეთა შემგროვებლის - თანამეცხედრე.

სეპტიმუსი: აკი ვამბობდი, პოეტი არ არის-მეთქი. მაგრამ ბოტანიკოსობა მისთვის არასდროს დამიბრალებია.

ლედი კრუმი: რაც პოეტია, ბოტანიკოსიც ის გახლავთ. ჩემმა ძმამ ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა, რათა მისი ნაჯღაბნი გამოეცათ. ახლა კი ას ორმოცდაათსაც შეილევა, ოღონდ იმ სულელმა ყვა-

ვილები კრიფოს უესტ ინდოეთში... თვითონ კი თავის ტურფასთან გაი-
ლალოს. ისე აურია მაგ ქალმა გზა-კვალი, რომ მზად არის მოატყუოს
მთელი ადმირალიტეტი, ლინეის საზოგადოება და თავად სერ ჯოზეფ ბე-
ნქსიცი კი, მისი უდიდებულესობის მთავარი ბოტანიკოსი, ოლონდ კი თან
იახლოს მოგზაურობაში.

საპტიმუსი: ვეჭვობ, მისის ჩეიტერის გზნება მისივე ერთგულების
ტოლფასი იყო.

ლედი კრუმი: განგების ყოვლად გაუგებარი ნებით, ჩვენ გულს ის
ადამიანი დაიპყრობს ხოლმე, რომელიც ამას ყველაზე ნაკლებად იმსახუ-
რებს.

საპტიმუსი: მართალი ბრძანებაა, მილედი. (პაუზა) ნუთუ ტყუევდება
მისტერ ჩეიტერი??

ლედი კრუმი: თავს იტყუებს. იმიტომ მიაჩნია თავისი ცოლი ღირსე-
ულ ქალბატონად, თავად რომ მუდამ მზადაა, იარაღით დაცვას მისი ღი-
რსება. აი, საბრალო ჩემი ძმა არ ტყუევდება, მაგრამ თავს მაინც ვერაფ-
ერს შევლის. მზადაა სიცოცხლე შესწიროს იმ დედაკაცს.

საპტიმუსი: მე კი მგონია, უფრო მისტერ ჩეიტერის სიცოცხლის გა-
სანირად არის მზად, მილედი.

ლედი კრუმი: ვფიცავ, არასდროს მინახავს ქალი, დეულად რომ ღი-
რდეს... მაინც უნდა გითხრათ, სერ, რომ ძალიან დამაბნეით. აქეთ ეს
თქვენი სასიყვარულო უსტარი, იქით თქვენივე ცუდლუტობა მისის ჩეი-
ტერთან... ჩემს ცხოვრებაში ისეც მომხდარა, რომ ვილაყას მსგავსი წე-
რილი გამოეგზავნა, მელნის შემოშობისთვის არ დაეცა და ეღალატა, მა-
გრამ თქვენზე შორს არავინ წასულა: ლალატი იქამდე, ვიდრე კალამს მე-
ლანში ჩაანოხ... ეს მართლაც რაღაც ახალია! განა ასე არ მიღალატეთ იმ
შარახვეტიასთან? ერთი მიბრძანეთ, რა უნდა ვიფიქრო ამაზე, მისტერ
პოჯ?

საპტიმუსი: მერნმუნეთ, მილედი, მე ჩემთვის ვიფიქრე ბელვედერში,
ფიქრთ გასართევლად. მისის ჩეიტერი მოულოდნელად დამეხსნა თავს. და
მაშინ მე, უიმედო სიყვარულით გულდაკოდილმა...

ლედი კრუმი: ოჰო!

საპტიმუსი: ...ვიფიქრე, რომ მისი კაბის კალთის ანევით ნუთიერ ილ-
უზიას შევიქმნიდი... ილუზიას ისეთი ნეტარებისა, სიზმრადაც რომ არას-
დროს მღირსებია.

ლედი კრუმი (პაუზის შემდეგ): ასეთი უჩვეულო ქათინაურით მართ-
ლაც არავის გაეუნებოვრებოვარ. ვერაფერს იტყვი, კარგი შედარებაა: მე
და მისის ჩეიტერი! კალსონები თუ ეცვა?

საპტიმუსი: გამოგიტყდებით... ეცვა.

ლედი კრუმი: ჰო, ახლა ასეთი მოდა წამოვიდა. კატეგორიული წინა-
აღმდეგი ვარ, ქალი ყოველს არ უნდა დაემსგავსოს (ფუშუშა ქვედაკაბ-
ის შარბურით მიემართება კარისკენ). პერიკლესა და ათენელ ფილოსო-
ფოსებზე რა მოგახსენოთ, ბევრი არაფერი მსმენია მათზე. ისე კი, მათი

ამბის შესატყობად ერთ საათს ალბათ გამოეძებნი. ვთქვათ, დღეს, მისა-
ლებ ოთახში, შვიდ საათზე... ბანაობის შემდეგ. შესაბამისი ლიტერატურა-
ის წამოღება არ დაგავინწყდეთ.

(ლედი კრუმი გადის. სეპტიმუსი თავის ორივე წერილს სპირტქურის
ალზე წვავს).

სცენა მეშვიდე

ვალენტინი და ქლო მაგიდას უსხედან. გასიც ოთახშია. ქლოს ორი შა-
ბათის გაზუთი გადაუშლია. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის, "რევენტო-
ბისდროინდელი" კაბა აცვია. ქუდი არ ახურავს. ვალენტინი პორტატულ
კომპიუტერზე ბეჭდავს. ისიც იმდროინდელ კოსტუმში გამოწყობილა,
სხვათა შორის, ერთობ ულაზათოში. როგორც ჩანს, ეს ტანსაცმელი იქვე
მიღებული დიდი დაწნული კალათიდან ამოუღიათ. გასი გამალებით ეტბს
კალათაში თავის სარგო სამოსს. ბოლოს "რევენტობისდროინდელ" პალ-
ტოზე აკეთებს არჩევანს.

მაგიდაზე ახლა ორი გეომეტრიული ფიგურა დგას, პირამიდა და კონუ-
სი, ორივე დაახლოებით ოცი დუიმის სიმაღლისა, ისეთები, ხატვის გაკვე-
თილზე რომ იყენებენ. და კიდევ ქოთანი ჯუჯა გეორგინებით (რომელთ-
აც, თითქმის არაფერი აქეთ საერთო ამ ყვავილის თანამედროვე სახეო-
ბასთან).

ქლო: "არკადიაშიც კი - სექსი, ლიტერატურა და სიკვდილი სიძლი პა-
რკში." აქვეა ბაირონის პორტრეტიც.

ვალენტინი: რატომ ბაირონის და არა ბერნარდის?

ქლო: "ეს საბედისწერო დუელი იყო, წერს მკვლევარი." მისმინე,
ვალ, ჩემამდე ეს არავის მოსვლია აზრად?

ვალენტინი: არა.

ქლო: რა "არა"? ჯერ ხო არაფერი მითქვამს. იმას ვფიქრობდი, რო
მომავალი უკვე დაპროგრამებულია, მთლიანად. ზუსტად ისე, როგორც
კომპიუტერი. ხო სწორია, ვალ?

ვალენტინი: დეტერმინისტული თვალსაზრისით - კი.

ქლო: მეც მანდა ვარ. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ყველა და ყვე-
ლაფერი, ჩვენი ჩათვლით, უამრავი ატომისგან შედგება - ბილიარდის ბუ-
რთულებით მოხტუნავე ატომებისგან.

ვალენტინი: მასეა. 1820-იან წლებში ვილაყამ, რომლის გვარიც, შე-
ნდა სავალალოდ, დამავინწყდა, დაიჟინა, რომ ნიუტონის კანონების გათ-
ვალისწინებით ყველაფრის წინასწარ განჭვრეტა იყო შესაძლებელი. რა
თქმა უნდა, ამ შემთხვევაში უზარმაზარი კომპიუტერი დაგვჭირდება, დე-
დამინის ხელა. მაგრამ ის თეორია ხო არსებობს!

ქლო: მერე და რა ხეირია?

ვალენტინი: არავითარი. იმიტომ რო გამოთვლაშია შეცდომა.

ქლო: არა. გამოთვლაში კი არა, სექსში...

ვალენტინი: რას მელაპარაკები!

ქლო: წყალი არ გაუვა. კარგი, ვთქვათ, სამყარო დეტერტმინირებულია, როგორც ამას ნიუტონი გვასწავლის; უფრო სწორად, ცდილობს, რომ ასეთი იყოს და ვერ მოუხერხებია. და იცი რატომ? იმიტომ რომ ადამიანებს ისინი არ ევასებათ, ვინც უნდა ევასებოდეთ. აქედან - მთელი ეს დომხალი.

ვალენტინი: ჰაჰაჰა!!! მიზიდულობის კანონი, რომელიც ნიუტონს გამოორჩა მხედველობიდან. ისევ ის ვაშლები, ის ორი ცნობილი ვაშლი! (კაჟუხა) მგონი, მართლა მასეა, ქლო.

(შემოდის ჰანა. ერთი ხელით რაღაც "ყვითელ ვაშეთს" მოაფრიალებს, მეორეში ჩაის ტოლჩა უჭირავს).

ჰანა: ხედავთ, რა ხდება? "მექალთანე ბაირონმა პოეტი მოკლა!"

ქლო (გახარებული): წავიკითხოთ, რა.

(ჰანა ქლოს აძლევს ვაშეთს. უღიმის გასს).

ვალენტინი: ყოჩად მაგათ! საიდან გაიგეს?

ჰანა: ნუ ხარ გულუბრყვილო, ვალ. ქლო, მამაშენმა, გაზეთი დამიბრუნეთო.

ქლო: ჰო, კარგი, კარგი.

ჰანა: რა კრეტინია!

ქლო: შურიანო! ბერნარდი შეუდარებელია (წასაველეად წამოდგება) კოსტუმი გხატავს, გას, მაგრამ კედები არ უხდება. წამო, ისეთი ფხსაც მელი მოგცე...

ჰანა: ჰელოუ, გას. რა რომანტიკულად გამოიყურები...

(გასი ფეხს ითრევს. ჰანას უღიმის).

ქლო (დაყინებით): მოდიხარ თუ არა?

(ქლო გასს კარებში ატარებს და უკან მიჰყვება. ამკარად უკმაყოფილო ტოვებს ოთახს).

ჰანა: მთავარია, ლანირაკების აზრი დაიკიდო (კვლავ ვაშეთს მიუბრუნდება).

ვალენტინი (შეშფოთებით): მაგას ის ბერნარდი ხო არ დაევასა?

ჰანა: ნეტა რა გადარდება? უკვე დიდია და თავისი საქმის თვითონ

იცის. ნახე, რა წერია: "ეს საბედისწერო დუელი იყო, წერს მკვლევალი." (ირონიულად) მკვლევალი!

ვალენტინი: შეიძლება, სიმართლაც იყოს.

ჰანა: ამას ჯერ კიდევ დამტკიცება უნდა. ნეტა კი მტკნარი სიცრუე არ აღმოჩნდეს!

ვალენტინი (ემაყოფილებით): აი, ეს უკვე მეცნიერული ლაპარაკია.

ჰანა: ბერნარდის ბედს ძალი არ დაჰყვფს, თუ მოახერხებს და საზოგადოებას თვალში წაყარს შეყარის, თანაც კარგა ხნით - საკუთარ აღსასრულამდე.

ვალენტინი: მეცნიერებაშიც ხო ეგრეა. მხოლოდ იმის შიში, რომ ჩვენი შთამომავლობა...

ჰანა: ნუ გეშინია. ბერნარდის საქმე იქამდე არ გაიწელება.

ვალენტინი: და მერე კიდევ იმქვეყნიური ყოფა. იქ მაგას კარგი დღე არ დაადგება. "აჰ, ეს თქვენ ბრძანდებით, ბერნარდ ნათინგვილ. გთხოვთ იცნობდეთ ლორდ ბაირონს." სამოთხე, საუკუნო ნეტარება...

ჰანა: ახლა არ მითხრა, იმქვეყნიური ცხოვრების მჯერაო.

ვალენტინი: შენ კიდევ ახლა არ გამიტყხო.

ჰანა: მეე?

ვალენტინი: ჰო. არ დამიწყო, ეს მეცნიერება, ეს რელიგიაო...

ჰანა: არა, არა. ვინ, რა, რატომ? რაში მაინტერესებს!

ვალენტინი: ო, შემობრალე, ჩემო საცოლევ. მოდი, საცდელად დაქორწინდეთ და განთიადზე გავაუქმეთ ეს კავშირი!

ჰანა (ვალენტინის ნათქვამი გაახალისებს): ასეთი წინადადებით ჩემთვის არასდროს მოუმართავთ.

ვალენტინი (ცნობისწადილით): ჩვეულებრივი წინადადება ბევრი იყო?

ჰანა: ახლა ჩამომათვლევინე.

ვალენტინი: ამაში ცუდი რა არის? იცი, ეგ შენი თავშეკავება სხვა არაფერია, თუ არა მანერულობა... აქედან - ნეერასთენია, ათასი უბედურება...

ჰანა: გავიდე, ვალ?

ვალენტინი: თუ არ გასცემ, ვერც მიიღებ, ჰანა.

ჰანა: მე არც არაფერს ვთხოვლობ, სხვათა შორის.

ვალენტინი: ნუ გახვალ. დარჩი.

(ვალენტინი ისევ თავის კომპიუტერს მიუბრუნდება. ჰანა მაგიდასთან "თავის ადგილზე" იკალათებს. წინ პატარა რვეულები უწყევია - "მეზალის დღიურები" - ლედი კრუმის საკუთრება.)

ჰანა: რაზე წვლობ, ვალ?

ვალენტინი: წერტალების რაოდენობა კომპლექსურ სიბრტყეზე! გაწყობს?

ჰანა: კიდე როჭობი?

ვალენტინი: კიდე, კიდე, მაგათი დედა...

ჰანა: ბოლომდე უნდა მიაწვი, ვალ.

ვალენტინი: რატომ? შენ რა, ბერნარდის აზრს არ იზიარებ?

ჰანა: აჰ, იმაზე ამბობ? ისე კი, ყველაფერი ტრივიალურია - შენი როჭობი, ჩემი განდევნილი, ბერნარდის ბაირონი. ჩვენი მიზანი დიდი არაფერია. მთავარი მაინც რალაცის გაგების სურვილია! ასე რო არ იყოს, ისევე უხმაუროდ დავტოვებდით ამ წუთისოფელს, როგორც ვენციე. ამიტომ არ უნდა გჯეროდეს იმქვეყნიური ყოფის, ვალ. გნამდეს ღმერთი, სულის უკვდავება, მარადისობა, თუ გნებავს, ანგელოზების არსებობაც, მაგრამ არა ის დიდი საკრებულო, სადაც ბოლოს აღმოგჩნდებით, რათა ერთმანეთს საკუთარი აზრები გავუზიაროთ. თუ პასუხები წიგნის ბოლო გვერდზეა, მოვიცდი, სხვა რა გზა მაქვს, მაგრამ ესეც ხო საშინლად მოსაწყენია. არა, სჯობს ვიბრძოლოთ, ვიბრძოლოთ, გინდაც ვარდაუვალი იყოს დამარცხება (ვალენტინის მხარს ზემოთ კომპიუტერის ეკრანს გახედავს). რა ლამაზია!

ვალენტინი: ეს კავერლების საგვარეულოს დაცემაა.

ჰანა: რას ამბობ, ვალ?

ვალენტინი: თქვენი თითი მიბოძეთ, მიღედი (ჰანას თითს რამდენჯერმე დააჭერს ერთსა და იმავე კლავიშს). აი ასე, ყოჩალი გოგო ხარ. ამას თუ ხედავ? ფერფლისა და ნაცრის ოკეანეში კუნძულთა რიგი! არაფრისგან წარმოქმნილი სხეულები. და ეს პროცესი არ წყდება. თითოეული სურათი წინას ფრაგმენტია, ოღონდ გადიდებული. ასე იყო, ასე არის, ასე იქნება! ჰა, როგორია?

ჰანა: ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია?

ვალენტინი: საინტერესო. გამოსაქვეყნებლად ვარგისი და საინტერესო.

ჰანა: მაშ, მოსალოცად გქონია საქმე!

ვალენტინი: მე არა, ტომაზინას. მე მხოლოდ კომპიუტერზე გავუშვი მისი განტოლებები და მილიონჯერ უფრო შორს წავედი, ვიდრე ამას რვეულითა და ფანქრით აღჭურვილი გოგონა მოახერხებდა (გაცრეცილი საქალაქიდან იღებს ტომაზინას რვეულს და ჰანას უწვდის. ისმის პიანინოს ხმა). აჰა, აღარ მჭირდება.

ჰანა: მაინც რა ხდება, ვალ, მითხარი!

ვალენტინი: შენ რო გგონია, ისეთი არაფერი.

ჰანა: რატომ?

ვალენტინი: ასე რო ყოფილიყო, სიცოცხლეშივე გაითქვამდა ის გოგო სახელს.

ჰანა: ვერ გაითქვამდა. ვერ მოასწრო, ადრე გარდაიცვალა.

ვალენტინი: მოკვდა?

ჰანა: ცოცხლად დაინვა.

ვალენტინი (გონება უნათდება): აჰ, ეს ის გოგოა, ცეცხლში რო დაინვა!

ჰანა: ჰო, ლამით. მეორე დღეს ჩვიდმეტი უნდა შესრულებოდა. იქ, მანარდაზე იყო იმისი ოთახი, სახურავის ქვეშ. პარკში კი მისი ძეგლი დაუდგამთ...

ვალენტინი (გალიზიანებით): ვიცი. ეს ხო ჩემი სახლია.

(ვალენტინი კომპიუტერს უბრუნდება, ჰანა - თავის ადგილს. მათემატიკის სახელმძღვანელოს ფურცლავს).

ჰანა: მისმინე, ვალ. სეპტიმუსი ტომაზინას მასწავლებელი იყო. ხო შეეძლოთ ერთად...

ვალენტინი: შენ საქმეს მიხედე, ჰანა.

(პაუზა. ორი მკვლევარი მუშაობს: ვალენტინი კომპიუტერს მისჯღო-მია, ჰანა წიგნს ჩაკირკიტებს.

მუსიკალური დარბაზის მოპირდაპირე კარიდან შემობრბის ლორდი ოგასტესი - თხუთმეტი წლის, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ტანსაცმელში გამოწყობილი. სიცილ-ხარხარით იმალება მაგიდის ქვეშ. ცოტა ხანში ოთახში განრისხებული ტომაზინა შემოჭრება. ის ახლა თექვსმეტი წლისაა. მაშინვე ხვდება, სად უნდა დამალულიყო ოგასტესი.)

ტომაზინა: აკი დაიფიცე! აკი ხატზე დაიფიცე!

(ოგასტესი გამოდის სამალავიდან. მაგიდის ირგვლივ დარბიან. ტომაზინა მის დაჭერას ცდილობს).

ოგასტესი: დედიკოს ვეჭვი, დედიკოს ვეჭვი!

ტომაზინა: შე უსინდისო!

(ტომაზინა ოგასტესს იჭერს და სწორედ ამ დროს შემოდის სეპტიმუსი. წიგნი და საქალაქი ამოუთილიავენბია, ხელში გრაფინი და ჭიქა უჭირავს).

სეპტიმუსი: წყნარად, წყნარად! რა დღეში ხართ? დანყნარდით, მილორდ (ტომაზინა ხელს უშვებს ოგასტესს). გმადლობთ (მიდის მაგიდასთან და ჭიქაში ღვინოს ისხამს).

ოგასტესი: დღე მშვიდობისა, მისტერ ჰოჯ.

(ოგასტესი რალაგზე ქირქილებს. ტომაზინა ჯდება და გულდინჯად იწყებს გეომეტრიული სხეულების ხაზვას. სეპტიმუსი თავის საქალაქს ხსნის).

სეპტიმუსი: ჩვენ ახლა ხატვის გაკვეთილი გვაქვს. ხომ არ შემოგვიერთდებით, მილორდ?

ობასტიანი: იტონში საუკეთესო მხატვრად ვითვლები, მაგრამ იქ ჩვეუ-
შიველ ქალებს ვხატავთ... ნატურიდან.

სამპტიმუსი: თქვენც გაიხსენეთ, წარმოიდგინეთ და ისე დახატეთ.

ტომაზინა: რა საძაგლობაა!

სამპტიმუსი: ახლა კი, თქვენის ნებართვით, სიჩუმისკენ მოგიწოდებთ.

(სეპტიმუსი საქალაქიდან იღებს ტომაზინას რვეულს და მაგიდაზე
ადებს. ტომაზინა მაშინვე გადაშლის).

ტომაზინა: ნიშანი სადღაა? არ მოგეწონათ ბოცვერის განტოლება?

სამპტიმუსი: რა შუაშია აქ ბოცვერი?

ტომაზინა: ბოცვერი ხომ თავის შვილებს სანსლავს.

სამპტიმუსი (პაუზის შემდეგ): ჰო, მაგაზე არ დავფიქრებულვარ. მი-
ბოძეთ რვეული, მიღედი.

ტომაზინა (უბრუნებს რვეულს): ადგილი აღარ მეყო და მეტი ვერ
დავწერე.

(სეპტიმუსი და ჰანა წიგნებს ფურცლავენ. უფრო სწორად, ერთსა და
იმავე "გაორბულ" წიგნს. ოგასტესი უხალისოდ ხაზავს გეომეტრიულ ფი-
გურებს).

ჰანა: მაშ, გადარჩება ჩვენი სამყარო?

ვალენტინი: არა. ისევ განწირულია. მაგრამ თუ ის სწორედ ასე იქმ-
ნებოდა, მომავალი სამყაროც ასევე შეიქმნება!

ჰანა: ინგლისური, მამა-პაპური ალგებრის მეშვეობით?

სამპტიმუსი: ასე, მიღედი... უსასრულობისკენ ან ნულისკენ, ანდა სუ-
ლაც აბსურდისკენ...

ტომაზინა: არაფერიც. თუ უარყოფითი რიცხვების ფესვებს ცალკე
დავაჯგუფებთ და ისევ კვადრატში ავიყვანთ, არავითარი აბსურდი აღარ
იქნება.

(სეპტიმუსი წიგნს ფურცლავს. ტომაზინა ხაზავს. ჰანა დახურავს რვე-
ულს და "მებაღის დღიურებს" მიუბრუნდება).

ვალენტინი: ჩაი გიცვიდება.

ჰანა: ცივი მიყვარს.

ვალენტინი (ყურადღებას არ აქცევს მის ნათქვამს): ნახე, რა ხდება.
ჩაი თავისით ცივდება. აბა, თუ ბიჭია, თავისით გაცხელდეს! უცნაურია,
არა?

ჰანა: სულაც არა.

ვალენტინი: ძალიანაც! მხოლოდ ცხელი იქცევა თავისით ცივად. ცა-
ლმზრვი მოძრაობა! ოთახის ტემპერატურამდე გაცივდება შენი ჩაი. და

ეს ემართება ყველაფერს, ასეა ყველგან. ვარსკვლავებსა და მზესაც ეს
ელით. ამ ჩაისავით მალე არა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ოთახის
ტემპერატურამდე გაცივდება. შენი განდევნილის დროს ეს არავის ეცოდინ-
ებოდა. კარგი, ვთქვათ, 18-რომელილაც წელს დერბიშირის მიყრუებულ
სოფელში, სენაკში გამოკეტილმა დარცხვილმა მართლა იცოდა ამის შესა-
ხებ - ერთადერთმა დედამიწის ზურგზე.

ჰანა: ის კემპრიჯში სწავლობდა. მეცნიერი იყო.

ვალენტინი: იყოს. ხომ არ ვკამათობ. გოგონა კი მისი მოსწავლე იყო,
ტომაზინას გენოსი ასწავლიდა.

ჰანა: ანდა პირიქით.

ვალენტინი: შენი ნებაა. არ ვიცი, როგორ აპირებდა ქვეყნიერების
ხსნას მამა-პაპური ალგებრის მეშვეობით, მაგრამ, ფაქტია, რო მთავარს
ვერ ჩასწვდა... ვერც ის და ვერც მისი მოსწავლე.

ჰანა: კალკულატორი არა ჰქონდათ და იმიტომ?

ვალენტინი: კი. თუმცა, არა. იმიტომაც, რო არსებობს გარკვეული
თანმიმდევრობა, მოვლენათა რიგი. ვერავინ გაალებს არარსებული სახლ-
ის კარს.

ჰანა: მაშ გენიოსობა რილას მაქნისია?

ვალენტინი: ეგ მხოლოდ დარტყმულებს და პოეტებს "ხელეწიფებათ!"

(პაუზა)

ჰანა: "ვნახე სიზმარი, სიზმარს არ ჰგავდა.

მზე ჩამქრალიყო და ვარსკვლავები

უსასრულო სივრცეში დასრიალებდნენ -

დასრიალებდნენ უვზო-უკვლოდ, სხივჩამქრალნი,

ბნელში ბრუნავდა გათოშილი დედამიწა."

ვალენტინი: შენი ლექსია?

ჰანა: ბაირონის.

(პაუზა. ორი მკვლევარი ისევ მუშაობს).

ტომაზინა: რას ფიქრობთ, სეპტიმუს... გავყვები ცოლად ლორდ ბაი-
რონს?

ობასტიანი: ეგ ვილაა?

ტომაზინა: "ჩაილდ პაროლდის მოგზაურობის" ავტორი. პაროლდი
ყველაზე პოეტური, ამალღებული და მამაცი პერსონაჟია, რომლის შესა-
ხებაც კი წიგნებში ამომიკითხავს. თანაც ძალიან თანამედროვეა და ლა-
მაზი, იმიტომ, რომ ის თვითონ ბაირონია. ამას ყველა ხედავს, ვინც კი
იცნობს ლორდ ბაირონს, მაგალითად, მე და სეპტიმუსი. არა, სეპტიმუს?

სეპტიმუსი (თავის საქმეშია ჩაფლული): არა (მერე ტომაზინას რეკულს საქალაქდში ინახავს და თავის წიგნს უბრუნდება).

ტომაზინა: რატომ "არა"?

სეპტიმუსი: ჯერ ერთი იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, მას საერ-თოდ აღარ ახსოვს თქვენი არსებობა.

ტომაზინა: სიძლი პარკში როცა იყო, მრავლისმეტყველი მზერით ვაჯილდოვებდით ერთმანეთს. ახლა კი მაკვირვებს მისი საქციელი: თითქმის ერთი წელია, რაც ჩამოვიდა და ჩემთვის წერილიც კი არ მოუწერია. სეპტიმუსი: აკი მოგახსენეთ, მიღედი, რალაც არა მგონია...

ობასტინი: ლორდ ბაირონზე ლაპარაკობთ? იმაზე, ჩემი კურდღლის მოკვლა რომ დაიბრალა? პირველმა მე ვესროლე, იმან კი განაცხადა, ააცილეთო. ისე, მახსოვს, დიდი ხუმარა იყო ეგ ბაირონი. მისმინე, ტომ, ეგ შენ ცოლად არ შეგირთავს. კოჭლია, ბრმა ხომ არა!

სეპტიმუსი: გთხოვთ, დაწყნარდეთ, იქამდე მაინც, ვიდრე თორმეტს თხოუმეტი წუთი დააკლდება. საშინელებაა, როცა შეგირდები მასწავლე-ბელს მუშაობას არ აცლიან.

ობასტინი: მე თქვენი შეგირდი არა ვარ, სერ. საკუთარი სურვილით გესწრებით გაკვეთილზე.

სეპტიმუსი: დეტერმინიზმს ნუ დაივიწყებთ, მილორდ.

(ტომაზინა იცინის, ხვდება, რომ ეს მის ვასაჯონადა ნათქვამი. ამას ოგასტესიც ხვდება, თავს ზედმეტად გრძნობს მათ საზოგადოებაში და ბრაზობს).

ობასტინი: თქვენი სამუშაო ნაკლებად მადარდებს, სერ. უმორჩილე-სად გთხოვთ, თავს ნუ მახვევთ თქვენს ნებას.

ტომაზინა (ვაშფოთხილებული ტონით): ოგასტეს!

სეპტიმუსი: არა, მილორდ, მაგას როგორ გაგებდავ! ჩემს ნებას კი არ გახვევთ, ვცდილობ ცოდნის წყურვილით აღვავსო ჩემი შეგირდები. ცოდნა კი, მოგეხსენებათ, უფალთან გვახლოებს. სხვათა შორის, ვინც უკეთეს კონუსსა და პირამიდას დახაზავს, ცხადია, არა უადრეს ჩემს მი-ერ ზემოთ აღნიშნული დროისა, შილინგით დაჯილდოვდება.

ობასტინი: ერთ შილინგად ჩემს დუმილს ვერ იყიდით, სერ. ისეთი საიდუმლო შევტყვევ, ას შილინგადაც არ ჩავიგუბებ წყალს პირში.

(ოგასტესი მაგიდაზე აკდებს ფანქარს, გაამაყებული გადის ოთახიდან და კარს იჯახუნებს. სეპტიმუსი გაოცებით შეჰყურებს ტომაზინას).

ტომაზინა: ოგასტესს ვუთხარი, რომ მაკოცეთ, მაგრამ არ წამოსცდება...

სეპტიმუსი: როდის გაკოცეთ?

ტომაზინა: ო, ღმერთო, გუშინ!

სეპტიმუსი: საღ?

ტომაზინა: ტურებში.

სეპტიმუსი: ქვეყნის რომელ ნაწილში მოხდა ეს?

ტომაზინა: სენაკში, სეპტიმუს!

სეპტიმუსი: ტურებში... სენაკში... აჰ, იმაზე ამბობთ? იმ კოცნისთვის შილინგი ძალიან ბევრია, ის კი არა, ნახევარ შილინგადაც არ გავიმეორე-ბდი. უკვე გადამაყინებდა კიდეც...

ტომაზინა: რა სისასტიკეა! თქვენ ალბათ ჩვენი შეთანხმებაც დაგა-კინებდათ.

სეპტიმუსი: ღმერთო მისხენი! რა შეთანხმება?

ტომაზინა: ვალსის ცეკვა რომ უნდა მასწავლოთ. შეთანხმება კოცნ-ით არის განმტკიცებული. მეორე კოცნა კი მერე, როცა დედიკოსავით კა-რგად ვიცეკვებ.

სეპტიმუსი: აჰ, დიახ, დიახ... ჩვენ ლონდონში ცეკვას არაფერი გვე-რჩივნა...

ტომაზინა: ვალსი უნდა ვისწავლო, სეპტიმუს! წინააღმდეგ შემთხვე-ვაში ყველა დამცინებს. ვალსი ყველა ცეკვაზე მოდური, მხიარული და თამაშია. მისი დარი არაფერი შეუქმნიათ გერმანიაში.

სეპტიმუსი: ვალსი მათ გადაუულოცოთ. სამაგიეროდ მათემატიკაში მოიკოჭლებენ.

ტომაზინა: დედიკომ ქალაქიდან ვალსების მთელი კრებული ჩამოი-ტანა. გრაფ ზელინსკისთან ერთად უნდა დაუკრას ჩვენს ბროუდვუდზე.

სეპტიმუსი: ეს უკვე მეტისმეტია! ზელინსკი ახლა ბროუდვუდის კლავიშებს უბრაგუნებს და მეც ვალსის რიტმში მომიწევს კისახვა.

ტომაზინა: რას კითხულობთ, სეპტიმუს?

სეპტიმუსი: თხზულებას, რომლის ავტორმაც პარიზის მეცნიერება-თა აკადემიის ჯილდო დაიმსახურა. წესით, მან თქვენი ყურადღებაც უნ-და დაიმსახუროს, რამეთუ თქვენ მის იდეებს იზიარებთ.

ტომაზინა: მე? რაზე წერს? ვალსზე?

სეპტიმუსი: დიახ. მან შეადგინა განტოლება, რომელიც აღწერს სით-ბოს გავრცელებას მყარ სხეულებში. მაგრამ ვიდრე ამ განტოლების შედ-გენით იყო დაკავებული, ერესში ჩავარდა საბრალო: სერ ისააკ ნიუტონს დაუპირისპირდა.

ტომაზინა: როგორ? დეტერმინიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა?

სეპტიმუსი: არა! ...თუმცა, მგონი, კი. მისი აზრით, ატომები ისე სუ-ლაც არ მოძრაობენ, როგორც ამას სერ ნიუტონი გვასწავლის.

(ტომაზინა უკვე აღარ უსმენს სეპტიმუსს და წიგნისკენ იწვდის ხელს).

ტომაზინა: მიჩვენეთ. ოჰ, ფრანგულ ენაზე დაუწერია!

სეპტიმუსი: დიახ. აკი პარიზი საფრანგეთის დედაქალაქია.

ტომაზინა: ის ადგილი მიჩვენეთ, რა, სეპტიმუს.

(სეპტიმუსი ართმევს წიგნს და საჭირო გვერდზე გადაუშლის. მეზობელი ოთახიდან კვლავ ისმის მუსიკის ხმა - ახლა ვაცილებით მგზნებარე და დაუოკებელი).

ტომაზინა: ოთხი ხელით უკრავენ. დედიკოს გრაფი უყვარს.
სეპტიმუსი: ეგ კაცი პოლონეთშია გრაფი, დერბიში კი - ერთი რიგითი ამწყობი.

(ტომაზინა კითხვას იწყებს. მგზნებარე მუსიკა ზენიტს აღწევს და უეცრად შუა ფრაზაზე წყდება. მეზობელ ოთახში საეჭვო სიჩუმე ისადგურებს. სეპტიმუსი უნებურად კარს მიაჩერდება. ტომაზინა კი ამას ყურადღებას არ აქცევს. ამ სიჩუმის წყალობით ისმის ორთქლის შორეული გუგუნი. მოგვიანებით დაწვრილებით ვისაუბრებთ ამ ძრავაზე. ცოტა ხანში ლედი კრუმი შემოდის. სეპტიმუსისა და ტომაზინას დანახვაზე იბნევა, მაგრამ ცდილობს არ შეიმჩნიოს, კარს მიხურავს და თავი ისე უჭირავს, თითქოს გაკვეთილზე დასასწრებად შემოვიდა. სეპტიმუსი ფეხზე წამოუდგება, მაგრამ ლედი კრუმი ანიშნებს, განაგრძეთ, მე ხელს არ შევიშლითო.

მუსიკალური დარბაზის მოპირდაპირე ოთახიდან შემოდის კვლავ "რეგენტობისდროინდელ" კაბაში გამოწყობილი ქლო. ხედავს ვალენტინას და ჰანას, მაგრამ არ აქცევს მათ ყურადღებას და მუსიკალური დარბაზისკენ მიდის).

ქლო: გასი სადღაა?
ვალენტინი: აზრზე არა ვარ.

(ქლო მუსიკალურ დარბაზში გადის).

ლედი კრუმი (გალიზიანებით): ოჰ, ისევ ის მისტერ ნოუქსის ძრავა!

(ბაღში გამავალი კარიდან გადის. შემოდის ქლო).

ქლო: ჯანდაბა!
ლედი კრუმი (იძახის ბალიდან): მისტერ ნოუქს!
ვალენტინი: ცოტა ხნის წინ აქ იყო...
ლედი კრუმი: ჰეი, ჰეი!
ქლო: სურათი უნდა გადაუღონ. ჩაცმულია?
ჰანა: ბერნარდი მოვიდა?
ქლო: აგვიანებს.

(კვლავ ისმის მუსიკის ხმა, მაგრამ მას ორთქლის ძრავის გუგუნი ახშობს. ლედი კრუმი ოთახში შემობრუნდება. ქლო ბაღში გადის და გასს ეძახის).

ლედი კრუმი: მიკვირს, როგორ ატარებთ გაკვეთილს ამ აურზაურში, მისტერ ჰოჯ. მართალი მოგახსენოთ, მებრალეებით.

(ქლო ბრუნდება).

ვალენტინი (დგება): გეყო ბრძანებების გაცემა, ქლო.
ლედი კრუმი: რა აუტანელი ხმაურია.
ვალენტინი: ფოტოგრაფი არსად გაიქცევა.

(ვალენტინი ბუზღუნით მიჰყვება ქლოს. ჰანა საკუთარ ფიქრებშია ჩაფლული. სიჩუმეში კვლავ გაისმის რიტმული გუგუნი).

ლედი კრუმი: ეს გაუთავებელი ხმაური გამაგიჟებს. მიჯობს აქედან გავიქცე და ქალაქს შევფარო თავი.

სეპტიმუსი: სჯობს, თქვენი ბრწყინვალეობა აქ დარჩეს და გრაფი ზელინსკი დაუბრუნდეს ქალაქს, მისმა დაკვრამ რომ აღარ შეგანუხოთ.

ლედი კრუმი: მე მისტერ ნოუქსის ძრავაზე მოგახსენებთ! (ხმას დაუწყებს) რატომ მებუტებით? არ მსურს ჩემი შვილიც მიაჩვიოთ ბუტიაობას.

ტომაზინა (დედას არ უსმენდა): რა თქვი, დედიკო?

(ტომაზინა კვლავ წიგნს ჩაჰკირკიტებს. ლედი კრუმი მიხურავს შემინულ კარს და გუგუნი აღარ ისმის).

ჰანა გვერდზე გადადებს ერთ "მებალის დღიურს" და გადაშლის მეორეს. შიგადაშიგ რალაცას ინიშნავს. პიანინოს ხმა აღარ ისმის).

ლედი კრუმი: აბა, დღეს რას ვსწავლობთ? საზოგადოებაში თავდაჭერის ნებსებს რომ არა, ისედაც ცხადია.

სეპტიმუსი: ეხატავთ... ეხაზავთ, მილედო.

(ლედი კრუმი ზერელედ გადაავლებს თვალს ტომაზინას ნამუშევარს).

ლედი კრუმი: ოჰ, გეომეტრია. მიყვარს გეომეტრია.

სეპტიმუსი: ჩემი მიზანი თქვენი გემოვნების გათვალისწინებაა, მილედო.

ლედი კრუმი: გულს ნუ გაიტეხთ, სერ. (ვერ ითმენს და კვლავ ფანჯარასთან მიდის) სად არის ნოუქსი, ის უნიჭო მიმდევარი ნიჭიერი მისტერ ბრაუნისა? (გალიზიანებული გადაჰყურებს ბალს). აჰ, თავის ქუდს ეძებს. რალაც ხომ უნდა მოიხადოს ქალთან მისალმებისას.

(ლედი კრუმი მაგიდასთან მიდის და ხელით ეხება გეორგინების ქოთანს).

ჰანა სკამის საზურგზე გადაწოლილა და გატაცებით კითხულობს).

ლელი კრუში: ამ გეორგიანების გულისთვის, ჩეიტერის ქერივმა რომ გამომიგზავნა, მზად ვარ, ჩემს ძმასაც კი ვაპატიო მისი ცოლად შერთვა. კიდევ კარგი, მაიმუნმა მისტერ ჩეიტერს უკბინა და არა მის ყოფილ თანამეცხედრეს. ასე რომ მომხდარიყო, ჯერ ერთი, ის საბრალო მაიმუნი მოინამღებოდა და სულს გააფრთხობდა და მეორეც, არ ვიქნებოდი ასეთი გეორგიანების პირველი მფლობელი ჩვენს საგრაფოში.

(ჰანა დგება, მაგრამ კითხვას არ წყვეტს).

ლელი კრუში: ერთი ქოთანში ჩარგული გეორგინა პერცოვ ჩეთსე-ორთს გაგვუგზავნე. უნდა გენახათ, რა მადლობად დაიღვარა მისი მეუღლე. დეკონშირში როცა ვენფე. სხვათა შორის, თქვენი მეგობარი, მისტერ პოჯ, თუ არ ვცდები, იქ კარის პოეტის მოვალეობას უნდა ასრულებდეს.

(ჰანა გადის იმ კარიდან, რომლის მიღმაც ვალენტინი და ქლო გაუჩინარდნენ.

ამავე დროს ტომაზინა მაგიდაზე ახეთქებს წიგნს).

ტომაზინა: აკი ვთქვი! ნიუტონის მექანიზმი, რომელშიც ყველაფერი ატომთა მოძრაობის კანონებზე დაიყვანება, არასრულყოფილია. დეტერმინიზმი ბევრ კითხვას ბადებს. მიზეზი კი, მგონი, ამ ჯენტლმენის გამოკვლევაში უნდა ვეძიოთ.

ლელი კრუში: რისი მიზეზი?

ტომაზინა: გახურებული სხეულების ქმედებისა!

ლელი კრუში: ეს გეომეტრიაა?

ტომაზინა: არა, არა! ვერ ვიტან გეომეტრიას. (ხელით ეხება გეორგინას და თავისთვის ჩაილაპარაკებს): მისის ჩეიტერი ნიუტონის კანონს თვალის დახამხამებაში გააცამტვერებდა. ვის - ვის, და მას კი ნამდვილად გაეგება რაღაც გახურებული სხეულებისა.

სეპტიმუსი: ჰობსი თავის "ლევიათანში" გვარწმუნებს, რომ გეომეტრია ერთადერთი მეცნიერებაა, რომელიც ხალისით უბოძა ღმერთმა კაცობრიობას.

ლელი კრუში: ამაში რას გულისხმობდა?

სეპტიმუსი: ვინ, ჰობსი თუ უფალი?

ლელი კრუში: მართალი გითხრათ, არც ერთის მესმის და არც მეორის.

ტომაზინა: ჯანდაბას ჰობსი! მთა არ არის პირამიდა და არც ხეა კონუსი. ალბათ ღმერთი მარტო ზარბაზნის ბათქაუთქსა და არქიტექტურას სწყალობდა, თუკი მხოლოდ ევკლიდეს გეომეტრია გაიმეტა ჩვენთვის. არის ამქვეყნად სხვა გეომეტრიაც, რომელსაც მე ცდებისა და შეცდომების მეთოდით აღმოვაჩინე! არა, სეპტიმუს?

სეპტიმუსი: თქვენი ენთუზიაზმი, მილედი, ოდენ ცდებითა და შეცდომებით შემოიფარგლება.

ლელი კრუში: ახლა რამდენი წლის ხარ, ტომი?

ტომაზინა: თექვსმეტი წლის, თერთმეტი თვის და კიდევ სამი კვირის, დედიკო.

ლელი კრუში: თექვსმეტი წლის და თერთმეტი თვის... სჯობს, დროზე გაგათხოვოთ, ვიდრე შენი განსწავლულობა კრიტიკულ ზღვარს მიაღწევდეს.

ტომაზინა: მე ლორდ ბაირონს მიყვები ცოლად.

ლელი კრუში: მართლა? თავაზიანობა მოითხოვს, ჩემთვისაც შეეცდებიან ამაზე შესახებ ლორდ ბაირონს.

ტომაზინა: შენ ელაპარაკე ლორდ ბაირონს?

ლელი კრუში: ცხადია, არა.

ტომაზინა: სად შეხვდი?

ლელი კრუში (დალონებით): ყველგან.

ტომაზინა: თქვენც ნახეთ, სეპტიმუს?

სეპტიმუსი: დიახ. სამეფო აკადემიაში. მე იქ დედათქვენს და ზელინსკის ვახლდი... მქონდა პატივი...

ტომაზინა: ლორდი ბაირონი იქ რას აკეთებდა?

ლელი კრუში: პოზირებდა.

სეპტიმუსი (ტაქტიანად): იქ მის პორტრეტს ხატავდა პროფესორი ფიუზელი.

ლელი კრუში: ძალიან მონდომებული იყო ლორდი. ყველა პოზის ასახვას მხატვარი ვერ ახერხებდა. ლედი კეროლანი, როგორც ჩანს, არად დაგიდევთ აკადემიის წესებს. იქ ხომ მაყურებელს მენატურეზე შილიფად არ უნდა ეცვას! ჯანდაბას ბაირონი და მისი ლემი! მე მისტერ ნოუქსიც მეყოფა გულის სახეთქად. ზუსტად იმდენი ესმის ბალის გაშენებისა, რამდენიც - მაიმუნს ბოტანიკის!

(შემოდის ნოუქსი).

ტომაზინა: აი, არასწორ ფორმათა მეფეც მობრძანდა! (იწყებს დიკრამის ხაზვას. სწორედ ეს დიკრამაა ერთ-ერთი ჩვენამდე მოღწეული სამი "ნივთმიკიტებიდან").

ლელი კრუში: მისტერ ნოუქს!

ნოუქსი: თქვენო ბრწყინვალეზავ...

ლელი კრუში: ეს რა დღეში ჩამაგდეთ, სერ!

ნოუქსი: ყველაფერი რიგზეა, მილედი. მერწმუნეთ... მართალია, საქმე ცოტა ნელა მიიწევს წინ, მაგრამ, ვფიცავ, ერთ თვეში შეაკეთებენ კაშხალს.

ლელი კრუში (ხელს არტყამს მაგიდას): ხმა-კრინტი! (შორიდან მოის-

მის ორთქლის ძრავის გუგუნის). გესმით, მისტერ ნოუქს?

ნოუქსი (საბავშვით და კმაყოფილებით): გაუმჯობესებული ორთქლის ტუმბო - ერთადერთი მთელს ინგლისში!

ლედი კრუმი: ეგ არის, რომ მკლავს! ყველას რომ ჰქონოდა თავისეი წილი ძრავა, კრინტს არ დაეძრავდი, მოვითმენდი ასეთ უბედურებას. მაგრამ ახლა მე წილად მხვდა ერთადერთი გაუმჯობესებული ძრავა მთელს ინგლისში. აღარ შემიძლია ამის ატანა!

ნოუქსი: თქვენო ბრწყინ...

ლედი კრუმი: და რისთვის, რატომ? ჩემი მშვენიერი ტბა დაჭაობებულ ორმოდ ქცეულა. ალბათ იმიტომ, რომ მეზობელი სამი საგრაფოდან გამოდგენილმა ბეკასებმა და ვალდშენებმა დაიღონ მასში ბინა და აქაურთა სამიზნედ იქცნენ! იქ, სადაც წესით ტყე უნდა გაგეშენებინათ, რალაც უბადრუკი პლანტაცია გადაჭიმულა. ფოთლებიც კი ტალახის ფერია! შადრევნის წყალიც ტალახად გიქცევიათ. მთა ხომ - საერთოდ! ლაფიანი შინაყრილია, საიდანაც ეზიდებით ტალახს ბარის გასამშვენებლად! (ფანჯრიდან რალაცას აჩვენებს). ის ბოსელი რიდას მაქნისია, სერ?

ნოუქსი: სენაკს გულისხმობთ, მილედის?

ლედი კრუმი: არა, ბოსელზე მოგახსენებთ.

ნოუქსი: გარნმუნებთ, მშვენიერი საცხოვრებელი იქნება, თქვენო ბრწყინვალეზე. საძირკველიც ჩაუყარეთ და მიწისქვეშა წყალიც გავიყვანეთ. სენაკს ორი ოთახი ექნება, საკუჭნაო სახურავის ქვეშ... ქვის საკვაშური...

ლედი კრუმი: კარგით და ვისთვის არის განკუთვნილი ეგ სენაკი?

ნოუქსი: ცხადია, განდევნილთვის, მილედის.

ლედი კრუმი: განდევნილი სადღაა, სერ?

ნოუქსი: რას გულისხმობთ, თქვენო...

ლედი კრუმი: სენაკს აშენებთ და განდევნილი არა გყავთ, სერ?

ნოუქსი: თქვენო ბრწყინვალეზე...

ლედი კრუმი: გეყოფათ, მისტერ ნოუქს. იქ სადაც შადრევანია, წყალიც უნდა იყოს. სად არიან თქვენი განდევნილები?

ნოუქსი: არ არიან, მილედის...

ლედი კრუმი: როგორ, არც ერთი? თქვენ მე მაცოცხებთ.

ნოუქსი: განდევნილი მოინახება. განცხადება გამოვაქვეყნოთ...

ლედი კრუმი: განცხადება? სად?

ნოუქსი: ვაზეთში, მილედის.

ლედი კრუმი: განდევნილი, რომელიც ვაზეთს კითხულობს, ნდობის ღირსი არ უნდა იყოს, სერ.

ნოუქსი: აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, მილედის...

სამპტიმუსი: პიანინოს ადგილი თუა იმ სენაკში?

ნოუქსი (ენის ბორძიკით): პია...ნინ...ოსი?

ლედი კრუმი: არა, მისტერ ჰოჯ, ასე არ შეიძლება. ჩვენ ხელს გიშლ-

ით. არ გაძლევთ გაკვეთილის ჩატარების საშუალებას. მომყევით, მისტერ ნოუქს.

ტომაზინა: მისტერ ნოუქს, ცუდი ამბავია პარიზიდან...

ნოუქსი: ნაპოლეონთან დაკავშირებით?

ტომაზინა: არა (საბატავი ალბომიდან ხევის ფურცელს, რომელზეც დიაგრამაა დახაზული). თქვენს ძრავასთან დაკავშირებით. რაც არ უნდა აუმჯობესოთ და აუმჯობესოთ, დანახარჯს მაინც ვერ აინახლავთ. ერთი შილინგი, ანუ თორმეტი პენსი თერთმეტ პენსს მოგიტანთ. დარჩენილი მონეტა კი - ამ დიაგრამის ავტორს... (დიაგრამას გადასცემს სეპტიმუსს).

ნოუქსი (კვლავ ენის ბორძიკით): გმა... გმადლობთ, მილედის (გადის ბალში).

ლედი კრუმი: ამ გოგოსი თუ გესმით რამე, მისტერ ჰოჯ?

სამპტიმუსი: არა.

ლედი კრუმი: მამ რალა აზრი აქვს გაკვეთილების ჩატარებას? სხვათა შორის, მე ჩვიდმეტი წლისა გავთხოვდი. Ce soir il faut qu'on parle français, je te demande², ტომაზინა. გრაფ ზელინსკის ხათრით. შენი ხვერდის კაბა ჩაიცვი... მწვანე. მე კი ბრიგს ვეტყვი რიგიანი ვარცხნილობა გაგიკეთოს. თექვსმეტი წლის და თერთმეტი თვის...! (გადის ბალში).

ტომაზინა: ლორდ ბაირონს ლედი ახლდა?

სამპტიმუსი: დიახ.

ტომაზინა: ჰმ...

(სეპტიმუსი გამოართმევს ტომაზინას თავის წიგნს. თან წიგნს ფურცლავს და თან ტომაზინას დიაგრამას აკვირდება. დაბნეული ხელს უსვამს პლუტუსს ბაკანზე. ტომაზინა იღუბს ქალაქსა და ფანქარს და სეპტიმუსისა და პლუტუსის ხატვას იწყებს).

სამპტიმუსი: საიდან მოიტანეთ ის თერთმეტი პენსი? ასეთ რამეს აქ ვერ ვხედავ.

ტომაზინა: ვერც დაინახავთ. ამას ისე მივხვდი...

სამპტიმუსი: მგონი, ავტორი დეტერმინიზმს დიდად არ დაგიდევთ...

ტომაზინა: დიახ... მისტერ ნიუტონის განტოლებებიც არ დაგიდევენ დიდად მიმართულებას... აი, სითბური განტოლება კი სულ სხვაა, მხოლოდ ერთი მიმართულებით მუშაობს. ამიტომაც მისტერ ნოუქსის ძრავა ვერ უზრუნველყოფს ენერგიით მისტერ ნოუქსის ძრავას!

სამპტიმუსი: ეს ხომ ყველამ ვიცით...

ტომაზინა: იცით, სეპტიმუს. იცით ის, რაც ძრავას შეეხება.

სამპტიმუსი (საათს დახედავს): თორმეტს თხუთმეტი აკლია. ამ კვირას თხუთლებას თავი დაანებეთ და მაგ დიაგრამაზე დაწერეთ რამე, ახსენით...

² ამ საღამოს ფრანგულად ილაპარაკე, ვთხოვ (ფრ.)

ტომაზინა: ამას ვერ შეგპირდებით. მათემატიკის არაფერი გამეგება სეპტიმუსი: მათემატიკის გარეშეც გაართმევთ თავს.

(ამ საუბრის დროს ტომაზინა სულ ხატავდა. სახატავი ალბომიდან ამოღებს ფურცელს და სეპტიმუსს გაუწოდებს).

ტომაზინა: აი, თქვენ დაგბატეთ, პლუტუსთან ერთად. სეპტიმუსი (დახედავს ნახატს): საოცარი მსგავსებაა. ყოველ შემთხვევაში, პლუტუსი მშვენიერია. აი, მე კი...

(ტომაზინა იცინის. მერე გადის. კარებში ჩნდება ოვასტესი. დარცხვენილია და შეტბუზებული. ქაღალდების ალაგებით დაკავებული სეპტიმუსი მას ვერ ამჩნევს).

ობასტასი: სერ...
სეპტიმუსი: მილორდ?
ობასტასი: განყენინეთ... მომიტევეთ სერ.
სეპტიმუსი: მე არაფერი მწყენია, მილორდ, მაგრამ მოხარული ვარ, რომ ნანობთ.

ობასტასი: მინდოდა მეკითხა, სერ... (პაუზა). თქვენ ალბათ უფროსი ძმა გყავთ, არა? "სეპტიმუს" ხომ "მეშვიდეს" ნიშნავს. მეშვიდე იყავით ძმებში?

სეპტიმუსი: მყავს, მილორდ. ლონდონში ცხოვრობს. გაზეთის რედაქტორია... "პიკადილის ამბების" (პაუზა). ამის კითხვა გინდოდათ?

(ოვასტესს აშკარად რალაც აწუხებს. მაგიდიდან იღებს ტომაზინას ნახატს).

ობასტასი: არა... ეს თქვენ ხართ?... დამითმობთ ამ ნახატს? (სეპტიმუსი თავს უქნევს თანხმობის ნიშნად) იცით, ზოგ რამეს მეგობრებს ვერ კითხავ... აი, კარნალურ რამეებს. ჩემმა დამ მითხრა... ისეთი რალაც, რომ გამეორება მიჭირს.

სეპტიმუსი: მაშინ ნურც გაიმეორებთ. სადილობამდე დრო გვაქვს, მოდიო, ბაღში გავისეირნოთ. ყველაფერს ავიხსნით, ადვილი სამსახურია. მერე კი, ვიმედოვნებ, თქვენს დასაც ჩააყენებთ საქმის კურსში... გააგებინებთ, რაც არ ესმის.

(გარედან ხმაური ისმის, უფრო სწორად, აღელვებული ბერნარდის ყვირილი).

ბერნარდი (ბაღის კართან): არა, არა! არა, მე ამის...

ობასტასი: გმადლობთ, მისტერ ჰოჯ. შევთანხმდით.

(ოვასტესი გადის სეპტიმუსის მიერ გაღებულ კარში. ნახატი თან მიჰქვს. სეპტიმუსიც ფეხდაფეხ მიჰყვება. შემოდის ბერნარდი იმ კარიდან, რომლიდანაც ჰანა გავიდა. უკან მოჰყვება ვალენტინი. ვალენტინი კარს ღიას ტოვებს. მათ მოსდევს ჰანა "მეზალის დღიურებით" ხელში).

ბერნარდი: არა, არა-მეთქი! შეუძლებელია!
ჰანა: ვნუხვარ, ბერნარდ.
ბერნარდი: გეორგინამ მომიხაზა, გეორგინამ! მითხარით, მომეხაზა? როცა ასე კარგად მიდიოდა ყველაფერი... ჰა, ამოშაქრე, ვალ, დამერხა? ვალენტინი: დაგერხა.
ბერნარდი: საბოლოოდ?
ჰანა: საბოლოოდ.

ბერნარდი: მაინც არ მჯერა. აბა, მიჩვენეთ, სად წერია. ჩემი თვალით უნდა დავინახო. არა! ნამიკითხე! არა, მოიცა! (შავიდას მიუჯდება და მოსასმენად ეშვადება. ისე უყურებს ჰანას, როგორც სიკვდილმისჯილი ჯალათს).

ჰანა (კითხულობს): "1810 წელი, 1 ოქტომბერი. დღეს მისტერ ნოუქსის ხელმძღვანელობით სამხრეთით მდებარე მდელოზე ყვავილნარის გაშენება დაიწყო. მოშავალ წელს, იმედია, ნარმტაცი სახანაობა გადაგვეშლება თვალწინ და ოდნავ მაინც შეგვირბილებს პარკის ტერიტორიის მეორე და მესამე მონაკვეთების პეიზაჟით მოგვირდო საჯალალო შთაბეჭდილებას. გეორგინას ვერაფერი დააკლო ხანგრძლივმა მოგზაურობამ გემით და მშვენივრად იხარა სათბურში. კაპიტანმა ბრაისმა მას "ჩერიტი" უწოდა თავისი საცოლის პატივსაცემად. სადაც სამართალია, მისთვის სახელი ამ ქალბატონის ყოფილი მეუღლის პატივსაცემად უნდა დაერქვათ, რომელიც უესტ ინდოეთის მიწაში განისვენებს."

(პაუზა)

ბერნარდი: რა აბდაუბდა! რას ნიშნავს ეს ყველაფერი?
ჰანა (დინჯად): იმას, რომ სიღლი პარკის სტუმარი ეზრა ჩეიტერი სწორედ ის ჩეიტერია, რომელმაც აღწერა კუნძულ მარტინიკის ჯუჯა გეორგინა 1810 წელს და რომელიც მაიმუნმა გაასალა.
ბერნარდი (გაცოფებული): ეზრა არ ყოფილა ბოტანიკოსი! პოეტი იყო!

ჰანა: ორივე იყო, უბადრუკი პოეტი და ასეთივე ბოტანიკოსი.
ვალენტინი: მერე რა მოხდა? ბოტანიკოსი კაცი არ არის?
ბერნარდი: მოხდა, ვაი, რომ მოხდა! მე ხომ ტელევიზიით გამოვედი... "საუზმის საათში"!

პალენტინი: ამ ჩანანერიდან ჩვენ ის შევიტყვეთ, რომ ჩეიტერი დუ-ელში არ მოუკლავთ. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დუელი არ შემდგარა.

ბერნარდი: აზრზე მოდი, ვალ! ვინ მიმინვევდა გადაცემაში, ბაირონს რო ჩეიტერისთვის აეცილებინა?

პანა: დანყნარდი, ბერნარდ. ვალენტინი მართალია.

ბერნარდი (წყალწაღებულევით ხავსს ეჭიდება): ასე გგონია? "პიკა-დოლიში" გამოქვეყნებულ რეცენზიებზე რაღას იტყვი? დიახ, იქ ბაირონის ორი აქამდე უცნობი რეცენზიაა! "ინგლისელ ბარდებზე" მინერილი ოთხი სტრიქონიც ხო მე აღმოვაჩინე! დავიჯერო, ეს არაფერს ნიშნავს?

პანა (ტაქტიანად): შესაძლოა, შენც სწორი ხარ...

ბერნარდი: შესაძლოა? ჯანდაბას თქვენი თავი! მე დავამტკიცე, რო ბაირონი იყო აქ, რო ის სტრიქონები მისი დაწერილია, რო მისი მოკლულია ის ოხერი კურდღელი. აი, ჩეიტერის მკვლელობაზე კი არ უნდა გამემახვილებინა ყურადღება. რატომ არ შემაჩერეთ? ამ შეცდომას უთუოდ მოწვავენ. ჰა, რას ფიქრობთ, ძალიან დაახანებს ვინმე პედანტი ბოტანიკოსი, თუ მალე გამასწორებს მინასთან?

პანა: მალე. ზეგ. "ტაიმსში."

ბერნარდი: შეენ ბრუტუსი?!

პანა: კია "შავი" სამუშაო, მაგრამ ვილაცას ხო უნდა...

ბერნარდი: ძვირფასო. მაპატიე. პანა...

პანა: ბოლოს და ბოლოს ეს ხო ჩემი აღმოჩენაა.

ბერნარდი: პანა!

პანა: ბერნარდ!

ბერნარდი: პანა!

პანა: მოკეტე, ბერნარდ. წერილი პატარა იქნება, საქმიანი, ყოველგვარი ნიშნის მოგების, ღვარძლის გარეშე. შენ რა, გირჩევნია, რომელიმე შენმა კოლეგამ გამხილოს?

ბერნარდი (მგზნებარედ): არა! ო, ღმერთო, არა!

პანა: მერე კი შენ წერილში, "ტაიმსს" რო გაუგზავნი...

ბერნარდი: ჩემ წერილში?

პანა: ჰო, რა იყო, შენ წერილში... არ უნდა მომილოცო? ღირსეულად, რაინდულად... მეცნიერს რო ეკადრება ისე!

ბერნარდი: მოკლედ, ჩემი გადაფურთხებული ავლოკო, არა?

პანა: ჩათვალე, რო ეს წინ წადგმული ნაბიჯია გეორგიანების შესწავლის საპატიო საქმეში, ბერნარდ!

(ოთახში ქლო შემოიჭრება)

ქლო: რაღას უცდით? ბერნარდ, ჯერ არ ჩავიცვამს? დიდი ხანია, რაც მოხვედი?

(ბერნარდი ჯერ ქლოს შეხედავს, მერე - ვალენტინს და მხოლოდ ახლა ამჩნევს ვალენტინის უცნაურ ჩაცმულობას).

ბერნარდი: ეს რა ჩავიცვამს?

ქლო: დროზე, ბერნარდ, დროზე! (კალათაში ეჭბს კოსტუმს ბერნარდისთვის). აი, აქედან რაც გინდა, ის ჩაიცვი. ახლა ყველას სურათს გადაგიღებენ... პანას გარდა.

პანა: მე გიყურებთ.

(ვალენტინი და ქლო ეხმარებიან ბერნარდს მდიდრული კამზოლის ჩაცვაში და უსწორებენ მაქმანის საყელოს).

ქლო: პანა, დედიკომ, თეოდოლიტი ხო არა აქვსო?

პალენტინი: მწყემს გოგონას ასახიერებ, ქლო?

ქლო: არა, ჯეინ ოსტინს.

პალენტინი: გასაგებია.

პანა: თეოდოლიტი სენაკშია, ქლო.

ბერნარდი: მგონი, ამ საღამომდე იქ არ ყოფილა. რისთვის უნდათ სურათი?

ქლო: როგორ თუ რისთვის! ადგილობრივი გაზეთისთვის. რედაქციიდან ცეკვების დაწყებამდე მოდიან ხოლმე. კადრში ყველა უნდა მოვხვდეთ. გასი ნახეთ, რა ლამაზია...

ბერნარდი (ცხვირაბზეუებით): გაზეთისთვის! (კალათიდან იღებს რაღაც მიტრას მსგავსს და ისე იფხატავს თავზე, რომ სახე თითქმის აღარ უჩანს). (მოგუდული ხმით) მზად ვარ!

(ბერნარდი ბარბაცით მიჰყვება ვალენტინს და ქლოს. პანაც მათ მისდევს).

სცენაზე განათება იცვლება. საღამოა, გარეთ ქალაქის ფარნებს ანთებენ. მეზობელი ოთახიდან ისმის პიანინოს ხმა.

შემოდის სეპტიმუსი ზეთის სანათით ხელში. მაგიდაზე დებს მათემატიკის სახელმძღვანელოსა და ქალაქის ფურცელს ტომაზინას ჩანაწერებით. მერე მაგიდას მიუჯდება და საკითხავად ემზადება. ფარნები კი ანთია, მაგრამ გარეთ მაინც ბნელა.

შემოდის ტომაზინა. ფეხშიშველი, ღამის პერანგისამარა, იღუმალი იერით. ხელში შანდალი უჭირავს ანთებული სანთლით).

სეპტიმუსი: მილედი? რაშია საქმე?

ტომაზინა: სეპტიმუს, ჩუ... (ფრთხილად მიხურავს კარს). როგორც იქნა...

სეპტიმუსი: რა "როგორც იქნა," მილედი?

(ტომაზინა აქრობს სანთელს და შანდალს მაგიდაზე დგამს).

ტომაზინა: თავს ნუ იკატუნებ, სეპტიმუს. ხვალ ჩვიდმეტი წელი მი-
სრულდება. (სეპტიმუსს ტურეში კოცნის). ესეც ასე!

სეპტიმუსი: ღმერთო ჩემო!

ტომაზინა: აბა, დავიწყოთ. აკი წინასწარ გადავიხადე.

სეპტიმუსი (როგორც იქნა, ხვდება, რასაც გულისხმობს ტომაზინა):
აჰ...

ტომაზინა: გესმის? ბედად ზელინსკი უკრავს. ეს ხომ ღვთის საჩუქა-
რია! შეიძლება ჩვიდმეტი წლის გოგონა ვალსს არ ცეკვავედეს?

სეპტიმუსი: კი მაგრამ, დედათქვენი...

ტომაზინა: გული ნაუვა და ვიდრე გონს მოეგება, ჩვენ ვიცეკვებთ
და ვიცეკვებთ. ყველას სძინავს. გარდა ზელინსკისა... პიანინოს ხმა გავი-
გე და მოვედი. მასწავლე, რა, სეპტიმუს.

სეპტიმუსი: ჩუ! ახლა არ შემიძლია.

ტომაზინა: შეგიძლია. ოღონდ, იცოდე, ფეხშიშველი ვარ და ფრთხი-
ლად მეცეკვე.

სეპტიმუსი: არ შემიძლია. იმიტომ, რომ რასაც უკრავენ, ვალსი არ
გახლავთ.

ტომაზინა: არა?

სეპტიმუსი: არა. ეს მუსიკა ძალიან ნელია ვალსისთვის, მილდეი.

ტომაზინა: მაშ დაუცადოთ, ვიდრე ჩქარ ტემპზე გადავიდოდეს...

სეპტიმუსი: მილდეი...

ტომაზინა: მისტერ ჰოჯ! (იღებს სკამს და გვერდით მიუჯდება სეპ-
ტიმუსს). ჩემი თხზულების კითხვით იწუხებთ თავს? რატომ აქ და ასე
გვიან?

სეპტიმუსი: ეკონომიის გულისთვის. ჩემი სანთელი რომ დავზოგო.

ტომაზინა: ჩემს ძველ სახელმძღვანელოს ვხედავ.

სეპტიმუსი: ახლა ისევ ჩემია. რატომ ჩანერეთ შიგ რაღაც-
რაღაცები?

(ტომაზინა მაგიდიდან იღებს გადაშლილ სახელმძღვანელოს).

ტომაზინა: ეს ხომ ხუმრობა იყო, სეპტიმუს.

სეპტიმუსი: თქვენი მუქარა სრულდება, ეს ხუმრობა ბოლოს მომიღ-
ებს, მილდეი. კეთილი ინებეთ და იქით გადაჯექით, სალაპარაკოს წურავ-
ის მიცვემთ.

(ტომაზინა გადაჯდება)

ტომაზინა: დედიკო თუ შემოვა, ვეტყვი, რომ აქ საკოცნელად შემო-
ვედი. ვალსზე კინტსაც არ დავძრავ.

სეპტიმუსი: ორში ერთი, მილდეი: ან ჩუმად ზიხართ, ან დასაწოლად
მიბრძანდებით.

ტომაზინა: ჩუმად ვზივარ.

(სეპტიმუსი ჭიქაში ღვინოს ისხამს და კვლავ თხზულებას უბრუნდება.
ბალიდან ისმის თანამედროვე მუსიკა. ცას მეტეორივით ანათებს ფოი-
ერვერკი.

შემოდის ჰანა. თითქოს საზეიმოდ გამოწყობილა, მაგრამ მისი ახლან-
დელი სამოსი დიდად არ განსხვავდება ყოველდღიურისგან. კარს მიხურ-
ავს და ოთახს გადაჭრის ბაღში გასასვლელად. როცა შემინულ კარს მიუ-
ახლოვდება, შემოდის გვარიანად შეჭიკჭიკებული ვალენტინი ღვინის ჭი-
ქით ხელში).

ჰანა: ოი, ვალ...

(მაგრამ ვალენტინი გვერდით ჩაუქროლებს).

ვალენტინი: მივაგენი, ჰანა! ევრიკა!

(ვალენტინი მაგიდასთან მიიჭრება და მასზე დახვავებულ წიგნებსა და
ქაღალდებში რაღაცას გამალებით ეძებს. მისი საქციელით გაოცებული
ჰანა უკან ბრუნდება. ვალენტინი პოულობს იმას, რასაც ეძებდა, ანუ ტო-
მაზინას დიაგრამას.

ამავე დროს სეპტიმუსი კითხულობს ტომაზინას თხზულებას და თან
დიაგრამასაც ჩაჰკირკიტებს.

სეპტიმუსი და ვალენტინი ერთდროულად ჩაჰკირკიტებენ "თავთავი-
ანთ" დიაგრამას).

ჰანა: გადაკრულში ხარ, ვალ?

ვალენტინი: ეს სიტბოს გადაცემის დიაგრამაა.

სეპტიმუსი: მაშ გამოდის, ყველანი განწირულნი ვყოფილვართ.

ტომაზინა (ხალისიანად): ასე გამოდის!

ვალენტინი: აი, როგორც ორთქლის ძრავაში...

(ჰანა სეპტიმუსის გრაფინიდან მისსავე ჭიქაში ასხამს ღვინოს და ოდ-
ნავ მოსვამს).

ვალენტინი: მათემატიკისთვის საერთოდ არ მიუმართავს. ის გო-
გო მოვლენათა არსს ხედავდა, გაუცნობიერებლად, თითქოს ნახატს
უყურებდა...

სეპტიმუსი: ეს მეცნიერება არ გახლავთ. ეს უფრო რაღაც ზღაპარია.

ტომაზინა: ახლა ხომ ვალსს უკრავს?

(ისმის თანამედროვე მუსიკა).

სამპტიმუსი: არც ახლა.

ვალენტინი: ანდა ეკრანს.

ჰანა: კარგი და იქ რაღას ხედავდა?

ვალენტინი: იმას, რომ ყველა ფილმის ბოლოდან ჩვენება არ შეიძლება. ეს სითბოსაც ეხება. ჩაფლავდა ნიუტონი! აი, ქანქარას რხევა ან ბურთის ვარდნა შეგიძლია გადაილო და მერე ბოლოდან უჩვენო. რა თავიდან, რა ბოლოდან, ერთია ორივე!

ჰანა: ბურთმა, შესაძლოა, გზიდან გადაუხვიოს.

ვალენტინი: ოღონდ წინასწარ უნდა იცოდე ეს. აი, სითბოს შემთხვევაში კი... ან ხახუნი როცა გასათვალისწინებელი, ან როცა ბურთი ფანჯარას ამსხვრევს...

ჰანა: რა ხდება მაშინ?

ვალენტინი: რა და შეუქცევადი პროცესია.

ჰანა: ვინმემ თქვა, არ არისო?

ვალენტინი: მაგრამ ის გოგო მიხვდა, რატოა ასე. მინის ნამსხვრევებს შეაგროვებ, შეაწებებ... იმ სითბოს კი, ფანჯრის ჩამსხვრევებისას რო გამოიყო - ვერა. წავიდა, გაქრა!

სამპტიმუსი: მას "ნიუტონის გაუმჯობესებულ სამყაროს" ბოლო მოეღება... ვაი, ჩვენს დღეს!

ვალენტინი: სითბო ჰაერს შეერწყმება, კოსმოსს, სამყაროს...

ტომასინა: აბა, რა გეგონა? და ჩვენც უნდა ვიქაროთ. თუ ცეკვას ვაპირებთ, დროს ნუ დაგვკარგავთ.

ვალენტინი: და ყველაფერი ასე აღირევა, სულ, განუწყვეტლივ...

სამპტიმუსი: დრო ჯერ კიდევ გვაქვს, მილედი.

ვალენტინი: ...იქამდე, ვიდრე თავად დრო არ ამოიწურება. აი ასეთია ეს ჩვენი ნაქები დრო! ამაშია მთელი მულამი!

სამპტიმუსი: როცა ყველა საიდუმლო გაცხადდება, მარტო დავრჩებოთ... უკაცრიელ სანაპიროზე.

ტომასინა: და ვალსს ვიცეკვებთ. ახლა ხომ ნამდვილად უკრავს ვალსს?

სამპტიმუსი: მთლად ვალსი არ უნდა იყოს, მაგრამ... (წამოდგება).

ტომასინა (მაშინვე წამოხტება): ო, ღმერთო!

(სეპტიმუსი ნაზად მოხვევს ხელს მხრებზე და იწყება ცეკვის გაცეკვითი... თანამედროვე მუსიკის თანხლებით.

შემოდის არცთუ მთლად "რეგენტობისდროინდელ" კოსტუმში გამოწყობილი ბერნარდი. ხელში ბოთლი უჭირავს).

ბერნარდი: ხელს არ შეგიშლით... აქ სადღაც ჩემი პიჯაკი დამრჩა. (მიდის დაწულ კალათასთან).

ვალენტინი: რა, მიდიხარ?

(ბერნარდი იხდის საკარნავალო კოსტუმს, რომლის ქვეშაც წინდებში ჩატანებული საკუთარი შარვალი და საკუთარივე პერანგი აცვია).

ბერნარდი: მგონი, კი.

ჰანა: რა გჭირს, ბერნარდ?

ბერნარდი: არ არის სალაპარაკო...

ვალენტინი: ხო არ გავიდე?

ბერნარდი: შენ რატო? მე გავდივარ.

(ვალენტინი და ჰანა ბერნარდს უყურებენ. ბერნარდი იცვამს პიჯაკს და ტანზე ისწორებს.

სეპტიმუსი გულში იკრავს ტომასინას და ტუჩებში კოცნის. ცეკვის გაცეკვითი წყდება. ტომასინა სეპტიმუსს უყურებს. სეპტიმუსი კვლავ კოცნის, ახლა უკვე ხუმრობაგაშვებით. ტომასინა ეხვევა სეპტიმუსს).

ტომასინა: სეპტიმუს...

(სეპტიმუსი ტუჩებზე თიის ადებს. ისევ იწყებენ ცეკვას. ტომასინა ახლა გაუბედავად ცეკვავს. ბალიდან შემორბის ქლო).

ქლო: მოვკლავ, ასიანი მოვკლავ!

ბერნარდი: ღმერთო!

ვალენტინი: რა გეტაკა, ქლო?

ქლო (გამწარებით): დედა!

ბერნარდი: დედათქვენმა იმ სენაკში მოგწვია, ვალ.

ქლო: გვითვალთვალებდა.

ბერნარდი: არა მგონია. ის იქ ალბათ თეოდოლიტს ეძებდა, ქლო.

ქლო: აქედან წამიყვანე, რა, ბერნარდ.

ბერნარდი: ვარიანტი არ არის, ქლო.

ქლო: არ გინდა, რო წამოგყვე, ბერნარდ?

ბერნარდი: რო მინდოდეს! რა აზრი აქვს? ბოდიში რა, ვალ, ძმაო!

ქლო (სიმწრის ცრემლებს ვერ იკავებს): ამას რაღას ებოდიშები?

ბერნარდი: შენც ებოდიშები, ქლო. მოკლედ, ყველამ ნაპატივით. ბოდიში, ჰანა! ბოდიში ჰერმონე! ბოდიში, ბაირონი! ახლა შეიძლება წავიდე?

(ქლო წამოდგება. ნამტირალეგია, თითქოს გახევებული).

ქლო: როგორც გინდა...

(ტომაზინა და სეპტიმუსი ცეკვავენ).

ჰანა: რა დამპალი ვინმე ხარ, ბერნარდ!
ძლი (ლამის ყელში ეცეს ჰანას): შენ რა განუხებხს? გესმის კი რამე
ამ ცხოვრების?
ჰანა: არაფერი.
ძლი: მაინც კარგი იყო, არა, ბერნარდ?
ბერნარდი: გადასარევი.

(ქლო ბაღში გადის).

ჰანა (იმეორებს): არაფერი.
ბალენტინი: შენ ეი, მძორო! მანქანით გაგყვანდი, ფხიზელი რო ვიყო.

(ვალენტინი ბაღში გადის. ეძახის ქლოს).

ბერნარდი: აი ხათაბალა!
ჰანა: რაო? (ფარ-ხმაღს ყრის). ბერნარდ!
ბერნარდი: მოუთმენლად ველი "ადგილის სულს." ღმერთმა გაპოენი-
ნოს შენი განდევილი. წინკარით გავალ, ასე უფრო უსაფრთხოა (კარს გა-
მოაღებს და გარეთ გაიხედავს).
ჰანა: მე კი ვიცი, ვინც იყო, მაგრამ, რად გინდა, ვერ ვამტკიცებ.
ბერნარდი (მოწყალედ): შენც ადექი და გამოაქვეყნე!

(ბერნარდი კარს გაიხურავს.
სეპტიმუსი და ტომაზინა ლაღად ცეკვავენ. ტომაზინა ბედნიერია, წა-
რმატებას რომ მიაღწია).

ტომასინა: ვისწავლე, სეპ?
სეპტიმუსი: ღიას, მიღედი.

(სეპტიმუსი კიდევ ერთხელ დაატრიალებს ტომაზინას, ცეკვა-ცეკვით
მიჰყავს მაგიდასთან და თავს უკრავს. მერე სანთელს ანთებს.
ჰანა მაგიდას მიუჯდება. უხარია, რომ ძლივს მარტო დარჩა. ჭიქაში
ღვინოს ისხამს. მაგიდაზე ტევა აღარ არის. ყველაფერი ერთად დახვავე-
ბულა - გეომეტრიული ფიგურები, კომპიუტერი, გრაფინი, ჭიქები, ჩაის
ტოლჩა... ჰანას წიგნები, სეპტიმუსის წიგნები, ორი საქალაქი, ტომაზი-
ნას შანდალი, ზეთის სანათი, გეორგინები, საკვირაო გაზეთები...
კარებში ჩნდება ვასი. ერთი შეხედვით ვერ გაარჩევთ ლორდ ოგასტე-
სისგან; ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც, ვიდრე ჰანა დაინახავდეს).

სეპტიმუსი: წაიღეთ თქვენი თხზულება. ფრიადი! სანთელთან
ფრთხილად!

ტომასინა: მოდი, ჩემს ოთახში დაგელოდები.
სეპტიმუსი: არ შემიძლია.
ტომასინა: უნდა მოხვიდე...
სეპტიმუსი: ვერ მოვალ.
ტომასინა: უნდა!
სეპტიმუსი: ვერა!

(ტომაზინა შანდალს მაგიდაზე დგამს. იქვე ტოვებს თავის თხზულებას).

ტომასინა: მაშინ არ წავალ. კიდევ ერთხელ მეცეკვა... ნუ მეტყვი
უარს, ხვალ ხომ ჩემი დაბადების დღეა.

(სეპტიმუსი და ტომაზინა ცეკვავენ.
ვასი მაგიდასთან მიდის. ჰანა შეხტება).

ჰანა: უი, როგორ შემაშინე.

(ვასი ბრწყინვალედ გამოიყურება საკარნავალო კოსტუმში. ჰანას ხე-
ლში აჩეჩებს ძველ, მაგარყდიან, ზონრით შეკრულ საქალაქდეს. ჰანა სა-
ქალაქდეს მაგიდაზე დებს და ხსნის ზონარს. საქალაქდესი ტომაზინას ნა-
ხატია).

ჰანა (კითხულობს მინაწერს): "სეპტიმუსი და პლუტუსი". სწორედ ამ-
ას ვეძებდი, ვას. დიდი მადლობა, ჩემო კარგო!

(ვასი რამდენჯერმე უკრავს თავს და, ცოტა არ იყოს, მოუხერხებლად
იხრება წელში. ეს უკვე "რეგენტობისდროინდელი" რევერანსია - საცეკ-
ვაოდ გაწვევა).

ჰანა: ო, ღმერთო, მე რომ არ ვცეკვა...
სეპტიმუსი: ო, ღმერთო, მე რომ არ ვცეკვა...

(წამიერი ყოყმანის შემდეგ ჰანა წამოდგება. იწყებენ ცეკვას. უხერ-
ხულად მოძრაობენ, თითქოს ერთმანეთთან მიახლოება აშინებდეთ.
სეპტიმუსი და ტომაზინაც ცეკვავენ - ლაღად, მუსიკის თანხლებით).

დასასრული.